

ჰენრიკ ივანენი

# წლის ასული

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

დრამა ხუთ მოქმედებად

მომავლი პირნი

ექიმი ვანგელი.  
ელია, მისი ცალი.  
ბოლეთა } ექიმის ქალშვილები  
ჰილდა, მოზარდი } პირველი ცოლისაგან.  
არწოლმი, სკოლის ინსპექტორი.  
ლიუნგსტრანი.  
ბალესტერი.  
უცხოთი.  
ქალაქის ახალგაზრდობა.  
ტურისტები. |  
კურორტის დამსვენებლები.  
მოქმედება მიმდინარეობს ზაფხულში, ჩრდი-  
ლო ნორვეგიის ერთ-ერთი ფიორდის პირის  
მდებარე პატარა ქალაქში.

## პირველი მოქმედება

ხელმარცხნივ ექიმ ვანგელის სახლი დგას, დიდი დახურული ვერანდით; სახლს გარშემო ბაღი აკრავს. ვერანდის წინ, ბაღის მოედანზე ფლაგელტოკია აღმართული. ხელმარცხნივ, ბაღში, ფანჯატურია, რომელშიაც მაგიდა და სკამები დგას. ბაღს ირგვლივ შემოვლებული აქვს მუჩქების ღობე, რომელშიაც, უკანა მხარეს, ეტრკარია დატანებული. ღობის იქით, ფიორდის გასწვრივ მიიკაენება გზა, რომლის ორსავე მხარეს ხეებია ჩამჭკრივებული. ხეებს შორის ფიორდი, მაღალი ქარაფები და მთის მწვერვალები მოჩანს. თბილი, მზიანი დღეა. ფლაგელტოკთან შუახნის კაცი დგას; ძველი ზაფერდის შიგაყი აცვია და ფართოფართლიანი

ქედი ახურავს; ასე, ჩვეულებრივ, მხატვრები იცემენ. კაცს ბალესტერი ჰქვია. ხელმარცხნივ ალმის თოკი უჭირავს; ალამი მიწაზე ადგას. ცოტა მოზორებით მოლბერტი დგას, ახლად დაწყებული ტილოთი, იქვე, გასაშულს სკამზე, მალიტრა, ფუნჯები და საღებავები აწყვია. ოთახიდან ვერანდაზე გამოდის ბოლეთა; ხელში დიდი საყვავილე ლარნაკი უჭირავს, რომელსაც მაგიდაზე დგამს.

**ბოლეთა.** რაო, ბალესტერი, გამოდის რამე? ბალესტერი. დიახ, დიახ, ფრიოკენ. რა დიდი საქმე ესაა?.. ნება მიბოძეთ გჯიხთოთ, სტუმრებს ხომ არ ელით?

**ბოლეთა.** დიახ, დილას აქეთ ინსპექტორ არწოლმის მოლოდინში ვართ. წუხელის ჩამოვიდა.

**ბალესტერი.** არწოლმი? მოითმინეთ... კი მაგრამ, არწოლმი არ ერქვა იმ მსწავლებელს, სმ რამდენიმე წლის წინათ კერძო გაკეთილებს რომ?

**ბოლეთა.** დიახ, სწორედ ის გახლავთ.

**ბალესტერი.** აჰა! მაშ, კვლავ დაბრუნდა?

**ბოლეთა.** დიახ, ამიტომაც ვაპირებთ ალმის აღმართვას.

**ბალესტერი.** გასაგებია... რაღა თქმა უნდა.

ბოლეთა კვლავ ოთახში შედის. ცოტა ხნის შემდეგ, ხელმარცხნივ, გზაზე გამოჩნდება ლიუნგსტრანი და მოლბერტსა და მხატვრის სხვა ხელსაწყოებს რომ მოპკრავს თვალს, ღობესთან ჩერდება; ეტყობა, ყოველივე ამან ძალზე დააინტერესა. ესაა ყმაწვილი კაცი, გამხდარი, გალუელი, ავადმყოფური გარეგნობისა, ღარიბულად, მაგრამ ფაქიზად და კობტად ჩაცმული.

**ლიუნგსტრანი** (ღობის იქიდან). გამარჯობათ! **ბალესტერი** (შემობრუნდება). აა.. გამარჯობათ. (ალამს აღმართავს). ესეც ასე! (თოკს ამაგრებს, მოლბერტთან მიდის და სახატავად ემზადება). **გამარჯობათ, ჩემო ძვირფასო... თუმცა კი პატივი არა მაქვს...**

**ლიუნგსტრანი.** თქვენ, ალბათ, მხატვარნი ბრძანდებით.

**ბალესტერი.** რა თქმა უნდა. რატომაც არ უნდა ვიყო?

**ლიუნგსტრანი.** ვხედავ... შეიძლება, ერთი წუთით შემოვიდე?

**ბალესტერი.** გაიტერესებთ?

**ლიუნგსტრანი.** ძალიან.

**ბალესტერი.** კაცმა რომ თქვას, ქრჩკრობით ხაინტურესო არაფერია. მაგრამ, თუ გნებავთ... შემოდით, შემოდით.

**ლიუნგსტრანი.** დიდი მადლობა (ბაღში შემოდის).

**ბალესტერი** (ხატავს). აი, ფიორდის იმ კუთხეს და პატარა კუნძულსა ვხატავ.

ლიუნგსტრანი. ვხედავ, ვხედავ.  
ბალესტამი. აქ ადამიანის ფიგურა აკლავს თქვენს ქალაქში ხომ მოდელს ვერხადა ნახველიუნგსტრანი. მაშ, აქ ფიგურაც იქნება? ბალესტამი. დიახ, აქ, როფთან, წინა პლანზე, ცოცხალ-მკვდარი ზღვის ასული უნდა ებოდოს.

ლიუნგსტრანი. რატომ ცოცხალ-მკვდარი? ბალესტამი. იმიტომ, რომ შხერებში გაიხლართა და უკან, გაშლილ ზღვაში ვეღარ გასულა. შოდა, საცოდავად აგდია აქ და ამ მტყნარ თავთხელში იღუპება, გესმით?

ლიუნგსტრანი. აბ, ასე?

ბალესტამი. დიახ, ამ სურათის თემა დიასხლისმა მომცა.

ლიუნგსტრანი. რას დაარქმევთ. როდესაც დაასრულებთ?

ბალესტამი. ალბათ, „ზღვის ასულის აღსასრულს“.

ლიუნგსტრანი. ზედგამოკრილი იქნება... რ. გორც ჩანს, ძალიან კარგად გამოგდით.

ბალესტამი (ხედავს). კოლეგა ხომ არა ბრძანდებით?

ლიუნგსტრანი. ესე იგი, მხატვარი?

ბალესტამი. დიახ.

ლიუნგსტრანი. არა, მე მხატვარი არა ვარ. მოქანდაკეობას ვაირებ. მანს ლიუნგსტრანი მქვია.

ბალესტამი. მოქანდაკეობას? დიახ, დიახ, ქანდაკებაც ღიღებულა ხელოვნება... მგონი, ერთი-ორჯერ ქუჩაში შემხვედრიხართ. დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?

ლიუნგსტრანი. არა, სულ ორი კვირა იქნება. მაგრამ, ვნახოთ, იქნებ მთელ ზაფხულს აქ დავრჩე.

ბალესტამი. აა, საზაფხულო სეზონით აპირებთ ტუბობას?

ლიუნგსტრანი. მე მინდა ცოტა მოვიკეთო.

ბალესტამი. ავად ხომ არა ხართ?

ლიუნგსტრანი. არა, განმრთელობის მხრივ ცოტა მოვისუსტებ. ისე, საშინი არაფერი შეიქნა. ქოშინი მაწუხებს.

ბალესტამი. ეგ არაფერი! მაგრამ ერთ კვირამდე ექიმს მიიწვი უნდა ეჩვენოთ.

ლიუნგსტრანი. მეც სწორედ მაგას ვაპირებ; ექიმ ვანგელს მინდა მივმართო.

ბალესტამი. დიახ, დიახ. (მარცხნივ იყურება). კიდევ ერთი გემი. სულ მთლად გატეხილია. პირდაპირ დაგვიკირდებათ, როგორ გახშირდა ჩვენში ამ ბოლო დროს საზაფხულო მიმოსვლა.

ლიუნგსტრანი. დიახ, თქვენი ქალაქი, ეტყობა, ყველაზე ზღლსაყრელ ადგილზეა.

ბალესტამი. ლამის წაგვლევინ ამ მოაგარაკებმა. მართალია გითხრათ, ძალიან მეშინია, რომ ეს უცხო ხალხი თავისი მშვენიერი ძველებური იერის ნახასხაც აღარ შეარჩენს ამ ჩვენს კოპია ქალაქს.

ლიუნგსტრანი. თქვენ აქაური ბრძანდებით?

ბალესტამი. არა, აქაური არა ვარ, მაგრამ ალი... აკლიმატიზაცია კი განვიცადე. დროს და ჩვეულებამ შეიძლოდ მიმაჩვენეს ამ ქალაქში ლიუნგსტრანი. დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?

ბალესტამი. დიახ, ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წელი იქნება. ცივებს დასს ჩამოყვები. მაგრამ საქმე ვერ აეწყო, ჭვენი მამანაგობა დააშალა და ყველაზე აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

ლიუნგსტრანი. თქვენ კი აქ დარჩით?

ბალესტამი. დიახ, და არც ვნანობ. უნდა მოგახსენოთ, რომ მე მაშინ, უპირატესად, დეკორაციებს ვაფორმებდი.

ბოლდა (ვერანდაზე სარწმევლა გამოაქვს და ოთხში გასანახი). ზილდა, მამაჩემის მოქარგული ტაბურეტი მოძებნე, რა!

ლიუნგსტრანი (ტუტანას უხანოვდება და ესალმება). გამარჯობა, ფრიკენ ვანგელ.

ბოლდა (მოაჭირთან). აბ, ეს თქვენა ხართ. ბატონო ლიუნგსტრან? გამარჯობათ. მომიტევეთ... სულ ერთი წუთით... (ოთხში შედის).

ბალესტამი. მთელ ოქახს იცნობთ?

ლიუნგსტრანი. ისე, რა. ქალიშვილებს სხვა ოქახებში შევხვედრივარ. ამან წინათ კი მუსიკის საღამოზე, ფლატის პირას, დიასხლისიც გამაცნეს. აქაც სწორედ მან მომიპატიოვა.

ბალესტამი. მაშინ, იცით, რას გეტყვით? თვალსჩინივით გაუფრთხილდით ამ ნაცნობობას.

ლიუნგსტრანი. ვეცდებით... ისე, ვაპირებდი კიდევ ამ მოპატუბებით მესარგებლა. მაგრამ რაიმე საბაბი ხომ ვინდა კაცს?..

ბალესტამი. მოგვლიათ ერთი, რა საბაბი?... (მარცხნივ იყურება). დლახვროს ეშმაქმა (თაქის ხელსწყოვებ წამოკრეფს). გემი უკვე ნავსადგურს მოადგა. სასტუმროში უნდა გავვარდნი-ზოგიერთ ახლად ჩამოსულს შეიძლება ჩემი სამსახური დასჭირდეს. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ პარსუაკრევის საქმესაც მე ვნაჯობ.

ლიუნგსტრანი. მრავალმხრივი კაცი ყოფილხართ, სქრას ხელი გქონიათ.

ბალესტამი. რას იზამ, ასეთ პატარა ქალაქებში სხვადასხვა ასპარეზზე უნდა შეგეჭმოს ალი... აკლიმატიზაცია, თუ ოდესმე თმის საცხი ან სხვა მისთანანი დაგჭირდებოთ, ციკვინ მასწავლებელი ბალესტამი აკითხეთ.

ლიუნგსტრანი. ციკვინ მასწავლებელი?

ბალესტამი. ანა, თუ გნებავთ, „სასულე მუსიკის მოყვარულთა წრის“ ხელმძღვანელი... სწორედ ამ საღამოს კონცერტს ვმართავთ ფლატის პირას. ნახვადის, ნახვადის (მთელი თავისი ბარგი-ბარბანით ბალდან გადის და ზეივანში მარცხნივ გაუხუტვს).

პილდას ტერესაზე გამოაქვს ტაბურეტი, ბოლდას კი ყვავილები. ლიუნგსტრანი კვლავ ბალესტამს დასს და პილდას ესალმება.

პილდა (მოაჭირთან). ბოლდამ მითხრა, რომ დღეს, ბოლოს და ბოლოს, ვეღირსეთ თქვენს ზილდას.



ლიუნგსტრანი. დიახ, დღეს, როგორც იქნა.  
 გავხედო და შემოგორავო.  
 ჰილდა. სერიოზობით უკვე გული იჭრეთ?  
 ლიუნგსტრანი. არა... ისე. გავიარ-გამოვიარე.  
 ჰილდა. თუ იხანავთ შინც?  
 ლიუნგსტრანი. ცოტა ვიჭყუშმალავე- დედა-  
 თქვენსაც მოვკარი თვალი. ზღვაში შედიოდა.  
 ჰილდა. ვინ?  
 ლიუნგსტრანი. დედათქვენი.  
 ჰილდა. აა (ტაბურეტს სატყეველასთან  
 დებს). შამჩემის ნავი ხომ არ დაგინახავთ?  
 ლიუნგსტრანი. რა მოგახსენოთ, ერთი იაღქ-  
 ნინი ნავი კი შემოდიოდა ფორადში.  
 გოლმბტ. ნამდვილად მამა იქნებოდა. კუნ-  
 ძულეზე ავადმყოფების მოსანახულებლად იყო  
 წასული. (მავიძას ალაგებს).  
 ლიუნგსტრანი (ტერასის პირველ საფეხურ-  
 ზე დის). რა საჭიროდ მოგართავთ აქაურო-  
 ხა. რამდენი უკავიანია.  
 გოლმბტ. მართლა ლამაზია, არა?  
 ლიუნგსტრანი. თვალს ვერ მოსწყვეტ. რო-  
 გორც ჩანს, რაღაც დღესასწაული გაქვთ.  
 ჰილდა. დიახ.  
 ლიუნგსტრანი. მამ, არ შევმცდარვარ. მ-  
 მათქვენი დაბადების დღეა?  
 ჰილდა (ყურადღებებს არ აქცევს). არა —  
 დედის.  
 ლიუნგსტრანი. აა დედის?..  
 გოლმბტ (ხმადაბლა, გაბრაზებით). ჰილდა!  
 ჰილდა (იმავე ტონით). თავი დამხებე!  
 (ლიუნგსტრანს). ალბათ, უკვე სასაუზმოდ აპი-  
 რებთ წასვლას.  
 ლიუნგსტრანი. დიახ, დროა წავიდე და ცო-  
 ტა წავიხუმრო.  
 ჰილდა. როგორი მომხანურებაა სახტუმრო-  
 ში? კმაყოფილი ხართ?  
 ლიუნგსტრანი. მე უკვე აღარ ვცხოვრობ  
 სახტუმროში. ძალიან ძვირი მიჭდება.  
 ჰილდა. მამ, სად?  
 ლიუნგსტრანი. მადამ იენსენთან.  
 ჰილდა. რომელ მადამ იენსენთან?  
 ლიუნგსტრანი. ბებიასთან.  
 ჰილდა. მომიტყვეთ, ბატონო ლიუნგსტრან,  
 მაგრამ, ღმერთმანი, არ მყალია აქ სადგომად  
 და...  
 ლიუნგსტრანი. ო, ალბათ, არ უნდა მითქვა.  
 ჰილდა. რა?  
 ლიუნგსტრანი. ის, რაცა ვთქვი.  
 ჰილდა (აპრებით ახლ-დახედავს). არაფერა  
 არ მესმის თქვენს.  
 ლიუნგსტრანი. არა, არა... კარგად ბრძანდე-  
 ბოდეთ.

პილდებ. ეთობელ კიდეც უკრავ- თავს გამო-  
 სალმების ნიშნად).  
 ჰილდა. ადვილად ჩემი მოკითხვა გადა-  
 ცით თქვენს ბებიასალს.  
 გოლმბტ (ხმადაბლა, მხარში ხელს ჩაეკლებ-  
 და ანჯღრევს). ჰილდა!.. შე საზოგადორო ხომ არ  
 გავიდე? (არა გაიგონოს?)  
 ჰილდა. აადლებულად ჩაიფრუტუნება). მაგ-  
 ზე დამიბა დარდა!  
 გოლმბტ (მარჯვნივ იყურება). აი, მამაც მო-  
 ვიდა.  
 ვანგმლი (მარჯვნივან გამოჩნდება ხევიან-  
 ში; სამგზავროდ აცვია, ხელში პატარა საკვო-  
 იაი უტარავს). მოვედი, ჩემო კარგებო! (ბა-  
 ში შემოდის).  
 გოლმბტ (ბაღში ჩარბის შესაგებებლად). რა  
 კარგია, რომ მოხვედო.  
 ჰილდა (თვითონაც ეგებება მამას). ახლ:  
 მთელი დღე თავისუფალი ხარ, მამა?  
 ვანგმლი. არა, ცოტა ხანს კანტორაში უნდა  
 შევიარო... მო, მართლა... არწოლში ჩამოვიდა?  
 გოლმბტ. დიახ, წუხელის. სასტუმროში  
 გვიტარებს.  
 ვანგმლი. თვითონ კი არ ვინახავთ?  
 გოლმბტ. არა. მაგრამ, იმედია, სადილობ-  
 მდე გავწავა.  
 ვანგმლი. ალბათ.  
 ჰილდა (სახელოზე მოკაჩავს მამას). ამა, მი-  
 იხედ-მოიხედო.  
 ვანგმლი. ვხედავ, ჩემო კარგო... დიდებუ-  
 ლია.  
 გოლმბტ. მართლა ლამაზია, არა?  
 ვანგმლი. ძალიან... კი მაგრამ... მარტონი  
 ხართ?  
 ჰილდა. დიახ. ის...  
 გოლმბტ (სწრაფად ერევა). დედა სახანაოდ  
 წავიდა.  
 ვანგმლი (აღერსით უყურებს ბოლმტას და  
 თავზე ხელს უსვამს, შემდეგ კი თითქოს ენის  
 ბორბით ამბობს). მითხარით, ჩემო კარგებო...  
 ყველაფერი ეს მთელი დღე ასე იქნება?.. ალა-  
 შის?  
 ჰილდა. რა თქმა უნდა, მამა.  
 გოლმბტ (თვალს ჩაუტრავს მამას). ხომ გეს-  
 მის, ეს ყველაფერი ინსპექტორ არწოლმის  
 საპატიცემოდ მოვაწყვეთ. როცა ჩვენი ოჯა-  
 ხის ძველი მეგობარი ამდენი ხნის განწორების  
 შემდეგ ჩამოდის...  
 ჰილდა (იციინს და მამას ელაიცება). რო-  
 გორ არ გესმის?.. ბოლმტას ყოფილი მასწავ-  
 ლებელი, მამა!

ვანგმლი (უნებურად ეღიმიება). აჰ, თქვე ეშ-  
 მაკებო... თუმცა, ღმერთო ჩემო, სავეგბით ბუ-  
 ნებრივია, რომ ყოველთვის ვიგონებთ იმას.  
 ვინც უკვე აღარ არის ჩვენი... მაგრამ მაინც...  
 ჩამომართვი, ჰილდა. (საკვოიავს აძლევს). კან-  
 ტორაში უნდა წავილით. არა, არ მომწონს ეს,  
 ჩემო კარგებო... ესე იგი, თვით წესი. დიახ, არ

შომონს, რომ ჩვენ უკვე წელიწადს... თუმცა... რას იზამ? სხვანაირად არ შეიძლება.

**გილა** (ხელმძარცხნივ მიდის ბაღში და საკეოიანი მიიქვს, მაგრამ ჩერდება, შემობრუნდება და ხელით ანიშნებს მამას). უყურე, ვილაყა მოდის. ალბათ, ინსპექტორია.

**ბრელმატა** (იქით იყურება). ვინ? (იციონს). რას არ იტყვი? მაშ, შენი აზრით, ეს ხნიერი კაცი არანოლშია?

**მანგელი**. მოიცა, ჩემო გოგონი... გგონი, მართლა ის უნდა იყოს... დიახ, დიახ, ღმერთმანი, ის არის!

**გილა** (დაეინებთ მისჩერებია, განცვიფრებული). მართლა არანოლშია!

ხელმძარცხნივ, გზაზე გამოჩნდება არანოლში: ელვაგანტურ საზავულო კოსტუმოშია გამოწყობილი; ოქროს ჩარჩოიანი სათვალე უქმთია; ხელში ტროსტი უჭირავს. ცოტა არ იყოს, დალილი გამოიყურება. გზიდან გადმოიხედავს, მეგობრულად ესალმება მასპინძლებს და ბაღში შემოდის.

**მანგელი** (შესაგებებლად მიეშურება). გამარჯობათ, ძვირფასო ინსპექტორო! სულთია და გულით მოგესალმებით.

**არანოლში**. გმადლობთ, ექიმო! უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

ერთმანეთს ხელს ართმევენ და ერთად მოდიან ბაღში.

ესეც თქვენი ქალიშვილები (ხელს ართმევენ და ავეირება). ღმერთმანი, ვერცერთს ვეღარ ვიცნობდი.

**მანგელი**. არცაა გასაკვირველი! **არანოლში**, თუმცა არა, ბოლტა... დიახ, ბოლტა შეიძლება მაინც მეცნო.

**მანგელი**. სიეგოა. რვა თუ ცხრა წელი იქნება, აღარ გინახავთ. და, საერთოდაც, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა აქ.

**არანოლში** (აქეთ-იქით იყურება). მე თუ მეითხავთ, არც ისე! თუ არ ჩათვლით იმას, რომ ხეებს ტანი აუყრიათ და აგერ ახალი ტალავერიკი გაგიმართავთ.

**მანგელი**. არა, მე ბაღს როდი ვვულისხმობ...

**არანოლში**. რა თქმა უნდა. ის ცვილივანცაა, რომ ახლა უკვე ორი გასათხოვარი ქალიშვილი გაუვთ სახლში.

**მანგელი**. ოო, გასათხოვარი ქერქერობით მხოლოდ ერთია.

**გილა** (ხმალბლა). ოჰ, ეს მამაჩემი...

**მანგელი**. მოდიო, ვერადაზე ჩამოვხედეთ. იქ უფრო გრილა, გოხოვთ.

**არანოლში**. გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო ექიმო.

ვერანაზე აღიან. კანგელი სარწეველაზე ანიშნებს არანოლში.

**მანგელი**. აი, აქ დაბრძანდით და დაისვენეთ. ცოტა არ იყოს, დალილი მერვენებით. ალბათ, გზამ დაგვალათ.

**არანოლში**. ეს არაფერი. ასეთ მშვენიერ გარემოში...

**გილა** (მამას). სოლიანი ხილის წვენი ხომ არ მოგართვით ტალავერში? აქ, ალბათ, მალე დაცხება.

**მანგელი**. დიახ, დიახ, ჩემო კარგებო. მოკრატო ხილის წვენი. კონიაკიც გამოაყოლოთ.

**გილა**. კონიაკიც?

**მანგელი**. ცოტა, იქნებ, ვინმეს მოუნდეს.

**გილა**. კეთილი. რაღას უყურებ, მილდა? კანტორაში გაიტანე საკეოიანი. (ოთახში შედის და კარს ჯახებურავს).

მილა ხელმძარცხნივ მიდის, თან საკეოიანი მიიქვს.

**არანოლში** (თვალს გააყოლებს ბოლტას). მართლაც, რა მშვენიერი ქალიშვილი... რა მშვენიერი ქალიშვილები დაგზრდიათ, ბატონო ვანგელ.

**მანგელი** (ჯდება). დიახ, ხომ კარგები არიან? **არანოლში**. განსაკუთრებით, ბოლტა... საოცარია, როგორ შეცვლილა. თუმცა, მილდაც... კი მაგრამ, თქვენ თვითონ, ბატონო ექიმო? შთელი სიცოცხლე აქ აპირებთ დაბრუნებას?

**მანგელი**. ეგრე გამოდის. აქ დავიხადე და, როგორც იტყვი, აქ გავიზარდე... აქვე ვიყავი ბედნიერი მასთან, ვინც ასე ნაადრევად დაგეტოვა... ვინც თქვენ თვითონაც ნახეთ, როცა უყანასკნულად იუჯით აქ.

**არანოლში**. დიახ... დიახ.

**მანგელი**. ახლა კი ბედნიერი ვარ იმის გვერდით. ვინც ის შეცვალა. დიახ, შემშიძია ვთქვა, რომ ბედნიერი ვიყავი იყო ჩემს მიმართ. **არანოლში**. მეორე ცოლთან შვილები არა გაუვთ?

**მანგელი**. მუყავა... ერთი... ამ ორნახევარი წლის წინათ. მაგრამ დიდხანს არ უცოცხლია. ოთხი თუ ხუთი თვისა მოგვიყვდა.

**არანოლში**. თქვენი მეუღლე შინ არ ბრძანდება?

**მანგელი**. ალბათ, მალე მოვა. სახანაოდაა წასული, ზავულობით ერთ დღესაც არ გააცდენს. რანიირი ამინდიც უნდა იყოს.

**არანოლში**. ხომ არაფერი აწუხებთ?

**მანგელი**. არა, არა, ვადაულოცო, ამ სიტუციის პირდაპირი გაგებით, ნამდვილად არ ექმნის. თუმცა ამ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე რატომღაც ძალიან ნერვიული გახდა. უფრო სწორად, დროადადრო. უცნაური შემოფოტება შეიპრობს ხოლმე. თვითონაც ვერ გამიგია, მაინც რა უნდა იყოს ამის მიზეზი. მაგრამ, აი, ზღვის გარეშე გაძლება კი არ შეუძლია.

**არანოლში**. მესმის.

**მანგელი** (ოღანვ შესამჩნევი დიმილით). თუმცა, შოლვიკენში მასწავლებლობისას, თქვენც ხომ იცნობდით ელიდიანს?

**არანოლში**. რა თქმა უნდა. პასტორის ოქახში ხშირი სტუმარი იყო. უშეტესწილად კი მან ვხვდებოდი, როცა შეუქურას ვესტუმრებოდა მამამისისა შევუვლიდი ხოლმე.





ვანგელი. დიახ, იმ დრომ, როგორც ჩანს, წარუშლელი კვალი დასტოვა მის ხელში. აქაურებს ეს არ ესმოთ. მეტახელიძე კი შეიარქვეს — „წღვის ასული“.

არნაოლში. მართლა?  
 ვანგელი. დიახ. სწორედ ამიტომ... ელანაკეთ, წარსული გაიხსენეთ, ძვირფასო არნაოლში ძალიან გაუხარდება.

არნაოლში (ივნიველად უყურებს). თქვენ ბზინათ?

ვანგელი. რა თქმა უნდა. ელიდა. (სყენის მიღობიდან). უკვე დაბრუნდი ვანგელ?  
 ვანგელი (დგება). დიახ, ჩემო ძვირფასო.

ბაღში ხელმარჯვნივ, ტალავებს იქით გამოჩნდება ფრუ ელიდა ვანგელი. ჭერ ისევ სველი თიები მხრებზე ჩამოშლია; თავსა და მხრებზე მსუბუქი შალი აქვს წამოსხმული. არნაოლში დგება.

(ლიბლით უწყდის ზელს). აი, ჩვენი წღვის დედოფალიც.  
 ელიდა (სწრაფად ამოობის ტერასებზე). მადლობა ღმერთს, რომ კვლავ ჩემთან ხარ როდის მოხვდები?

ვანგელი. ეს-ესაა. რამდენიმე წუთი იქნება. (არნაოლში ანიშნებს). კი მაგრამ, შენს ძველ ნაცნობს არ ესალმები?

ელიდა (ხელს უწყდის არნაოლს). აი, თქვენც ჩამობრძანდით. განაჩობათი მომიტყვევო, რომ შენ არ დაგხვდით.

არნაოლში. რას ბრძანებთ...

ვანგელი. წყალი დღეს სკეპოვად გრილი იყო? ელიდა. გრილია... ღმერთო ჩემო, აქ წყალი გრილი კი არა, ყოველთვის ისე მტკნარია და თბილი, ნაშვადილი დუბელაა... უუ! ამ შხერებში, მგონი, მაწყინარია კიბა.

არნაოლში. მაწყინარა?  
 ელიდა. დიახ; შეიძლება დაასწულოს ადამიანი.

ვანგელი (ლიბლით). მშვენიერი რეკლამაა ჩვენი კურორტისათვის!

არნაოლში. მე კი მგონია. ფრუ ვანგელ: რომ თქვენ სრულიად თავისებური დამოკიდებულება გაქვთ არა მარტო წღვის, არამედ ბევრი სხვა რამის მიმართაც.

ელიდა. შეიძლება. ხანდახან მეც ასე მგონია... მაგრამ ერთი შეხედვით, რა ლამაზად მოურთავთ ვერანდა გოგონებს თქვენი ჩამოსვლის აღსანიშნავად.

ვანგელი (დარცხვენით). მმ... (საათს დახედავს). ახლა კი უნდა დაგტოვოთ.

არნაოლში. ნუთუ მართლა ჩემი გულისთვის?  
 ელიდა. რა თქმა უნდა. ყოველდღე როდეს გვაქვს ამნარი პარადი... უუ, რა საინტელი სიციხეა. (ბაღში ჩადის). აქ ჩამობრძანდით; ნივთი მაინც უბერავს.

არნაოლში (ელადსთან მიდის). აქ კი საკმაოდ გრილია.

ელიდა. თქვენთვის — რა თქმა უნდა. იმ შეხუთულ ქალაქს ნაჩვევი... ამბობენ, წაფხულობით აუტანელი სიციხე იცისო.

ვანგელი (თვითონაც ბაღში ჩადის). მმ... ძვირფასო ელიდა, თუ შეიძლება, ერთი საათი შეიქცეე ჩვენი ხტუპარი.

ელიდა. საქმე გაქვს?  
 ვანგელი. დიახ, კანტორაში. შემდეგ კი ტანსაცმელს გამოვიცვლი. არ დავიგვიანებ.

არნაოლში (ტალავერში გდება). ნუ იქაჩებთ, ძვირფასო ექიმო. მე და თქვენი მეთულე საუბრით შევიქცეეთ თავს.  
 ვანგელი (თავს უქნევს). დიახ, დიახ, იმედი მაქვს... აბა, ნახვამდის. (ხელმარცხნივ მიდის ბაღში).

ელიდა. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ხომ კარგია აქ ჭოდმა?  
 არნაოლში. დიახ, მე პირადად ძალიან მსია.

ვოვნებს.  
 ელიდა. ამ ტალავებს ჩემი ტალავერი ბქვია. მე თვითონ მოვაწყობინე. ან, უფრო სწორად, ვანგელმა მოაწყო ჩემთვის.

არნაოლში. ხშირად ზიხართ აქ?  
 ელიდა. დღის უმეტეს ნაწილს აქ ვატარებ ხოლმე.

არნაოლში. ალბათ, გოგონებთან ერთად.  
 ელიდა. არა, გოგონები... ვერანდას ამგობინებენ.

არნაოლში. თვითონ ვანგელი?  
 ელიდა. ო, ვანგელი ხან აქაა და ხან იქ; ხან ჩემთან, ხან გოგონებთან.

არნაოლში. ეს თქვენ დააწინებთ?  
 ელიდა. ჩემის აზრით, ყველაზე ახე სქობია. აქედანაც შეგვიძლია ველაპარაკოთ ერთმანეთს... შთავარია, რაიმე გეჭონდეს სათქმელი.

არნაოლში (წუთით ჩაფიქრების შემდეგ). ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას... ესე იგი, იმ შოლვიკერში... მმ... რამდენი დრო გავიდა მას მერე...

ელიდა. მთელი ათი წელი...  
 არნაოლში. დიახ, დაახლოებით. მაგრამ როცა გიხსენებთ იქ, შუქურაზე.. ბებერმა პასტორმა „წარმართა“ შეგარქვეთ, იმიტომ, რომ მამათქვენმა ქრისტიანული სახელით კი არ მოათავსებინათ თქვენი თავი, არამედ — ხოშაღდის სახელით...

ელიდა. მაინც რა უნდა გეთქვათ ჩემთვის? არნაოლში. მართალი გიოხრათ, ყველაზე ნაკლებ მოველოდი იმას, რომ აქ შეგხვდებოდით როგორც ვანგელის მეთულეს.  
 ელიდა. დიახ, მაშინ ვანგელი ჭირ კიდევ... მაშინ ჭირ კიდევ ცოცხალი იყო გოგონების დედა... მათი მშობელი დედა...

არნაოლში. რა თქმა უნდა. მაგრამ მე ამას როდეს გვულისხმობ. ვანგელი მაშინაც რომ უცოდლო ყოფილიყო... ამის მსგავსს მაინც ვე-  
 რაფერს წარმოვიდგენდი.

ელიდა. ვერც მე უკველ შემთხვევაში, მაშინ — ვერასდობებით.

არანოლმი. ვანგელე, რა თქმა უნდა, დიდებული კაცია, ისეთი სუფთა, კეთილშობილი. ალაღ-მართალი... უკელას მიმართ გულისხმიერი...

ელიდა (გულწრფელი გრძობით). დიახ. სწორედ ასეთია!

არანოლმი. მაგრამ თქვენს შორის... ჩემის აზრით... ისეთი უზარმაზარი განსხვავება...

ელიდა. მართალი ბრძანდებით. დიახ, დიახ. არანოლმი, მას, როგორღა მოხდა ეს თქვენი შეუღლება? როგორ?

ელიდა. აჰ, ნუ მკითხავთ, ძვირფასო არნოლმი. მე თვითონაც ვერ ავხსნით. მაგრამ ედივაც რომ შეგვლო ახსნა, სულერთია, მაინც ვერაფერს გაიკეთებ...

არანოლმი. აჰ... (უფრო ხმადაბლა). თქვენი კმრისათვის ხომ არაფერი გითქვამთ ჩემზე?.. შე ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა, იმ უიღბლო ცდას... ერთხელ, თავდავიწყების უამს რომ...

ელიდა. არა, რას ბრძანებთ? სიტყვაც არ მითქვამს... იმის თაობაზე, რასაც თქვენ გულისხმობთ.

არანოლმი. მადლობა დემეტრის თორემ, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობდი თავს. როცა წარმოვიდგენდი, რომ...

ელიდა. დარდი ნუ გაქვთ. მე მხოლოდ ის ვუთხარი ვანგელს, რომ ძალიან ვაფასებდი თქვენს მეგობრობას, და რომ მაშინ თქვენზე სანდო და ერთგული არავინ მუავდა.

არანოლმი. დიდი მადლობა. მაგრამ მითხარით, რატომ ერთხელაც არ მომწერეთ წერილი ჩემი წასვლის შემდეგ?

ელიდა. მე მეგონა, არაფრად გეპიტნავებოდათ მისი წერილი, ვინც ცოლობაზე უარს გითხრათ. ჩემის აზრით, ეს ცუცხლზე ნავთის დასხმას ეშვანებოდა.

არანოლმი. აჰ... დიახ, დიახ, კაცმა რომ თქვას, სწორი ბრძანდებით.

ელიდა. კი მაგრამ, თქვენ მაინც რატომ აღარ მომწერეთ?

არანოლმი (მისჩერებია და თითქოს ყვედრებით იღიმება). მე... მე გადმომეღდა პირველი ნახიჩი, რომ თქვენ გეუთქათ, თითქოს ყველაფერს თავიდან დაწყებას ვაპირებ? ან ცივი უარის შემდეგ?

ელიდა. დიახ, გახატებია... გახატებია. მას შერი ცოლის შერთავზე აღარ გიფიქრიათ?

არანოლმი. არასოდეს. ჩემი მოგონებებიც ერთგული დავარჩი.

ელიდა (ნახევრად ზუმრობის კილოთი). კარგით ერთი მოეშვით მაგ სევდიანსა და დახავებული მოგონებებს. არა სჯობია, ბედნიერებაზე აფიქროს?

არანოლმი. მაგაზე ცოტა უფრო ადრე უნდა მეფიქრა, ფრუ ვანგელ. — არ დაგვიწყდეთ, — გამბედილსაც კი მრცხვენია, — ოცდამეჩვიდმეტეტი გადავდექი.

ელიდა. ჰოდა, მით უფრო მეტი სიჩქარე გამოთვთ. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ ხელად ხმადაბლა). მომისმინეთ, არნოლმი... რაღაცა უნდა გითხრათ... რასაც მაშინ ვერასდობებით ვერ გაგვიხელდით... სკვდილითაც რომ დამშუქრებოდით.

არანოლმი. ასეთი რა უნდა იყოს? ელიდა. იმ თქვენს უიღბლო ცდაზე, როგორც წინ თვითონვე ბრძანეთ, მაშინ არასდობებით არ შემეძლო, სხვანაირი პასუხი გამეცა.

არანოლმი. ვიცი, ვიცი. არ შეგეძლოთ სხვა რამე შემოგეთავაზებინათ ჩემთვის, გარდა თქვენი მეგობრობისა.

ელიდა. მაგრამ ის კი არ იცით, რომ მაშინ მთელი ჩემი არსება, სული და გული სხვას ეუფუნოდა.

არანოლმი. მაშინ? ელიდა. დიახ

არანოლმი. შეუძლებელია რაღაც გეშეუბნათ, მაშინ თქვენ არც კი იცნობდით ვანგელს.

ელიდა. მერე ვინ გითხრათ, რომ ვანგელს ვგულისხმობ?

არანოლმი. რა?.. კი მაგრამ, მაშინ... შოლკიევიწი... ერთსაც ვერავის ვიგონებ ისეთს, რომ ასე გატაცებით შეგაყვარებოდათ.

ელიდა. რა თქმა უნდა, უკვირიავე ეს იმდენად უცნაური...

არანოლმი. მას, დაწვრილებით მიამბეთ. ელიდა (აღუღრმანად). თქვენთვის იმის ცოდნაც საქმარისია, რომ მაშინ თავისუფალი არ ვიყავი, ამით უკმაყოფილო ნათქვამი.

არანოლმი. კი მაგრამ, თავისუფალი რომ უკმაყოფილო ვიყავი?

ელიდა. თქვენ გაინტერესებთ, როგორ მოვიქცეოდი მაშინ?

არანოლმი. დიახ. სხვანაირად მიპასუხებდით ჩემს წერილზე?

ელიდა. აბა, რა ცივი? აი, როცა ვანგელი გამოჩნდა, მაშინ კი შემეძლო სხვანაირი პასუხი გამეცა მისთვის.

არანოლმი. მას, ახლა რაღა ჩამოგადეთ სიტყვა იმაზე, რომ მაშინ თავისუფალი არ იყავით?

ელიდა (აღუღრმებული წამოღება). იმით, რომ ვიღაცას უნდა გავნდო... არა, არა, ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ.

არანოლმი. როგორ? მას, თქვენმა ქმარმა არაფერი არ იცის?

ელიდა. მე მაშინვე გამოუტყდი, რომ ოდესღაც სხვა მიყვარდა. მეტის გაგება თვითონაც აღარ მოუწოდებია და მას შემდეგ ამაზე, საერთოდ, აღარაფერი გეითქვამს... ისე კი, კაცმა რომ თქვას, ეს იყო ერთგვარი სიჩვეო. და, თანაც ყველაფერს სულ მალე მოვლი ბოლო. ენდობი, გარკვეული თვალსაზრისით.

არანოლმი (დებია). გარკვეული თვალსაზრისით? რასიომ? მაშასადამე, არა მოლიანად?

ელიდა. არა, არა, რა თქმა უნდა, მთლიანად.





ნად! ღმერთო ჩემო, კარგად ვერ გამოიგო. არწმომი თუშვა ამის გაგება არც შეიძლება მე თვითონაც არ ვიცი, როგორ ავიხსნათ ეს... თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ავადა ვარ, ან შევიწამლე.

**ბრწყინვალე.** ძვირფასო ფრუ ვანგელ... ახლა კი უპრობლემაო უნდა მითხრაო.

**მელიძე.** კეთილი, ვეცდები. ერთი ეს მითხარით, თქვენ, როგორც ჭკვიანი კაცი, როგორ ახსნით იმას, რომ... (განზე გაიხედავს და სიტყვა უწყდება). მერე... მგონი სტუმარია.

ხელმძღვანელი, გზაზე გამოჩნდებოდა ლიუნგსტრანის და ბაუნი შემოდის. დღეკლოში უვავილი გაურქვია, ხელში კი ვეებერთელა, ქალღმერთი გახვეული და ბავთით შეკრული თაფული უჭირავს. ვერანდასთან მიდის და გაუბედავად ჩერდება.

(ტალავერიდან გამოდის). გოგონებს ხომ არ ეძებთ, ბატონო ლიუნგსტრან?

**ლიუნგსტრანი** (შემობრუნდება). აჰ, თქვენ აჰა ხართ, ფრუ ვანგელ? (ესალმება და ახლოს მიდის). არა, გოგონებს კი არა, — თქვენ. ვახსოვთ, რომ მომიაბარებთ?

**მელიძე.** რა თქმა უნდა... ყოველთვის მოხარული ვიქნებით.

**ლიუნგსტრანი.** უღრმესი მადლობა. და რაკი ისეთი ბედნიერი დამთხვევაა, რომ ოჯახში ზეიმი გაქვთ...

**მელიძე.** მაშ, თქვენც იცით?

**ლიუნგსტრანი.** დიახ. ამიტომ გავკანძინებდები და თავს ნებას მივცემ, მოგართვათ... (თავდახრებით უწყვედის თაიგულს).

**მელიძე** (ღიმილით). კი მაგრამ, ძვირფასო ბატონო ლიუნგსტრან, ხომ არ აჯობებს, თვით დღევანდელი ზეიმის მიზეზს — ბატონ არწმომის მართვით ებ მშენიერი თაიგული?..

**ლიუნგსტრანი** (განცვიფრებულს არწმომზე გადააქვს შურა). მომიტყევეთ... მაგრამ მე არ ვიცნობ ბატონ... მე მხოლოდ... თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად, ფრუ ვანგელ...

**მელიძე.** ჩემი დაბადების დღის? გეშლებათ, ბატონო ლიუნგსტრან. დღეს არავის დაბადების დღე არ არის.

**ლიუნგსტრანი** (ემპატიური ღიმილით). ოო, ვიცი, ვიცი. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ასეთი საიდუმლო იყო?

**მელიძე.** მაინც რა იცით?

**ლიუნგსტრანი.** რომ დღეს თქვენი დაბადების დღეა.

**მელიძე.** ჩემი?..

**ბრწყინვალე** (განცვიფრებული უყურებს). დღეს? არა, არა მგონია.

**მელიძე** (ლიუნგსტრანს). ვინ ვითხარათ?

**ლიუნგსტრანი.** ფრიოკენ მილდამ გამიმუღავნა ეს საიდუმლო. ნახევარი საათის წინ ვიყავი აქ და ქალიშვილებს ვითხოვ, ეს ამდენი ყვა-ვილები და აღამი რას ნიშნავს-მეთქი?

**მელიძე.** მერე?

**ლიუნგსტრანი.** ჰოდა, ფრიოკენ მილდამ

მითხრა. დღეს დედაჩემის დაბადების დღეა. ელიძე. აა ჰო, დიახ, დიახ...

**ბრწყინვალე.** ააა (ელვდას გადახედავს). რა ხდება?

კი უმაწვილ კაცს უკვირ სცოდნია, ფრუ ვანგელ...

**მელიძე** (ლიუნგსტრანს). დიახ, რახან უკვირ იცით, მაშინ...

**ლიუნგსტრანი** (ხელახლა უწყვედის თაიგულს). ასე რომ, ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ...

**მელიძე** (თაიგულს ჩამობრთმევს). გმადლობთ, გმადლობთ. დაბრძანდით, ბატონო ლიუნგსტრან.

სამიწვენი ტალავერში სხდებიან.

რაც შეეხება დაბადების დღეს... მართლაც საიდუმლოდ ვინახავდით, ბატონო ინსპექტორ. ბრწყინვალე, გასაგებია. გარეშე ხალხს უპრობლემაო ხომ არ გახდებოდა?

**მელიძე.** რა თქმა უნდა... გარეშე ხალხს... **ლიუნგსტრანი.** სიტყვას გაძღვეთ, კრიტიკას ახსად დავძრავ.

**მელიძე.** არა, მე როდის ვგულხსნობ... ერთი ეს მითხარით, როგორ ახსენებთ? გარეშე უნდა თითქოს უკეთესობა გეტყობათ.

**ლიუნგსტრანი.** დიახ, მე მგონია, დღითიდღე უკეთეს ვხდები. ხოლო თუ გაისად სამხრეთშიაც მოვახერხებ წასვლა...

**მელიძე.** გოგონები ამბობენ, უთუოდ მოახერხებთ.

**ლიუნგსტრანი.** დიახ, ბერგენში ერთი მფარველი მყავს. შემპირდა, საგაისოდ დაგეხმარებო.

**მელიძე.** როგორ გაიცანით?

**ლიუნგსტრანი.** ოო, ბედმა გამიღიმა. მის ერთ-ერთ ვემზე დავიწყებ მუშაობა.

**მელიძე.** მართლა? ძალიან გაყვარებ ზღვა?

**ლიუნგსტრანი.** სულაც არ მიყვარს. მაგრამ დედა რომ გარდაეცვალა, გამაჩრებმა სახლში აღარ დამაყენა და ვემზე მომაწყობ. აქეთობისა, ლამაზში მარცხი მოგვივლიდა... ჩემად საბედნიეროდ.

**ბრწყინვალე.** როგორ?

**ლიუნგსტრანი.** როგორ და ისე, რომ სწორედ მაშინ შემეყარა ეს ჩემი ავადმყოფობა — სულის სუთვა. წყალი უნუღვივით ცვი იყო, ხოლო მე დიდხანს დავყავი შიგ, სანამ არ ამოვართიეს. ეს კი ნამდვილი ბედნიერება იყო ჩემთვის.

**ბრწყინვალე.** ვითომ?

**ლიუნგსტრანი.** რა თქმა უნდა. საშიში ხომ არაფერი მჭირს. საშავიროდ, ახლა კი შემობრძნობ სულტორი ვახდებ. რასაც მთელი სიცოცხლე ვნატრობდი. წარმოგიდგენათ, რა ბედნიერებაა სხეულების ძერწვა ამ საოცარი, რბილი თიხისგან, ასე მორჩილად რომ მოგვყვება ხელში!

**მელიძე.** მაინც რის გამოძერწვას აპირებთ? ალებს, ზღვის ასულების თუ ძველი ვიკინგებისას?

**ლიუნგსტრანი.** არცერთის. როგორც კი ო-

ტატობის საიდუმლოს დავუფლები, რაღაც დიდის გამოძერწვას ვცდი, ეგრეთწოდებულ სკულპტურული ჭგუფისას.

**ელიდა.** კერძოდ? **ლიუნსბერანი.** რაღაც ისეთის, მე თვითონ რომ განმიცდია.

**არნოლმი.** დიახ, დიახ, საყუთარი განცდილი უკვლას სჭრია.

**ელიდა.** კი მაგრამ, მაინც რას?

**ლიუნსბერანი.** ასე მაგალითად, ზშირად მიფიქრია, გამოძერწვა მეწვდურის ახალგაზრდა ცოლი... საბრალო ქალს ცუდად სძინავს... სიწმრები სტანავს. ვფიქრობ, იმდენს კი შევძლებ, რომ ეს თვალში საცემი იყოს.

**არნოლმი.** ნუთუ მხოლოდ ამ ერთ ფიგურას დასჭერდებით?

**ლიუნსბერანი.** არა, იქვე იქნება მეორეც... უფრო აჩრდილი. ვიდრე ზორცემსხმული ადაზინი. ეს მისი ქმარია, რომელსაც უღალატა და კაცო ზღვაში დაიხრჩო.

**არნოლმი.** რაო, რა ბრძანეთ?..

**ელიდა.** დაიხრჩო?

**ლიუნსბერანი.** დიახ, ცურვისას დაიხრჩო. მაგრამ მოხდა სასწაული და მაინც დაბრუნდა. იცით, უკვე დამემა... ის კი საწოლთან დგას და დასკვრის. დამხრავლს წურწურით ჩამოსდის წყალი და ძირს გუბდება.

**ელიდა** (სკამის ზურგზე გადაწევა და თვალს ზუჟავს). ღმერთო ჩემო, რა არის ეს?.. ყველაფერს ისე თვალნათლივ ვხედავს..

**არნოლმი.** კი მაგრამ, ბატონო... ბატონო... აჟი თვითონვე ბრძანეთ, მხოლოდ იმის გამოძერწვას ვაპირებ, რაც პირადად განმიცდიაო? **ლიუნსბერანი.** დიახ, დიახ, ესეც სწორედ ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება გახლავთ, ისე იგი, გარკვეული აზრით.

**არნოლმი.** ცხოვრებისეული გამოცდილება?.. კი მაგრამ, მკვდარი, დამხრავლი?..

**ლიუნსბერანი.** რა თქმა უნდა, უშუალოდ ცხოვრებიდან როდია აღებული; ვერ ვიტყვი. თითქოს საყუთარი თვალთ მენახოს; მაგრამ მაინც...

**ელიდა** (სწრაფად; როგორც ჩანს, ამ ამბავში ძალიან დაინტერესა). რაც შეიძლება დაწვრილებით გვთმობთ. მე მინდა ყველაფერი ვიცოდე, ყველაფერი.

**არნოლმი** (ღიმილით). დიახ, ეს სწორედ რომ სათქვენოა. სიუჟეტი ზღვის კოლორიტით.

**ელიდა.** აბა, გისმენთ, ბატონო ლიუნსბერან.

**ლიუნსბერანი.** მოგახსენებთ. იმხანად ქალაქ პლიუჟისის ნავსადგურში ვიდექით და სამშობლოში გამოსამგზავრებლად ემზადებოდით. მოულოდნელად, ბოცმანი გაგვიხდა ავად. იძულებულნი ვაგვძიო, მოსპიტალში დაგვიყვინა, მის ნაცვლად კი ერთი ამერიკელი მიგვიღო. ჰოდა, ამ ახალმა ბოცმანმა...

**ელიდა.** ამერიკელია?..

**ლიუნსბერანი.** დიახ, ამერიკელმა, — კაპიტანს ძველი გაზეთები გამოართვა წასაკითხად.

მთელი დასტა. ყველაფერს გულმოდგინედ ჩაჭიკიტებდა. თვითონვე გვიხორა, ნორვეგიის ლის სწავლას ვაპირებო.

**ელიდა.** მართლა? მერე?..

**ლიუნსბერანი.** ერთხელ ზღვა საშინლად აღელდა. მთელ ეკიპაჟს წევთ გამოუძახეს. ძირს მხოლოდ მე და ამერიკელი დავჩრით. მან ფეხი იღრძო და სიარული უჭირდა; მეც ავად ვიყავი და ვიწქი, ჰოდა, იქდა ეს ჩვენი ბოცმანი თავის კაიუტაში და ძველ გაზეთებს კითხულობდა.

**ელიდა.** მერე, მერე?..

**ლიუნსბერანი.** უცებ, ღამის გული შემიღონდა, ისე საზარლად დაიბღვლა თუ დაიღრიალა. შევხედე, მიწის ფერი აღევს სახეზე და გამწვარებთ კმუჭნის გაზეთს. მერე კი ნაკუნ-ნაკუნ დახია. მაგრამ უკვე დინჯად, აუჩქარებლად.

**ელიდა.** და არაფერი არ უთქვამს? არცერთი სიტყვა?

**ლიუნსბერანი.** მაშინვე — არაფერი. მაგრამ შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „გათხოვილა. ჩემს იქ არყოფნაში სხვას გაწყლია“.

**ელიდა** (თვალს დახუკავს; ხმადალა). ზუსტად ასე თქვა?

**ლიუნსბერანი.** დიახ, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნორვეგიულად. უაქცენტოდ. როგორც ჩანს, ეაღვილებოდა უცხო ენის შესწავლა.

**ელიდა.** კი მაგრამ, მერე რა მოხდა?

**ლიუნსბერანი.** მერე?.. რაღაც ისეთი უცნაური, რომ ვერასოდეს ვერ შევძლებ მის დაიწვეებას... დიახ, ისე უცნაურად და ჩუმად დასძინა: „მაგრამ ის მაინც ჩემია და ჩემს იქით ჭა არა აქვს, რომც დავიხრჩო, ზღვის ფსკერიდან ამოვალ, მივაკითხავ და ისიც უყოფანოდ გამომყვება უკან“.

**ელიდა** (ბელის კანკალით ისხამს წყალს ქიპაში). უჰ როგორ დაცხა...

**ლიუნსბერანი.** და ეს ისეთი ძალით თქვა, რომ ნამდვილად დაიჭრებდით, შეეძლო საქმედ ექცია სიტყვა.

**ელიდა.** არ იცით, მერე რა დემართა?

**ლიუნსბერანი.** აღმა, აღარცაა ცოცხალი.

**ელიდა** (სწრაფად). რატომ გგონიათ?

**ლიუნსბერანი.** იმიტომ, რომ სწორედ მაშინ მოგვიხდა მარცხი. მე დიდ ნავში აღმოვჩნდი, კაპიტანსა და ხუთ მეწვდურთან ერთად; შტუბმანი, ამერიკელი და კიდევ ერთი მეწვდური — პატარაში.

**ელიდა.** და მას შემდეგ აღარაფერი გსმენიათ მათზე?

**ლიუნსბერანი.** აღარაფერი. ჩემმა მეორეულმა მას წინათაც მომწერა. მაგრამ სწორედ იმიტომ არის სული მაჭვს, როდის ვამოვანადგებ. მეწვდურის მოღალატე ცოლი ისე ცოცხლად მიდგას თვალწინ... და ეს შურისმაძიებელიც, რომელიც დაიხრჩო და მაინც დაბრუნდა. ორივეს თვალნათლივ ვხედავ.





ელიდა (დღემა). მოდი, შინ შევიდეთ... ან არადა, ვანგელს ვეწვიოთ. აქ მართლა საშინლად ცხელა. (ტალავერიდან გამოდის).  
 ლიუნგსტრანი (თვითონაც დღემა). ახლა კი დროა დაგეშვებოდნოთ. მე მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ დაბადების დღე მომელოცა.  
 ელიდა. როგორც გინებოთ. (ხელს უწევდის). ნახვადის, დიდი მადლობა.

ლიუნგსტრანი თავს უკრავს და ხელპარცხნებ ვადის ბალიდან.  
 არნაოლში (ელლიან უახლოვდება). როგორც ვატყობ, ამ ამბავმა ძალიან ცუდად იმოქმედა თქვენზე, ფრუ ვანგელ.

ელიდა. დიახ, შესაძლოა, თუმცა...  
 არნაოლში. კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ნუთუ ასე მოულოდნელი იყო თქვენთვის?  
 ელიდა (გაოგნებული). მოულოდნელი? არნაოლში. დიახ.

ელიდა. როგორ? ვაჟ, იმის მოლოდინი უნდა მქონოდა, რომ უფრო უკვლოდ დაქარგული კაცი დაბრუნდებოდა, და, თანაც, ასე უცნაურად დაბრუნდებოდა?

არნაოლში. რა?... აა, თქვენ ამ დამთხვეული მოქანდაკის ნაამბობს გულისხმობთ?  
 ელიდა. არა, არც ისე დამთხვეულია, ძვირფასო არნაოლში.

არნაოლში. ვაჟ, თქვენზე მართლა ასე ძალიან იმოქმედა დამხრჩავალი მეზღვაურის ამბავმა? მე კი შეგონა...  
 ელიდა. რა? რა გეგონათ?

არნაოლში. მე შეგონა, ამით მხოლოდ თქვენს ნამდვილ განცდებს მაღავედით; დიახ, შეგონა, მთელი ამ ხნის განწავლობაში გტანჯავდა ის, რაც ახლახან გაიგეთ; კერძოდ, ის, რომ მთელი ოჯახი თურმე თქვენს ნამაღვედ დღესასწაულობს ერთ თარიღს... აღმოჩენა იმი-სა, რომ თქვენი ქმარი და მისი შვილები ცხოვრობენ მოგონებებით, რომლებშიც თქვენ არ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება.

ელიდა. ოჰ, არა, არა. დავი, უკმაყოფირო ისევე დარჩეს, როგორც არის. რა უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ ჩემი ქმარი მთლიანად და განუყოფლად მე შეუთვსონდეს?  
 არნაოლში. მე კი მაგონია, სრული უფლება მაქვს.

ელიდა. დიახ. თითქოს მაქვს და არცა მაქვს... აი, რაშია საქმე. მეც ხომ მაქვს სულში ისეთი ეუნქული... სადაც არავის გავაჭა-ქანებ.

არნაოლში. თქვენ? (ხმას დაუდაბლებს). იქნებ, სწორად ვერ გაგებთ?... დავიჭერო... ქმარი არ გიყვართ?  
 ელიდა. ოჰ, არა, არა, მიყვარს, მთელი ჩემი არსებით მიყვარს... და სწორედ ესაა საშინელება... რაღაც გაუგონარი, წარმოუდგენელი, დაუჭერბებილი!

არნაოლში. გამიზიარეთ მთელი თქვენი სატყუარი. ნურაფერს დამიბოლოვთ. მიწვევთ!  
 ელიდა. არ შემიძლია, ჩემო მეგობარო. ყო-

ველ შეგთხვევაში, ახლა მაინც. მერე, ვნახოთ გილიმბა (ვერანდაზე გამოდის და ბაღში ეშვება). აი, მამამ მოდის კანტორიდან. ხომ არ წამობრძანდებით? ერთად დავსდეთ სასტუმრო ოთახში.

ელიდა. კეთილი. ახლავე.  
 ვანგელი (მარცხნიდან გამოჩნდება ჰილდასთან ერთად; ტანსაცმელი გამოუცვლია). აი, მეც მოვედი. ახლა კი თავისუფალი ვარ. თითო ჰქია გამაგრილებელი სასმელი არ გავაყენებ.

ელიდა. მოითმინე! (ტალავერში შედის და თაიგული გამოაქვს).  
 გილდა. ერთი შეხედეთ, რა ლამაზი ყვავილებია ვინ მოგვცა?  
 ელიდა. მოკვანდაკე ლიუნგსტრანმა მომართა, ჩემო ძვირფასო.

გილდა (განცვიფრებით). ლიუნგსტრანმა? გილიმბა (შეშფოთებით). როგორ?... მეორედაც მოვიდა?

ელიდა (ძლივს იკავებს ღიმილს). დიახ, მუვიდა და ყვავილებიც მომართვა. დაბადების დღის აღსანიშნავად, გესმის?  
 გილიმბა (აღმატურად გადახედავს ჰილდას).

აა!  
 გილდა (ბუზღუნით). ბრიყვი ვანგელი (საშინლად აფორიაქებული). მამოცი, რა?.. უნდა გამოგიტყუო, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, რომ...  
 ელიდა (აწყვეტინებს). აქ მოდით, გოგონებო! რა იქნება, თქვენი ყვავილების გვერდით ჩემი თაიგულიც რომ ჩავდგათ წყალში?

გილიმბა (ჰილდას). არა, ჩვენში დარჩეს და მაინც ძალიან საყვარელია.  
 გილდა (ხმადაბლა, გაბრაზებით). თამაშობს თავს აწონებს მამას!

ვანგელი (ვერანდაზე, ხელს ართმევს ელიდას). გმადლობ, გმადლობ... სულით და გულ-ლით გმადლობ, ელიდა.  
 ელიდა (ყვავილებს წყალში დებს). რის მადლობა?!. რატომ არ შეიძლება, მეც შევუერთდე თქვენს ზეიმს... დედის დაბადების დღის აღსანიშნავად?

ბოლტა და ჰილდა ბაღში რჩებიან.

**მეორე მოქმედება**

ფლატე — ბუჩქნარით დაფარული მალღობი ქალაქგარეთ, — საიდანაც ფართო ხედი იშლება. ფლატის კილიდან ცოტა მოშორებით საზღვაო ნიშანი ღვას ფლოუბერითურთ. ირგვლივ დიდბორნი ქვები ყრია, ზედ თავისუფლად შეიძლება ჩამოყდეს კაცი. სიღრმეში მოჩანს შორს გაწოლილი ფიორდი. კუნძულები და გრძელი, ზღვაში შეჭრილი კონცხი. გამოილი ზღვა თვალისათვის უხილავია. ზაფხულის ნათელი ღამე. ცა და ქვარათა წერტილები ოქროსფრად და წითლად ღვიფიან. მარჯვნივ, ქვემო-დან, გუნდის ოთხხმიანი სიძლერა ისმის. საზღვაო ნიშნის ვასწვრივ, მარჯვნიდან მა-



რტნივ წყვილ-წყვილად მიდიან ინტიმურ საუბარში გართული ქალაქელი ახალგაზრდები. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდება ფერადი შალებითა და სამგზავრო ჩანთებით დატვირთული ბალესტედი, რომელიც უცხოელი ტურისტების დიდი ჯგუფის მეგზურის როლს ასრულებს.

**ბალესტედი** (ქობით ანიშნებს ზემოთ).  
 Sehen sie, meine Herrschaften, dort შემდეგ liegt eine andere შთა. Das willen wir აგრეთვე besteigen, und so herunter... (ინგლისურზე გადაღის და მთელი ჯგუფი ხელმარცხნივ გაპყავს).

მარჯვნივ, შთის ფერდზე სწრაფი ნაბიჯით ამოდის ჰილდა, ჩერდება და აქეთ-იქით იყურება. ცოტა ხნის შემდეგ, იმავე მხრიდან გამოჩნდება ბოლუქა.

**ბოლუქა**. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, რატომ გამოვეციტო ლიუნგსტრანს?

**ჰილდა**. იმიტომ, რომ ვერ ვიტან შთის კალთებზე ამნაირ ხსოვას. უყურე, უყურე, როგორ მოვლავს.

**ბოლუქა**. ხომ იცი, რა სუსტია.

**ჰილდა**. ვითომ რამე სერიოზული სტირს?

**ბოლუქა**. დიახ.

**ჰილდა**. ნასადილევს მამამ გასინჯა. ნეტავი მისი აზრი მაცოდინა.

**ბოლუქა**. მამამ მოთხრა, ფილტვების გამოკრევაბა თუ რაღაც ამგვარი სტირსო. დიხანს ვეღარ გაატანსო, — ასე თქვა.

**ჰილდა**. მამამაც იგარ თქვა? შენ წარმოიდგინე, მეც ზუსტად ასე ვფიქრობდი.

**ბოლუქა**. თუ ღმერთი გწამს, მასთან არაფერი წამოგცდეს.

**ჰილდა**. შენც იტყვი, რა! (ხმადაბლა). აი, ჩენი მანისც ამობობდა. რას იტყვი, შედეგო უტყობა, რომ ნამდვილი მანისია, არა?

**ბოლუქა** (ჩურჩულთ). წესიერად მოიქეცი. გარჩევი!

**ლიუნგსტრანი** (მარჯვნიდან გამოდის, ხელში ქოლგა უკირავს). მომიბრძოვეთ. ფრიოკენ, რომ ფეხდაფეხ ვერ მოვლათ.

**ჰილდა**. ეს ქოლგა სადღა იშოვეთ?

**ლიუნგსტრანი**. ჯობის წამოღება დამავიწყდა და დედათქვენმა მომცა საბჭენად.

**ბოლუქა**. მამაჩემი და დანარჩენები ქერკილად ქვევით არიან?

**ლიუნგსტრანი**, დიახ. მამათქვენი რესტორანში შევიდა. დანარჩენები კი სხედან და მუსიკას უსმენენ. მაგრამ შემდეგ ჩვენც ამოვალთო, დედათქვენმა ბრძანა.

**ჰილდა** (რომელიც ამ ხნის მანისიზე თვალს არ აშორებდა). ძალიან დაილაღებ?

**ლიუნგსტრანი**, ისე, რა ცოტას ჩამოვისვენებს. (წინ, ხელმარჯვნივ, ქვაზე ჯდება).

**ჰილდა** (მის წინ ჩერდება). ხომ არ იცით, ცეკვა-თამაში თუ იქნება?

**ლიუნგსტრანი**, დიახ, უური მოვკარი, აქნა...  
 ზაო.

**ჰილდა**. თქვენ გიუვართ ცეკვა?  
**ბოლუქა** (უვავილებს კრფს). აჰ, ჰილდა, რას საცდელი ბატონ ლიუნგსტრანს? დააცადე, სული მოითქვას.

**ლიუნგსტრანი** (ჰილდას). დიახ, ფრიოკენ, დიდი სიამოვნებით ვიცეკვებდი... რომ შემეძლოს.

**ჰილდა**. აა არასოდეს არ გისწავლიათ?  
**ლიუნგსტრანი**, არა, არ მისწავლია. მაგრამ ამას როდი ვგულისხმობ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ არ შემიძლია ცეკვა ჩემი ავადმყოფობის გამო.

**ჰილდა**. აი, ის... ქოშინი რომ გპირთ?  
**ლიუნგსტრანი**, დიახ.

**ჰილდა**. ძალიან გაწუხებთ?  
**ლიუნგსტრანი**, არა, ძალიან არა. (ლომით).

მე გგონია, სწორედ ამ ჩემი ავადმყოფობის გამოა, რომ ყველა ასე აღერსიანად და გულისხმიერად მექცევა; ყველა ცდილობს, რაღაცით დაემხმაროს.

**ჰილდა**, დიახ, დიახ. და თანაც, საშიში ხომ არაფერი გპირთ.

**ლიუნგსტრანი**, სრულებით არაფერი. მამათქვენის სიტუვიბიდან ეს დასკვნა გამოვიტანე.

**ჰილდა**. ყველაფერი გაივლის, როგორც კი სამოგზაუროდ წახვალთ.

**ლიუნგსტრანი**, დიახ, მამის კი ნამდვილად გაივლის.

**ბოლუქა** (უახლოვდება და უვავილებს უწევდას). აი, ბატონო ლიუნგსტრან... დილიკლოში გაიქვითე.

**ლიუნგსტრანი**, გამაღობოთ, გამაღობოთ, ფრიოკენ. რა გულკეთილი ბრძანდებით.

**ჰილდა** (დებლა, ხელმარჯვნივ იყურება). აგერ, ისინიც მოდიან.

**ბოლუქა** (თვითონაც იქით იყურება). მაგრამ თუ იციან, სად უნდა გადმოუხვიონ... აი, ხომ ზედვ, გზას ასცდნენ.

**ლიუნგსტრანი** (დგება). მოსახვევამდე ჩავიარებ და დაუფახებ.

**ჰილდა**. ხმას ვერ მიაწვდენო.

**ბოლუქა**. არა, არა, ტყუილად დაიღლებით.

**ლიუნგსტრანი**, დაღმართზე ჩასვლით რა დამლღის? (ხელმარჯვნივ ჩაღს).

**ჰილდა**. მოო, დაღმართზე... (თვალს აუყოლებს).

თანაც, რა ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა. იმას კი აღარ ფიქრობს, რომ ისევ უნდა ამობობდეს.

**ბოლუქა**, საწყალი.

**ჰილდა**. ხელი რომ ეთხოვა, გაჰყუებოდე ცოლად?

**ბოლუქა**, ხომ არ გაგაფიქრ?

**ჰილდა**. არა, რა თქმა უნდა. ასეთი ავადმყოფი რომ არ იყოს და ასე მაღე არ ეწეროს სიყვდილი, მაშინ..

**ბოლუქა**. მე გგონია, შენი შეხაფერიხი უფროა.



შილდა. ეგლა მაკლია სწორედ გახვრტილი გროშიც არ გააჩნია.

ბოლშებ. რა ვიცი, გვერდიდან კი არ სცილდები და.

შილდა. ო, ეს მხოლოდ მისი ავადმყოფობის გამო.

ბოლშებ. რაღაც ვერ გატყობ, რომ ძალიან გებრალბობდეს.

შილდა. მერედა, ვინ მოგახსენა, რომ მებრალდება? მხოლოდ ძალიან მაინტერესებს.

ბოლშებ. რა?

შილდა. რა და, როცა ეუუუერებ და ვამეორებინებ, რომ საშინო არაფერი სურს... რომ საზღვარგარეთ წავა და მოქანდაკე გახდებო. ისე გულწრფელად სჯერა და ისე უხარია... მთელი სულით და გულით. მაგრამ ვაი რომ ახდენა არ უწერია. არასოდეს. დღეებიც რომ დათვლილი აქვს. როცა ამზე ვფიქრობ, ღმერთმანი, სუნთქვა მეკვრის.

ბოლშებ. სუნთქვა გეკვრის?

შილდა. დიახ, მე პირადად სუნთქვა მეკვრის, თქვენის ნებართვით.

ბოლშებ. ფუ, ჰილდა, რა საზიზღარი ბავშვი ხარ!

შილდა. ვარ და ვიყო თქვენს ჭინაზე ვიქნები (ქვევით იყურება). მადლობა ღმერთს! არჩამოხმს მაინცდამაინც არ ებიტანება ამ მთის კალთებზე ბოხლდა. (მიიხედ-მოიხედავს). თუ იცი, რა შევნიშნე სადილზე?

ბოლშებ. რა?

შილდა. წარმოგიდგენია, არჩამოხმს ზედ კეფაზე სიქაჩედ იყუება.

ბოლშებ. ისუღელეა ვერ დავიჭერებ.

შილდა. მე გუუბნები. იყუება-მეთქი აი, აქ, უბებთანაც ნაკუბი აქვს. ღმერთო ჩემო! არადა, როგორ გიუვარდა, როცა გასწავლიდა, ბოლშებ!

ბოლშებ (ლიმილით). რაც მართალია, მართალია. მახსოვს, ერთხელ მიხობრა, ბოლშებ უშნო სახელით, და მე ცრემლებად დავიღვარე.

შილდა. წარმოგიდგენია?.. (ცვლად ქვევით იყურება). ერთი უყურე, ეს ჩვენი „ზღვის ასული“ მოდის და მამას კი არა, არჩამოხმს ელაპარაკება... თუმცა რა გასაკვირია, რომ ერთმანეთს ეტყუარებოიან...

ბოლშებ. სირცხვილი შენი, ჰილდა! ელიდაზე მაგის თქმა იქნება? მადლობა ღმერთს, ახლა მაინც ისე კარგად შევიწყვეთ ერთმანეთს..

შილდა. კი, როგორ არა.. რას არ წარმოიდგენ, სულელო! ამიჭერე, ვერასოდეს ვერ შევეწყობით ერთმანეთს, ის ჩვენი შესაფერისი არ არის, ჩვენ კიდევ — მისი. ნეტავი გამაგებინა, რაში დასჭირდა მამაჩემს მაგისი სახლში შემოთრევა? ღმერთმანი, არ გამოვიკირდება, ერთ მშვენიერ დღეს ჰკუიდან რომ შეიშალოს.

ბოლშებ. შეიშალოს? რას ბოლდა?

შილდა. რა გიკვირს? დედამისიც შეიშალოდა, ასე, შესლილი მოკვდა. ვიცი.

ბოლშებ. ნეტავი ეველაფერში არ ეტრებოდი თუ ღმერთი გწამს, ჰკუას მოუხმე დენას კბილი დააჭირე... გამას ხათრით, გესმის?

მარჯნიდან ამოდიან ვან გელი, ელი და, არჩამოხმის და ლიუნგსტრანის.

ელიდა (ქვევით, ფიორღზე უთითებს). იქ?! არჩამოხმს. დიახ, სწორია, — იქით.

ელიდა. იქით — გაშლილი ზღვაა.

ბოლშებ (არჩამოხმს). ხომ ლამაზია აქაურობა?

არჩამოხმს. დიახ, საოცრად ლამაზია, დიდებული.

მანგელი. უწინ, მგონი, ერთხელაც არ ყოფილხართ აქ.

არჩამოხმს. არცერთხელ. ჩემს აქ ყოფნაზე ამ ფლატზე გზა კი არა, საცალფებო ბილიკიც არ ამოდიოდა.

მანგელი. არც სახიერო ადგილი იყო სადმე. ეველაფერი ამ ბოლო დროს გაკეთდა.

ბოლშებ. ლოცმანის ფლატედან კიდევ უფრო დიდებული ხედი იშლება.

მანგელი. ხომ არ წავიდეთ იქით, ელიდა?

ელიდა (ხელმარჯვნივ ჩამოჭდება ქვეზე). არა გამადლობ. თქვენ წადით; მე კი ერთხანს აქ ვიქნები.

მანგელი. მაშინ მეც შენთან დავრჩები. გოგონებმა კი არჩამოხმს გააცილონ.

ბოლშებ. ვნებავთ, ბატონო არჩამოხმ?

არჩამოხმს. სიამოვნებით. როგორი გზა?

ბოლშებ. ოო, მშვენიერი, ფართო.

შილდა. ისეთი ფართო, რომ თავისუფლად შეგიძლიათ გვერდი-გვერდ, ხელკავით იაროთ.

არჩამოხმს (ხუმრობით). მართლა, ფრიოკენ ჰილდა? (ბოლშებს). ხომ არ შეგვემოწმებინა. მართალს ამბობს თუ არა?

ბოლშებ (ლიმილს იკავება). რატომაც არა? (ხელკავს გამოსდებს და ორივენი მარცხნივ მიდიან).

შილდა (ლიუნგსტრანს). იქნებ, ჩვენც წავსულიყავით?..

ლიუნგსტრანსი. ხელკავით?..

შილდა. რატომაც არა? სიამოვნებით.

ლიუნგსტრანსი (ხელკავს გამოსდებს, თან სახე უბრწყინავს). რა სასაცილოა!

შილდა. სასაცილო?

ლიუნგსტრანსი. დიახ, თითქმის შეეყვარებულები ვიყოთ.

შილდა. თქვენ, მგონი, ხელკავით არასოდეს გვიღიათ ქალთან, ბატონო ლიუნგსტრან.

ლიუნგსტრანსი. მარცხნივ მიდიან.

მანგელი (ნიშანთან დგას). როგორც იქნა, მართკ დავრჩით, ჩემო ძვირფასო.

ელიდა. დიახ, მოდი, გვერდით მომიჭექ.

მანგელი (ჭლებს). რა სივრცეა და სიჭმუმი.. ახლა მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

ელიდა. რაზე?

პანბელი. შენზე, ჩვენს ურთიერთობაზე, ელიდა. ჩემის აზრით, ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

მელიძე. მაშ, რა ვქნათ?

პანბელი. ერთმანეთს სრული ნდობა გამოვუსხადოთ, ჩემო ძვირფასო, და კვლავ ძველი-ბურად ვიცხოვროთ... ერთ-ბორც და ერთ-სულად...

მელიძე. აჰ, ნეტა შეიძლებაო... მაგრამ ვაი რომ არ შეიძლება!

პანბელი. მე მგონია, ასე თუ ისე, მესმის შენი ხანდახან ისეთი სიტყვები წამოგდენია, რომ, ჩემის აზრით, ახლა უკვე ყველაფერს ვხვდები.

მელიძე (აგზნებულად). არა, არა! ნუ იტყვი, რომ ხვდები!

პანბელი. მაგრამ მე მაინც ვხვდები. შენ ისეთი ერთგული, გულწრფელი და ალაღ-მართალი ხარ, ელიდა...

მელიძე. დიახ, ასეა.

პანბელი. ამიტომაც მშვიდად და ბედნიერად შეიძლება გარკნობდე თავს მხოლოდ სრული ურთიერთნდობისა და გულწრფელობის ვითარებაში.

მელიძე (დაძაბული მისჩერებით). მერედა... რა?

პანბელი. შენ იმისთვის არა ხარ შექმნილი, რომ მეორე ცოლი იყო.

მელიძე. ახლა როგორღა მიხვდი ამას?

პანბელი. ეს აზრი, ბუნდოვნად, დიდი ხანა მიტრიალებს თავში, მაგრამ მხოლოდ დღეს გამოიკეთა ნათლად. ბავშვების მიერ დედის სხოვნის ასე მალულად აღნიშვნა... შენ, ალბათ, თანამონაწილე გგონივარ... რას იზამ, ქმარი ასე აღვიღლად ვერ იფიქრებს. ყოველ შემთხვევაში, მე ისეთი კაცი არა ვარ...

მელიძე. ვიცი, ყველაფერი მშვენივრად ვიცი.

პანბელი. და მაინც, შენ სცადები, ელიდა, შენ გგონია, თითქოს ბავშვების დედა ჭერ კიდევ ცოცხალია... თითქოს დღემდე უხილავად დგას ჩვენს შორის... და თითქოს ჩემი სული გაორებულია — შენც გეკუთვნის და მანაც. ასე რომ, ჩვენი ურთიერთობა, გარკვეული აზრით, ერთგვარ უწინობად თუ წინდაცემულობად მიგანია, ამიტომაცაა, რომ აღარ შეგიძლია... ან აღარ გინდა, ჩემთან იცხოვრო, როგორც ცოლმა.

მელიძე (ღებდა). მაშ, შენ ყველაფერს ამ თვალთ უყურებ? ყველაფერი ასე გეხმის?

პანბელი. დიახ, როგორც იქნა, ბოლოს მაინც ნათლად დავინახე და ბოლომდე ჩავხვდი.

მელიძე. მაშ, ბოლომდე ჩახვდი? არა, ოღონდ მაგას ნუ იფიქრებ!

პანბელი. თუმცა ისიც მშვენივრად მესმის, რომ ეს ჭერ კიდევ არ არის ყველაფერი.

მელიძე (შეშინებულად). გეხმის, რომ ეს ჭერ კიდევ არ არის ყველაფერი?

პანბელი. დიახ. შენ ვერ იტან აქაურობას. ეს ქარაფები გორგუნავენ და სულს გიხუთავენ.

არც სინათლე გუოფნის, არც სივრცე. მაგრამ გაკლია, რომ ლაღად, მთელი მკერდით ისწურო.

მელიძე. დიახ, დიახ, მართალი ხარ. დღე და ღამე, წამთარ-წაფუხუ... მე მღრღნის და მარამებს უთქმელი სევდა... სამშობლო მენატრება. ზღადა მენატრება.

პანბელი. ვიცი, ვიცი, ჩემო ძვირფასო. (თავზე ხელს ადებს). მაშ, ასე, ჩემი საბარლო, სნეული ბავშვი თავის სახლს, სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს.

მელიძე. ეგ როგორ გავიგო?

პანბელი. სულ უბრალოდ: ავადგებით და გადავსახლდებით.

მელიძე. გადავსახლდებით?

პანბელი. დიახ, სადმე გაშლილი ზღვის პირას... სადაც ისე იგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

მელიძე. მეორედ აღარ წამოგდებს. ეს შეუძლებელია, ჩემო ძვირფასო! შენ ვერასოდეს ვერ იგრძნობ თავს ბედნიერად სადმე სხვაგან სხვანაირ გარემოცვაში.

პანბელი. ოო, მე როგორმე გავძლებ. ან კი აჰ, ამ გარემოცვაში რა ბედნიერი უნდა ვიყო — უშენოდ?

მელიძე. მაგრამ მე ხომ აქა ვარ და აქვე დავრჩები. შენი ვარ, გეხმის? შენი.

პანბელი. ვითომ, ელიდა?

მელიძე. აჰ, ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე... აკი აქაა ყველაფერი, რითაც ცოცხლობ და სულდგმულობ. მთელი შენი სიცოცხლის საქმე.

პანბელი. მე კი გეუბნები, ყველაფერს მოველთა-მეთქი. სულერთია, მაინც გადავსახლდებით. სადმე ზღვის პირას, საბოლოოდ გადავწყვიტე, ჩემო ძვირფასო.

მელიძე. კი მაგრამ, შენის აზრით, რას მოვიკებთ?

პანბელი. მოიკებთ, სულიერად გაჯანსაღდები, სიმშვიდეს ბოვებ.

მელიძე. საეჭვოა. მაგრამ შენ? შენს თავზეც ხომ უნდა იფიქრო? სთქვი, რას მოიგებ? პანბელი. კვლავ დაგიბრუნებ, ჩემო ძვირფასო.

მელიძე. შეუძლებელია არა, არა, ვანგელ, ეგ არ მოხდება! მთელი საშინელებაც ესაა სწორედ.

პანბელი. უნდა ვცადოთ. რაკი ასეთი აზრები მოგდის თავში, ამიტომ შენთვის არ არსებობს ხსნის სხვა გზა და საშუალება, გარდა აქედან წასვლისა. და რაც უფრო მალე წავალთ, მით უკეთესი. საბოლოოდ გადაწყვეტილია, გეხმის?

მელიძე. არა! მაშინ, სჯობია, ყველაფერი გულახდილად გითხრა.

პანბელი. დიახ, დიახ, მიიხარო, აუცილებლად მიიხარო.

მელიძე. ასე ნუ სწუხარ ჩემზე. მით უმეტეს, რომ ეგ წუხილი ვერცერთს ვერაფერს გვშველის.





პანბელი. შენ შემპირდი, ყველაფერს გულახდილად გიტყვიო.

ელიდა. შეძლებისდაგვარად, ვეცდები, ყველაფერს ისე ვიამბობ, როგორც მე თვითონ მაქვს წარმოდგენილი. მოდი აქ, ჩემს გვერდით ჩამოქექე.

ორივენი ქვებზე სხდებიან.

პანბელი. აბა, ელიდა... გისმენს..

ელიდა. იმ დღეს, როცა ცოლობა მთხოვე, ისე გულახდილად და პატიოსნად მიახმე ყველაფერი შენს პირველ ქორწინებაზე. ძალიან ბედნიერი ვიყავიო, — მითხარი შენ.

პანბელი. დიახ, ბედნიერი ვიყავი.

ელიდა. მჭერა, მჭერა, ჩემო ძვირფასო. შენს წარსულზე ამიტომ როდი ჩამოვავადე სიტყვა. მე მხოლოდ მიხდოდა შემეხსენებინა, რომ თვითონაც გულახდილი ვიყავი შენს მიმართ. მეც მაშინვე გამოგატყდი, რომ ერთხელ უკვე მიუვარდა სხვა... და რომ ჩვენს შორის ლამის ნიშნობამდრეც კი მივიდა საქმე.

პანბელი. ლამის?..

ელიდა. დიახ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ ჩვენი საყვარელი მალე დამთავრდა. ის წავიდა, და მე ყოველგვარი ურთიერთობა გაუწყვიტე მასთან. ყველაფერი ეს მაშინვე გითხარია.

პანბელი. მაშინ რატომღა ვქექავთ წარსულს, ჩემო ძვირფასო? ყოველივე ეს ხომ, არსებითად, არც შეხებოდა მე. არც არასოდეს მივითხავს ვინ იყო-მეთქი.

ელიდა. მართალია, არ გავითხავს. შენ ყოველთვის ისეთი ფაქირი და გულისხმიერი იყავი ჩემს მიმართ.

პანბელი (ღიმილით). თუ ასეა, მაშინ... მე ხომ თითქმის ვხვდებოდი, ვინც იქნებოდა; შემძლო სახელიც კი მეთქვა შენთვის.

ელიდა. სახელიც?

პანბელი. შოლვიყენსა და მის შემოგარენში არც ისე ბევრი სასიძო იყო, რომ ვერ მივხვდებარეო. ბევრი კი არა, მხოლოდ ერთი, ერთადერთი თუ იყო...

ელიდა. შენ, ალბათ, არსაშეშს გულისხმობ.

პანბელი. დიახ, განა ის არ იყო?..

ელიდა. არა.

პანბელი. არა? მაშინ მე უკვე ჩიხში ვექცევი.

ელიდა. თუ გახსოვს, ერთხელ, შემოდგომის დამლევს, შოლვიყენს დიდი ამერიკული გემი მოადგა. რალაც დაწინაბოდა და უნდა შეტეოთენინათ.

პანბელი. მახსოვს, როგორ არ გახსოვს. ამ გემზე არ იყო, ერთ დილას, კაპიტანი რომ მოკლული იპოვეს თავის კაიუტაში? მე თვითონ გავეკეთე გვამი.

ელიდა. დიახ.

პანბელი. ამბობდნენ, უმცროსმა შტურმანმა მოკლაო.

ელიდა. დაბეჭიბიბით არავინ არაფერი იცოდა. საქმე გაუხსენილი დარჩა.

პანბელი. მაგრამ, ცხადია, დამნაშავე მაინც ის იყო. უდანაშაულო კაცი არ გაიქცეოდა და დახრჩობასაც გადაჩრებოდა.

ელიდა. ის არ დამხრჩავდა. ვეშაბმებერ გემს გამყვა ჩრდილოეთში.

პანბელი (გაოგნებული). კი მაგრამ, შენ რა იცი?

ელიდა (თავს ძალს ატანს). დიახ, ვანგელს... სწორედ ის კაცი იყო... ჩემი საქმრო.

პანბელი (წამოვარდება). რაო? შეუძლებელია!

ელიდა. დიახ, ასეა. მე მისი საცოლდე ვიყავი.

პანბელი. კი მაგრამ, ღვთის გულისხათვის, ელიდა!... რამ გაიძულა, რომ ამნაირ... სრულიადაა უცნობ კაცს ცოლობაზე დასთანხმებოდი? ...რა ერქვა?

ელიდა. მე ფრთხილად გამეცნო, წერილებს კი ხელს აწერდა როგორც ალფრედ ჯონსტონი.

პანბელი. სადაური იყო?

ელიდა. ამბობდა, ჩრდილოელი ვარ, ფინ-მარკენელიო. წარმოშობით ფინელი ყოფილა. პატარაობისას გადმოსახლებულა ნორვეგიაში მამასთან ერთად.

პანბელი. მაშასადამე, — კვნი.

ელიდა. დიახ, ასე უწოდებდნენ მათ.

პანბელი. კიდევ რა იცი მასზე?

ელიდა. მხოლოდ ის, რომ ადრე დაუწყია მეზღვაურობა; სად არ ყოფილა, რა არ უნახავს, შორეული ქვეყნები მოუვლია.

პანბელი. მეტი არაფერი?

ელიდა. არა, არც ისე ბევრ რამეზე ვლაპარაკობდი.

პანბელი. ვაინც?..

ელიდა. უმეტესწილად, — ზღვაზე.

პანბელი. აა... ზღვაზე?

ელიდა. დიახ, ზღვაზე მბორგავ ქარიშხალსა და ზღვის მყუდროებაზე ქარიშხლის ჩადგომის შემდეგ. კუნაბეტ ღამეებში მთვლემარე და მზის სხივების აღერსში სინარულით მოციწინარ ზღვაზე. უფრო ხშირად, — ვეშაბებზე, დელფინებსა და შერებში, მზის გულზე, მზიარული დგფუწით მონებზე სელაბებზე. ვლპარაკობდით აგრეთვე თოლიებზე, ზღვის არწივებსა და სხვა ფრინველებზე. და, რა უცნაურია, — მეჩვენებოდა, თითქოს ეს ზღვის ცხოველები და ფრინველები მისი მონათესავენი იყვნენ.

პანბელი. კი მაგრამ, შენ?..

ელიდა. დიახ, თითქოს მეც ნათესავებად მერგებოდნენ.

პანბელი. გასაგებია... და შენ მისი საცოლდე გახდი?

ელიდა. დიახ. ასე მითხრა, უარის თქმის უფლება არა გაქვსო.

პანბელი. არა გაქვსო? კი მაგრამ, შენი საკუთარი ნება არ გქონდა?

ელიძე. როცა მის გვერდით ვიყავი, — არა. ეგვი არ იყო, ყველაფერი ისე უცნაური და გაუგებარი მეჩვენებოდა.

პანგალი. ხშირად ხვდებოდით ერთმანეთს? ელიძე. არა, არც ისე ხშირად. ერთხელ ჩვენსას მოვიდა, შუქურას დასათვალიერებლად სწორედ მაშინ გავიცანი. შემდეგ დროდადრო ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე კი... ეს უბედურება მოხდა. იმუღებულნი შეიქნა გაქცეულიყო.

პანგალი. გასაგებია. მერე, მერე? ელიძე. დილაუთენია, მისი ბარათი მივიღე პრაქტიკურად მიხარებად, — ხომ იცი, ასე ჰქვია კონცხს შუქურასა და უბეს შორის.

პანგალი. ზო, ვიცო. ელიძე. ჰოდა, სწორედ იქ დამიბარა. ახლავე მოდიო; უნდა მომლაპარაკებოდა.

პანგალი. და შენც მიხვდი? ელიძე. დიახ. მიუსვლელია არ შემეძლო. ჰოდა, მიაშბო, წუხელი დანა დავარტყი კაბიტანსო.

პანგალი. თვითონ გაიშბო? მაშასადამე, მაინც გამოტყდა?

ელიძე. დიახ, მაგრამ ისიც დასძინა, მართალი ვიყავიო.

პანგალი. მართალი ვიყავიო? კი მაგრამ მაინც რატომ მოკლა?

ელიძე. ეგ აღარ უთქვამს. რა ქალის საქმეაო, — მითხრა.

პანგალი. და შენ ეგვიც არ შეგაპრავია მის სიმართლეში?

ელიძე. აწარადაც არ მომსვლია ეგვის შეტანა. მაგრამ წასვლით კი აუცილებლად უნდა წასულიყო. და, აი, სანამ გამომეშვიდობებოდა... არა, შენ ვერ წარმოიადგენ, რა მოიგონა! პანგალი. მაშინ, მითხარი!

ელიძე. ჰიბიდან გასაღებების რგოლი ამოიღე და თითქმის ბეჭედი წაიძრო, რომელსაც ყოველთვის ატარებდა, მერე მეც წამაძრო ბეჭედი, ორივე გასაღებების რგოლით შეაერთა და მითხრა, ახლა ჩვენ ზღვა შეგვაუღლებსო.

პანგალი. ზღვა შეგვაუღლებსო? ელიძე. დიახ, ასე თქვა და ბეჭედები შორის ზღვაში ისროლა.

პანგალი. და შენც დეთანხმე, ამას, ელიძე?

ელიძე. დიახ, შენ წარმოიადგინე, დავეთანხმე... მაშინ მეგონა, რომ ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო... მაგრამ, მადლობა ღმერთს.. მაშინვე წავიდა.

პანგალი. მერე?.. ელიძე. შენ აღბათ გეხმის, რომ მალე მოვიდე გონს. მივხვდი, რომ ყოველივე ეს სისულელი, უაწრობა იყო.

პანგალი. მაგრამ შენ წერილები ასხენე. მაშასადამე, შემდეგაც გატყობინებდა თავის ამბავს?

ელიძე. დიახ. ჭარ იყო და, არხანგელსკი-

დან მივიღე სულ ორიოდე ზეკარი. შერედა ამერიკაში მივემგზავრებოო და იპაურ მისა- მართსაც მატყობინებდა. ეს იყო და...

პანგალი. შენც უპასუხე? ელიძე. დაუყოვნებლივ. რა თქმა უნდა, ვწერდი, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია, გთხოვ დამივიწყო, ისევე, როგორც მე დაგივიწყე-მეთქი.

პანგალი. მაგრამ მან მაინც მოგწერა? ელიძე. დიახ.

პანგალი. მერედა, რა გიპასუხა შენს წერილზე?

ელიძე. ერთი სიტყვაც არ უხსენებია. თითქოს ყოველგვარი ურთიერთობა არც გამეწყვიტოს მასთან. მხოლოდ მომწერა — ისე მშვიდად და დილაგებით, — დამელოდე და შეგატყობინებ, როდის შევძლებ შენს წაყვანასო. ჩემს იქით გზა არა გაქვს, აუცილებლად უნდა გამოიშვიყო.

პანგალი. ესე იგი, შენი ხელიდან გაშვება არ უნდოდა?

ელიძე. დიახ. მაშინ მე კვლავ მოვწერე თითქმის სიტყვა-სიტყვით იგივე, რასაც პირველ წერილში ვწერდი. შესაძლოა, ცოტა უფრო მკვეთრადაც.

პანგალი. მერე, დაგაუბლდა?

ელიძე. აინუნშიაც არ ჩაუგდია. ისეთივე მშვიდი და აუღელვებელი ტონით მომწერა, თითქოს ჩემი წერილი არც კი მიეღოს. მაშინ მივხვდი, რომ ამ გზით ვერაფერს გავხდებოდი და მეტი აღარ მიმიწერია.

პანგალი. არც მისგან მიგილია წერილი?

ელიძე. არა, სამი წერილი კიდევ მივიღე. ერთი — კალიფორნიიდან, მეორე — ჩინეთიდან. უკანასკნელი კი — ავსტრალიიდან. მწერდა. ოქროს საძიებლად მივდივარო. მას შემდეგ მისი არა გამოვიცა რა.

პანგალი. ამ კაცს უჩვეულო გავლენა ჰქონია შენზე. ელიძე.

ელიძე. ზო, საშინელი კაცია, საშინელი! პანგალი. მაგრამ ნულარასოდეს გაიხსენებ მას, ნულარასოდეს! სიტყვა მომეცო, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო! ვეცდები, ერთხელ და სამუდამოდ გიხსნა, განგაურნო. შენ უფრო სუფთა და გრილი ჰაერი გჭირდება, ვიდრე ამ ჩვენი უბის ჰაერია. ნოტიო, მლაშე, მაცოცხლებელი, ნაწივლი ზღვის ჰაერი! რას იტყვი?

ელიძე. აჰ, ნურაფერს მეტყვი, და ნურც იფიქრებ ამაზე! მაინც ვერაფერს მოშველი. მე გგონია, ამ საშინელ ტვირთს ვერსად და ვერასოდეს ვერ მოვიცილებ.

პანგალი. მაგრამ შენ უკვე მოცილიე ეს საშინელება. და თანაც, დიდი ხნის წინათ, როცა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტე მასთან. მაშასადამე, შიშვაც უკვე გაგაიარა.

ელიძე. (წამოიჭრება). არა! საქმეც ისაა, რომ არა! არ გაუვლია!

პანგალი. არა?

ელიდა. არა, ვანგელ, არაი ვშიშობ, რომ არც არასოდეს გაივლისი სანამ ცოცხალი ვარ! მანგელი (ყრუდ). იქნებ, იმის თქმა გსურს, რომ სულის სიღრმეში ვერასოდეს ვერ შესძელი ამ კაცის დავიწყება?

ელიდა. არა, დავივიწყებ; მაგრამ თითქოს ისევ დაბრუნდა. მანგელი. როდის?

ელიდა. დაახლოებით სამი წლისა თუ ცოტა მეტო ხნის წინათ. ბავშვს რომ ველოდი. მანგელი. ააი მაშინ? დიახ, ელიდა.. ახლა კი ბევრი რამ გასაგებია ჩემთვის.

ელიდა. სცდებები, ძვირფასო! რაც მაშინ დამეშინებდა... ჩემის აზრით, ვერავენ ვერასოდეს გაიგებს ამ ქვეყნად!

მანგელი (ღრმად დამწუხრებული მისჩერებით). როგორი გასაგებია, რომ მთელი ამ სამი წლის მანძილზე სხვა გიჟვარდა სხვა! მე კი არა... სხვა!

ელიდა. სასტიკად სცდებში არავინ არ მიუვარს შენს გარდა!

მანგელი (ყრუდ). თუ ასეა, მაშინ მთელი ამ ხნის მანძილზე რატომ არ ცხოვრობდი ჩემთან... როგორც ცოლი?

ელიდა. იმ კაცის შიშით.

მანგელი. შიშით?

ელიდა. დიახ, შიშით და ძრწოლით, რაღაც იდუმალი საშინელების გრძნობით, რომელიც ჩემის აზრით, ადამიანს შეიძლება ჩაუნერგოს მხოლოდ ზღვამ. უფრო მიგდ, ვანგელ...

ბელმარცხნივ გამოჩნდებიან გოსევირნე წყვილები, ცოლქმარს უსალმებიან და მარცხნივ მიდიან; მათ შორის არიან არნჰოლმი, ბოლეტა, ჰილდა და ლიუნსტრანი.

ბოლეტა. თქვენ კვლავ აქა ხართ? ელიდა. დიახ. რა საქმია აქ ყოფნასი ისეთი სიგრილვა ამ მაღლობზე.

ბარნოლმი. ჩვენ კი საცქეპაოდ მივდივართ ქვემოთ.

მანგელი. კეთილი. ჩვენც მალე ჩამოვალთ. ჰილდა. ნახვამდის.

ელიდა. ბატონო ლიუნსტრანი... ერთი წუთით, თუ შეიძლება.

ლიუნსტრანი ჩერდება, ბოლეტა, ბარნოლმი და ჰილდა კი კვალდაკვალ მისდევან დაწინაურებულთ.

ნუთუ თქვენც ციკავთ? ლიუნსტრანი. არა, არა მგონია, რომ ეს ჩემთვის ნებადართული იყოს.

ელიდა. დიახ, უმჯობესია, თავს გაუფრთხილდე. თქვენი გულ-მეკრძა... ჩერ ხომ საბოლოოდ არ გამოქობინებულხარ?

ლიუნსტრანი. არა, საბოლოოდ არა.

ელიდა (ცოტა არ იფოს, ენის ბორძიკით). მაინც რამდენი ხანი გავიდა... იმ თქვენი მარცხის შემდეგ?

ლიუნსტრანი. როდესაც ავად გავხდი? ელიდა. დიახ, დღეს დილით რომ მიამბეთ.

ლიუნსტრანი. რამდენი და... მოითმინეთ... დაახლოებით, სამი წელი.

ელიდა. მაშ, სამი წელი?

ლიუნსტრანი. ან, შეიძლება, ცოტა მეტიც. ამერიკული ნავსადგურიდან თებერვალში გამოვედით, ეს მარცხი კი მარტის თვეში მოვიხებდა. საბუნიობო ქარიზსლების ზონაში მოვხვდით.

ელიდა (ვანგელს გადახედვს). აი, როდინდელი ამბავია ეს.

მანგელი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო...

ელიდა. მეტს აღარ დავაუწყებთ, ბატონო ლიუნსტრანი. წაბრძანდით. ოღონდ არ იცეკვოთ.

ლიუნსტრანი. არა, მარტო ვუყურებ. (ხელმარჯვნივ მიდის).

მანგელი. კი მაგრამ, მაგის კითხვა რაში დაგჭირდა, ჩემო ძვირფასო?

ელიდა. სწორედ იმ გემზე იყო ჯონსტონი, დარწმუნებული ვარ.

მანგელი. ვითომ?

ელიდა (პასუხის ნაცვლად). როგორც ჩანს, გემზე გაიგო, რომ სხვას გავყევი ცოლად. და, აი, სწორედ მაშინ დამატყდა თავს...

მანგელი. ეს საშინელება?

ელიდა. დიახ. ხანდახან ცოცხალივით მიდგას თვალწინ. არა, უშუალოდ თვალწინ კი არა, ოდნავ განწ. მხოლოდ მე არასოდეს არ მიუყურებს. ისე დგას, თავისთვის.

მანგელი. მაინც როგორ გერჩენება ხოლმე?

ელიდა. ზუსტად იმ სახით, უკანასკნელად რომ ვნახე.

მანგელი. ათი წლის წინათ.

ელიდა. დიახ, იქ, კონცხზე. ყველაზე ნათლად მის მაღსტრუში ჩარჭობილ ქინძისთავს ვხედავ, — დიდი, ცისფერი მარგალიტი როგორც ცხადში, ისე კიფოზს. გაგუდული თევზის თვალსა ჰგავს, და ეს თვალი თითქოს დაინებით მიცქერის.

მანგელი. დღერთო ჩემო! შენი ავადმყოფობა უფრო სერიოზულია, ვიდრე მეგონა! უფრო სერიოზული, ვიდრე შენ თვითონ გგონია, ელიდა.

ელიდა. დიახ, დიახ. მიშველეთ, თუ შეგიძლია ასე მგონია, რომ ეს საშინელება სულ უფრო და უფრო ღრმად მითრევს, თითქოს მთლიანად მისრუტავს.

მანგელი. და ამ საშინელ განცდებში გაატარებ მთელი სამი წელი? ასე სასტიკად იტანჯებოდი და მაინც არაფერი მითხარი?

ელიდა. არ შემეძლო. სანამ იძულებული არ გავხდი, ისევ და ისევ შენი გულისთვის. ეს რომ მეთქვა, მაშინ ისიც უნდა გამეზნოდა, რის სათქმელადაც ენა არ მომიბრუნდებოდა... ის, რაც საერთოდ არ იქმნის...

მანგელი. რა?... რა არ იქმნის?..

ელიდა (ცდილობს გაერიდოს). არა, არა, არა!

ნუ მკითხავი მხოლოდ ერთს გეტყვი, და მეტს არაფერს... რითი აიხსნება ეს საშინელი გამოცანა, ვანგელ... რომ ჩვენს პატარას... ამნაირი თვალები ჰქონდა?..

**ვანგელი.** დამერწმუნე, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, ეს მხოლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფია. ჩვენს პატარას ზუსტად ისეთივე თვალეები ჰქონდა, როგორც ყველა ჩვეულებრივ ბავშვსა აქვს.

**ელიზა.** არა როგორ ვერ შენიშენი მისი თვალეების ფერი იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ როგორი ფერი ჰქონდა ზღვას. როცა მზიანი დარი იდგა და ნაზად მოლოდინე ფიორდი თითქოს იცინოდა, ბავშვის თვალეებში ზუსტად ზღვისფერი იყო. ავადრშიც — ასევე... შენ თუ ვერ ამჩნევდი, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თვალს არაფერი გამოჰპარვია.

**ვანგელი** (თვინიერად). მმ... ვთქვით და ასმც იყო. მერე რა?

**ელიზა** (უახლოვდება; ჩუმიად). საქმე ისაა, რომ ამნაირი თვალეები ადრეც მინახავს.

**ვანგელი.** სად? როდის?

**ელიზა.** კონცხზე. ათი წლის წინათ.

**ვანგელი** (ნაბიჯით უკან იხევს). რაო?..

**ელიზა** (მთელი სხეული უცაბეკაბებს; ჩურჩულით). ჩვენს პატარას... იმ უცნობი კაცის თვალეები ჰქონდა.

**ვანგელი** (უნებურად შეპყვირებს). ელიდა...  
**ელიზა** (სასოწარკვეთილი ხელებს იმტერებს თავსზემოთ). ახლა ხომ გესმის, რატომ არ მინდა... უფრო სწორად, რატომ ვერ ვებედავ, შენთან ვიცხოვრო როგორც ცოლმა? (სწრაფად შეტრიალდება და ხელმარცხნივ თავკევე ეშვება).

**ვანგელი** (უკან მისდევს). ელიდა... ელიდა... ჩემო საბრალო, უბედურო ელიდა!

### მისამდე მომხდებარ

მიყრუებული კუნჭული ექიმ ვანგელის ბაღში; ნესტიანი, ქაობიანი, ტანშალაო, ბებერი ხეებით დაჩრდილული. ხელმარცხნივ ხავსით დაფარული ტბის ნაპირი ჩანს. დაბალი მსუქარი ბაღს გზატკეცილისა და სღორმეო გაწოლილი ფიორდის ნაპირისგან ჰყოფს. შორს, ფიორდს გაღმა, მთაგრეხილი და ქარაფების წვეტიანი თხემები მოჩანს. საღამოვდება.

ხელმარცხნივ, ქვის მერხზე ჩამომკდარა ბოლეტა და რაღაცა კერავს. ვერღით ორი წინადა და კალათა უდევს. ჰილდა და ლიუნგსტრანი ანკესებითა და ჩოგანბადებით ტბის ნაპირს უტრიალებენ.

**ჰილდა** (რაღაცას ანიშნებს ლიუნგსტრანს). ხედავ... რამხელაა..

**ლიუნგსტრანი** (იქითვე იყურება). სად, აბა, სად?

**ჰილდა** (ხელით უჩვენებს). წითუ ვერ ხედავთ? აი, იქ, ქვემოთ... აგერ კიდევ... უშურეთ,

უშურეთ!.. დმერთმანი, მეორეც... (ხეებს შორის იჭყიტება). მოდის... ოჰ, თევზს და ვიფრთხობს.

**ბოლეტა** (თავს ასწევს). ვინ მოდის?

**ჰილდა.** ვინა და, შენი ინსპექტორი, ქალბატონო!

**ბოლეტა.** ჩემი?..

**ჰილდა.** დიახ, შენი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი არასოდეს ყოფილა.

ხელმარცხნივ გამოჩნდება არნჰოლმი.

**არნჰოლმი.** ოჰო, აქ უკვე თევზი მომარაღდა?

**ჰილდა.** რა თევზი, გამოყრუებული კარჩხანები დაცურავენ.

**არნჰოლმი.** დავიჭერო, დღემდე ცოცხლები არიან?

**ჰილდა.** ამათ რა მოჰქლავთი თუმცა ორიოდეს ახლა მოვუსწრაფებთ სიცოცხლეს.

**არნჰოლმი.** არ გერჩიათ, ფიორდზე გეცადათ ბედი?

**ლიუნგსტრანი.** არა, ტბა... უფრო იდუმალია და, როგორც იტყვიან, მეტის აღმთქმელიც.

**ჰილდა.** დიახ, აქ გაცილებით უფრო საინტერესოა... თქვენ ნაპირიდან მოდხართ?

**არნჰოლმი.** დიახ. ეს-ესაა ვიზნავე.

**ჰილდა.** მმ... იზნავეთ თუ ნაპირზე იჭყუმბაღავეთ?

**არნჰოლმი.** სწორია, დღი ვერაფერი მოცურავე გახლავართ.

**ჰილდა.** ზურგლით თუ შეგიძლიათ ცურვა? **არნჰოლმი.** არა.

**ჰილდა.** მე კი შემიძლია. (ლიუნგსტრანს). მოდი, გაღმა ცვალოთ ბედი.

ხელმარცხნივ მიუყვებიან ტბის ნაპირს.

**არნჰოლმი** (ბოლეტას უახლოვდება). რა მართო წიხართ, ბოლეტა?

**ბოლეტა.** ოო, მე თითქმის სულ მართო ვარ.

**არნჰოლმი.** დედა ბაღშია?

**ბოლეტა.** არა, ალბათ მამასთან ერთად წავიდა სახიეროდ.

**არნჰოლმი.** დღეს როგორაა?

**ბოლეტა.** მართალი ვითხრათ, არ ვიცი. დამავიწყდა მეცითხა.

**არნჰოლმი.** ეგ რა წიგნებია?

**ბოლეტა.** ერთი — ბოტანიკა, მეორე — ნიდაგათცოდნეობა.

**არნჰოლმი.** გიყვართ ამნაირი წიგნების კითხვა?

**ბოლეტა.** დიახ, როცა მყალია... თითქმის მთელი დრო საოჯახო საქმეებს მიაქვს.

**არნჰოლმი.** კი მაგრამ, დედათქვენი... დინიაცვალი... არ გეხმარებთ?

**ბოლეტა.** არა, ყველაფერი ჩემს კისერზე გადადის. იმ ორი წლის მანძილზე, როდესაც





მამაჩემი ქვრივი იყო, მთელ ოჯახს მე ვუძღვლი-  
დი, არც შემდეგ შეცვლილა რაში, ყვოლაფი-  
რი უწინდებურად დარჩა.

**ბრწყინი.** მაშ, ძველებურად გუპაროთ კი-  
ოხვა?

**ბოლიტა.** დიახ, ვითხოვლობ სხვადასხვა სა-  
ინტერესო და სასარგებლო წიგნებს, რაც ხე-  
ლში ჩამივარდება, მინდა ვიცოდე, რა ხდება  
ქვეყნად. აჰ, ამ მიყრუებულ კუთხეში ხომ  
თითქმის ყველაფერს მოწყვეტილი ვართ.

**ბრწყინი.** რას ამბობთ, ძვირფასო ბო-  
ლიტა?

**ბოლიტა.** რა თქმა უნდა. მე თუ მკითხავთ,  
ჩვენი ცხოვრება დიდად როდი განსხვავდება  
ამ ტბორში მოფუთფუთე კარჩხანების ცხოვ-  
რებისაგან. გვერდით ფიორდი აქვთ, სადაც  
ლღად დანავარდობენ თავისუფალი თევზების  
უზარმაზარი გუნდები. ამ საცლადგამა შინაურ-  
მა თევზებმა კი არაფერი იციან მათ ცხოვრე-  
ბაზე და ვერც ვერასოდეს მიიღებენ მონაწი-  
ლეობას მასში.

**ბრწყინი.** არა მგონია, მაინცდამაინც ბედ-  
ნიერად ეგრძნოთ თავი, ამ ტბორიდან ფიორდ-  
შიც რომ გადაგსხათ.

**ბოლიტა.** ო, ჩემის აზრით, ეგ სულერთია.

**ბრწყინი.** ეგეც არ იყოს, არც იმის თქმა  
შეიძლება, თითქმის აქ მთლიანად მოწყვეტილი  
იყო ნამდვილ ცხოვრებას. ყოველ შემთხვე-  
ვაში, ზაფხულში მინც, როცა ეს თქვენი  
ქალაქი არისტოკრატთა ნამდვილ საკრებულოდ  
იქცევა.

**ბოლიტა** (ლიბილით). ვინც ჩვენ ქალაქში  
მხოლოდ სტუმრად ჩამოვდის, მას, რა თქმა  
უნდა, ადვილად შეუძლია გაგვაქილიყოს.

**ბრწყინი.** ვინ?.. მე გაქილიკებთ?.. როგორ  
გეპაუტებთ!

**ბოლიტა.** კი მაგრამ, „არისტოკრატთა სა-  
კრებულო“ რომ ამბობთ, რა არის ეს, თუ  
არა ჩვენი მოქალაქეების საყვარელი გამო-  
ქმის სიტყვა-სიტყვით გამოერება? საწყლები  
თავს იწონებენ ამით.

**ბრწყინი.** მართალი გითხრათ, ეგ მეც  
შევინწინე.

**ბოლიტა.** მაგრამ ეს ჩვენთვის, აქაურებისა-  
თვის, ხომ მართლედნ ლიტონი სიტყუებია და  
მეტი არაფერი. ვითომ რა დიდი ბედენაა, რომ  
ეს „არისტოკრატები“ ამ ჩვენს პატარა ქალაქ-  
ზე გაიშლიან მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ  
აქ გადის გზა, რომლითაც ჩრდილოეთისაკენ  
ემურებიან, რათა შუალამის მწვე იწილონ?  
თვითონ ჩვენ ხომ ვერასოდეს შევუერთდებით  
მათ კომპანიას? არა, აქაურების ბედით, ალბათ,  
ისაა, რომ მთელი ჩვენი წუთისაფელი ამ კარ-  
ჩხანების ტბორში გავლიოთ.

**ბრწყინი** (გვერდით მიუჯდება). ერთი ეს  
მითხარით, ძვირფასო ბოლიტა... თქვენ, ალ-  
ბათ, გაქვთ ვარკვეული მიზანი, რომლისკენაც  
ისწრაფით.

**ბოლიტა.** რა თქმა უნდა.

**ბრწყინი.** მინც?..

**ბოლიტა.** უწინარეს ყოვლისა, მინდა თავი  
დავალწყო აქაურობას.

**ბრწყინი.** მაშ, ეს — უწინარეს ყოვლისა?  
**ბოლიტა.** დიახ. შემდეგ კი — სწავლა გან-  
ვადრო, ნამდვილი ცოდნა შევიძინო.

**ბრწყინი.** როდესაც მე გასწავლიდით, მა-  
მათქვენი ამბობდა, ხელს არ შევუშლი, პირი-  
ქით, დავებმარები იმაში, რომ სწავლა გააგრძე-  
ლოსო.

**ბოლიტა.** ეჰ, საწყალი მამა... თქმით კი,  
იცოცხლებო, ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ საქმე  
საქმეზე რომ მიდგება, მაშინ... მამაჩემს ნების-  
ყოფა აკლია.

**ბრწყინი.** სამწუხაროდ, სწორი ბრძანდ-  
ბით, ნებისყოფა მართლაც აკლია. მაგრამ ოდ-  
ნამე მისთვისაც თუ გათქვამოთ ეს? რა თქმა  
უნდა, სერკოვსუდაც და დაბეჭითები?..

**ბოლიტა.** არა, მართალი გითხრათ, არ მი-  
ქვამს.

**ბრწყინი.** მაშ, ახლა მინც უთხარით. სა-  
ნამ გვიან არ არის, ბოლიტა. რატომ აჭიანუ-  
რებთ საქმეს?

**ბოლიტა.** ალბათ იმიტომ, რომ მე თვითო-  
ნაც მაკლია ნებისყოფა. როგორც ჩანს, მემ-  
კვიდრეობით ვაღმომეცა მამაჩემისაგან.

**ბრწყინი.** მშ... კი მაგრამ, თუ სცდებით  
და უსამართლოდ მსჯელობთ თქვენს თავზე?

**ბოლიტა.** არა, სამწუხაროდ, ხავსებით სა-  
მართლიანად. ეგეც არ იყოს, მამაჩემს სადა  
აქვს იმისი დრო, რომ ჩემზე და ჩემს მომა-  
ვალზე იფიქროს? არც დრო და, სხვათა შო-  
რის, არც სურვილი ამნარიი საქმეებზე, ცდი-  
ლობს, ყოველთვის სამერმისოდ გადადოს. ელი-  
დას გარდა არავისთვის აღარ სცლია...

**ბრწყინი.** ელიდას გარდა?..

**ბოლიტა.** იმას მოგახსენებთ, რომ მამაჩემს  
და დედინაცვალს... (აღარ ამთავრებს). დედას  
და მამას თავიანთი ცხოვრება აქვთ, გესმით?

**ბრწყინი.** მაშინ მით უფრო უკეთესი იქ-  
ნებოდა, რომ აქედან წასულიყავით.

**ბოლიტა.** რა თქმა უნდა, მაგრამ მე გო-  
ნია, რომ ამის უფლება არა მაქვს. დიახ, უფ-  
ლება არა მაქვს, მივატოვო მამა.

**ბრწყინი.** კი მაგრამ, ძვირფასო ბოლიტა,  
ერთხელაც იქნება, ხომ მიატოვებთ? ამიტომ,  
ჩემის აზრით, რაც უფრო მალე გადადგამთ ამ  
ნაბიჯს, მით უკეთესო...

**ბოლიტა.** როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი  
არ არის. ჩემს თავზეც ხომ უნდა ვიფიქრო-  
ვეცადო, რაღაცას მოვეპოელო ამ ცხოვრებაში.  
როდესაც მამა აღარ იქნება, ვინდა დამჩრება ამ  
ქვეყანაზე? არავინ, სრულიად არავინ... მაგრამ  
საბრძლო მამა... როგორ მივატოვო?.. ამას გა-  
ფიქრებაზეც კი ტანში მწარავს.

**ბრწყინი.** ტანში მწარავით?

**ბოლიტა.** დიახ... როცა გავიფიქრებ, რომ  
მართო დარჩება.

ბრწყინვალე... დამართო ჩემო, კი მაგრამ თქვენი დღეინაცვალე? ის ხომ მასთან იქნება!

**ბოლშევიკი.** დავუშვათ. მაგრამ ელიდას სრულიად არ შეუძლია ის, რაც ასე კარგად შეეძლო ცხოვრებულ დედაჩემს. ელიდა ბევრ რამეს ვერ ხედავს, ან, შესაძლოა, არა სურს დაინახოს... ან კიდევ, მისთვის სულერთია ყოველივე ეს. ვერ გეტყვით, რომელი ვარაუდია უფრო სწორი.

**ბრწყინვალე.** მმ... მე მგონია, ვხვდები, რასაც გულისხმობთ...

**ბოლშევიკი.** საბრალო მამა... მეცოდება, ცოტა არ იყოს, სუსტი კაცია. აღმათ თვითონაც შენიშნეთ. იმდენი საქმე არა აქვს, რომ თავისუფალი დრო აღარ დარჩეს. აი, სწორედ მაშინაა ცოცხალი. ელიდას კი ნამდვილად არ შესწევს იმის უნარი, რომ მხარში ამოუდგეს. თუმცა მამაში ნაწილობრივ, შეიძლება, თვითონ მამაჩემიც იყოს დამანაშავე.

**ბრწყინვალე.** როგორ?

**ბოლშევიკი.** აჰ, მამას უნდა თავის გარშემო მხოლოდ მხიარულება და ბედნიერი სახეებს ხედავდეს. ასე ამბობს, სახლში ყოველთვის მწე უნდა იცინოდესო. ამიტომ, მე მგონია, ხშირად აძლევს ელიდას ისეთ წამლებს, რომლებმაც შეუძლებელია დიდი ხნით რაიმე არგოს მას.

**ბრწყინვალე.** მართლა?...

**ბოლშევიკი.** დიახ, რატომღაც თავიდან ვერ ვიცილებ ამ აზრს. ელიდა ზოგჯერ ისეთი უცნაურია. (უეცრად წაიფეთება). მაგრამ სადაური სამართალია, მთელი ჩემი დღე და მოსწრება შინ ვიჯდე? კაცმა რომ თქვას, ამით ვითომ რას ვარგებ მამას? ბოლოს და ბოლოს, ჩემი თავის წინაშეც ხომ მაქვს გარკვეული მოვალეობა? ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

**ბრწყინვალე.** იცით, რას გეტყვით ძვირფასო ბოლშევიკო?... მე და თქვენ გულდასმით უნდა მოვილაპარაკოთ ამაზე.

**ბოლშევიკი.** არა მგონია, აშინ რამე მიშველდეს. რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედ. როგორც ჩანს, მთელი ჩემი წუთისყოფილი აქ უნდა გავლიო და აქვე მოვკვდეთ. — ამ კარჩხანების ტბორში.

**ბრწყინვალე.** რას ბრძანებთ? ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

**ბოლშევიკი.** (გამოიციცხლება). ვითომ?

**ბრწყინვალე.** რა თქმა უნდა. დამერწმუნეთ... თქვენი ბედი მთლიანად თქვენსავე ხელთაა.

**ბოლშევიკი.** ნეტავი მართლა... მამასთან ხომ ვერ შემაწვეთ ორიოდ სიტყვას?

**ბრწყინვალე.** რატომაც არა. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მიინდა გულახდილად მოგელაპარაკოთ, ძვირფასო ბოლშევიკო... (მარცხნივ იყურება). სსუ... ჭებჭებობით ჩვენს შორის დარჩეს. შემდეგ კვლავ დავუბრუნდებით ამას.

ხელმარცხნივ გამოჩნდება ელიდა. უქულოდაა, მხრებზე შალი მოუსხამს.

**ელიდა** (აგზნებით). რა სჭობია აქაურობას? დამართო, რა მშვენიერია!

**ბრწყინვალე** (დგება). სეირნობდით? იმდენი ვიარეთ... რომ იცოდეთ, რა კარგი იყო! ახლა კი გვინდა წავით გავისეირნოთ.

**ბოლშევიკი.** ხომ არ ჩამოქვებით?

**ელიდა.** არა, ვაძლავ. ერთ ადგილას ჯდობა არ შემიძლია.

**ბოლშევიკი** (წიგნებს და კალათას თავისკენ მიიჩიებს). ადგილი გვეყოფა.

**ელიდა** (მოუსვენრად წრიალებს). არა, არა, არა! არ შემოძლია არ შემოძლია!

**ბრწყინვალე.** როგორც ჩანს, გასეირნება მოგხბდათ. მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებით.

**ელიდა.** რაც მართალია, მართალია დამართო, რა ბედნიერი ვარ!.. და, რაც მთავარია, ისე დამშვიდებული, დაწყნარებული.. (მარცხნივ იყურება). ხედავ, რამხელა გემია?

**ბოლშევიკი** (წამოდგება და ზღვას გასცქერის). ინგლისური საოცენოა გემი უნდა იყოს.

**ბრწყინვალე.** ლუზის ჩაწვებას აპირებს. განა აქ ჩერდებიან ხოლმე?

**ბოლშევიკი.** მხოლოდ ნახევარი საათით. ნავსადგური უფრო შორსაა, ურთველი.

**ელიდა.** ხვალ კი... კვლავ გავა გაშლილ ზღვაში... შორს, ძალიან შორს. ნეტა მეც მისი მგზავრი ვიყო! რა ბედნიერი ვიქნებოდი! რა ბედნიერი!..

**ბრწყინვალე.** არასოდეს გიმგზავრიათ გემით, ფრუ ვანგელ?

**ელიდა.** არასოდეს. ისე, მხოლოდ შებრებში.

**ბოლშევიკი** (თბერით). დიახ, ჩვენ, როგორც ჩანს, ხმელეთს უნდა დავჭერდეთ.

**ბრწყინვალე.** კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა სწორედ ხმელეთი არაა ჩვენი ნამდვილი ადგილ-სამყოფელი?

**ელიდა.** არა მგონია.

**ბრწყინვალე.** რა არა გგონიათ? ის, რომ ჩვენი ადგილი ხმელეთზეა?

**ელიდა.** დიახ. მე თუ მკითხავთ, ადამიანები რომ იმთავითვე მისჩვეოდნენ ზღვაზე, ან, თუ გნებავთ, ზღვაში ცხოვრებას, ჩემის აზრით, ჩვენი ყოფა სულ სხვანაირი იქნებოდა — გაცილებით უფრო სისხლსავსე და სრულყოფილი; დიახ, გაცილებით უფრო უკეთ და ბედნიერად ვიცხოვრებდით.

**ბრწყინვალე.** ნუთუ მართლა აგერ გგონიათ?

**ელიდა.** დიახ. სწორედ ასე მგონია, და ძალიან მაინტერესებს, მართლა ასეთი იქნებოდა თუ არა ჩვენი ცხოვრება სინამდვილეში. ვანგელთან ზშირად მილაპარაკია ამაზე...

**ბრწყინვალე.** მერედა, თვითონ რა აზრისაა?

**ელიდა.** სავსებით შესაძლებლად მიაჩნია.

**ბრწყინვალე** (ხუმრობით). დავუშვათ, რომ სწორი ბრძანდებით... მაგრამ წარსულს უკან ვიღარ დაბრუნებ. მამასადაემ, ჩვენ სხვა გზით წავიდეთ და ზღვას კი არა, ხმელეთს

მივხსნადავით. ასე რომ, ახლა უკვე შეუძლებელია ამ შეცდომის გამოსწორება.

ელიდა. დიახ, სამწუხარო ჭეშმარიტებას ზრძანებთ. მე მგონია, ადამიანები ინსტიტუტურად გრძნობენ რაღაც ამადგავარს. ამიტომაცაა, რომ განუყრელად თან სდევთ ფარული სევდა და სინანული. დამერწმუნეთ, მხოლოდ ეს თუ ავიხსნის ღრმა ადამიანური სევდის საიდუმლოს.

ბრანკოლში. კი მაგრამ, ძვირფასო ფრუ ვანგელ... ვერ ვიტყვი, რომ ადამიანებს ასე ძალიან აწამებდეთ ეს ფარული სევდა. პირიქით, მე თუ მკითხავთ, მათი უმრავლესობისათვის ცხოვრება ბედნიერებაა და სიხარული... უჩვეულო, ენითუთქმელი, დიდი სიხარული.

ელიდა. არა, ვერ დაგეთანხმებით. ეს სიხარული იმ გრძნობასა ჰგავს, ზაფხულის გრძნობას და ნათელი დღე რომ გვანიჭებს; გრძნობას, რომელსაც განუყრელად თან ახლავს მოგონება ზამთრის წყვლიაღზე, კვლავინდებურად რომ განმეორდება. და ეს მოგონება ისევე გვიწამლავს სიხარულს... როგორც ცაზე მოულოდნელად ჩამოწოლილი საავდრო ღრუბელი თავის პირქვეშ ჩრდილს აფენს ფორდს, სულ ახლახან ნეტარებით რომ გაუყრსულიყო, ღუჩაჩი, ნათელი, ნაზად მოვიფლევო... და უცებ... ბოლქმბ. თუ ღმერთი გწამს, მოეშვი ამ სევდიან ფიქრებს. წყადან ისეთი მზიარული და ბედნიერი იყავი.

ელიდა. დიახ, ვიყავი. ეს კი... დიდი სისულელეა ჩემის მხრივ. (შეშფოთებული მიიხედვს). ნეტა ვანგელი მალე მოვიდეს. შემპირდა, მაგრამ რომ არსადა ჩანს. ალბათ, დააიწყდა. თუ შეიძლება, ბატონო არნოლდი, სადმე მოძებნეთ, რა.

ბრანკოლში. სიამოვნებით.

ელიდა. უთხარით, ახლავე აქ გაჩნდი-თქო... თორემ ვეღარა ვხედავ...

ბრანკოლში. ვეღარა ხედავთ?..

ელიდა. აჰ, ვერ გამოიგეთ. როცა ჩემთან არ არის, ვეღარ წარმოვიდგენ... მის სახეს ვეღარ ვიხსენებ ხოლმე. და მაშინ მიჩვენებდა, თითქოს საბოლოოდ დაჰყარა... ეს კი ისეთი მტანჭველი, ისეთი საშინელი ზანცდაა ჩემთვის... წადით, წადით, გემუდარებით! (მოუსვენრად წრიალებს ტბის ნაპირას).

ბოლქმბ. (არნოლდს). მე გაგაიცილებთ. გზა რომ არ იცით...

ბრანკოლში. არა უშვავს რა, თვითონ გავიგნებ...

ბოლქმბ. (ხმადაბლა). არა, არა, მე თვითონაც შიში მიპყრობს, ვითუ გემისკენ წავიდა. ბრანკოლში. რისი გეშინიაო?

ბოლქმბ. იშვიათად თუ გაუშვებს გემს, რომ ზედ არ ავიდეს, იქნებ ნაცნობი იყოს ვინმე... გემზე კი ბუფტობა...

ბრანკოლში. აა! წავიდეთ, წავიდეთ (ბოლქმბსთან ერთად ზელმარცხნივ მიდის).

ელიდა დგას და ტბას ჩაშტერებია. დროდა-

დრო ჩემი. გაურკვეველი შეძახილი აღმოხდება. ზელმარცხნივ, გზაზე, ბალის მესერა იქით გამოჩნდება სამზავროდ ჩაქმული უცნობი კაცი. ვაბურძნული თმა და წითური წვერი აქვს. თავზე შოტლანდიური ქუდი ახურავს. მხარზე სამზავრო ჩანთა მოუვლია.

უცნობი (დინჯად მოაბიჯებს მესერის გასწვრივ და ბალში გადმოიხდებს. ელიდას დანახვაზე ჩერდება, დაყინებით მიაყრბს გამოცდელ მზერას და ხმადაბლა ამბობს). გა-მარჯობა, ელიდა!

ელიდა (შემოხრუნდება). აა, ძვირფასო... როგორც იქნა!

უცნობი. დიახ, როგორც იქნა. ელიდა (შეშთა და განციფტებით მიაჩერდება). ვინა ხართ? აქ რას აქმობთ?

უცნობი. ვითომ არ იცი.

ელიდა (გაოგნებული). რას ნიშნავს ეს? როგორ მიხედავთ? მაინც რა გნებავთ?

უცნობი. რა თქმა უნდა, შენ.

ელიდა (შემრწუნებული). ა! (წაბარბაცდება და მოგუდული ყვირილი აღმოხდება). თვალუბი... თვალუბი...

უცნობი. ძლივს არ მიცანი? მე კი მაშინვე გიცანი, ელიდა.

ელიდა. თვალუბი ასე ნუ მიყურებთ! თორემ ხალხს შეგიყრით!

უცნობი. სსუ... სსუ... ნუ გეშინია, არაფერს არ გიწამ.

ელიდა (თვალუბზე ხელებს იფარებს). ასე ნუ მიყურებთ-მეთქი!

უცნობი (მესერს ჩამოეყრნობა). ინგლისურ გემს ჩამოეცივ.

ელიდა (შეშინებული აღმაყრად უყურებს). რა გნებავთ ჩემგან?

უცნობი. აქი შეგპირდი, როგორც კი შესაძლებლობა მიქნება, დაგბრუნდები-მეთქი...

ელიდა. როგორც მოსულხართ, ისევე წადით! ახლავე წადით და ნულარასოდეს დაბრუნდებით, ნულარასოდეს!.. ხომ მოგწერეთ, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი. ყველაფერი მამ, რაღა გინდაო?

უცნობი (აუშლვევლად). აქამდეც სიამოვნებით ჩამოვიდოდი, მაგრამ არ შემეძლო. ახლა კი, როგორც იქნა, მოვახერხებ. და, აჰ, აქა ვარ, ელიდა.

ელიდა. რა გნებავთ ჩემგან? რას აპირებთ? რისთვის მოხვედით?

უცნობი. ხომ იცი — შენს წასაყვანად.

ელიდა (შემრწუნებული უკან იხევს). ჩემს წასაყვანად? აი, თურმე რა გაიდეო გულში უცნობი. რა თქმა უნდა.

ელიდა. მაგრამ თქვენ, ალბათ, იცით, რომ მე ქმარი მყავს.

უცნობი. ვიცი.

ელიდა. და მაინც... გახედეთ და მოხვედით... ჩემს წასაყვანად?

უცნობი. დიახ.



მლინდა (ორივე ხელს თავში ტაცებს). ისევ ეს საშინელება ეს იდუმალი შიში

**უცნობი.** იქნებ, არ გინდა?

**მლინდა** (თავზარდაცემული). ასე ნუ მიუყურებთ!

**უცნობი.** მე გკითხები — იქნებ, არ გინდა-მეთქი?

**მლინდა.** არა, არა, არა არ მინდა.. არასოდეს.. არ მინდა-მეთქი არ შემძლია და არც მინდა გესმით? (ხმადაბლა). მეშინია.

**უცნობი** (მესერზე გაღმოსალაყებს და ბალში შემოდის). კეთილი, ელიდა, მაშინ ერთი სიტყვა მაინც მათქმევინე, სანამ წავიდოდე.

**მლინდა** (გაქცევა სურს. მაგრამ ფეხები არ ემორჩილება და შიშისაგან გახევებული უძრავად დგას, ტბის ნაპირს ხეს მიყრდნობლი). არ მომეპაროთ!.. არ მომეპაროთ-მეთქი!

**უცნობი** (ფრთხილად გადაღვამს მისკენ რამდენიმე ნაბიჯს). ნუ გეშინია ჩემი, ელიდა.

**მლინდა** (თვალეებზე ხელს იფარებს). ასე ნუ მიუყურებთ!

**უცნობი.** ნუ გეშინია, ნუ გეშინია-მეთქი! ხელმარცხნივ, ბალის სიღრმიდან გამოჩნდება ვანგელი

**ვანგელი** (სანამ ტბასთან მივიდოდეს). დიდხანს გალოდინე?

**მლინდა** (მიფარდება და ჩაეკვრება). ვანგელი.. მიშველე! მიშველე, თუ შეგძლია!

**ვანგელი.** ელიდა! ღმერთო ჩემო! რა მოვივლია?

**მლინდა.** მიშველი! ნუთუ ვერ ხედავ? აგერ აქა დგას! (უცნობზე ანიშებს).

**ვანგელი** (იქით იყურება). ეს კაცი? (უცნობს უახლოვდება). ნება მომეცით გითხზოთ, ვინა ხართ და აქ რას აკეთებთ?

**უცნობი** (თავით ანიშებს ელიდაზე). იმასთან მოსალაპარაკებლად მოვიდი.

**ვანგელი.** აა! მაშ, ეს თქვენა ხართ?.. (ელიდას). გჯავი მითხრეს, თქვენას ვილაც უცხო კაცი შევიდა და შენ გკითხულობდაო.

**უცნობი.** დიახ, ეს მე ვიყავი.

**ვანგელი.** კი მაგრამ, რა საქმე გაქვთ ჩემს ცოლთან? (შეტრილდება). იცნობ, ელიდა?

**მლინდა** (ჩუმად, ხელების მტკრევით). ვიცნობ თუ არა?.. დიახ, დიახ, დიახ!..

**ვანგელი** (სწრაფად). მერე?..

**მლინდა** (ჩუმად, ხელების მტკრევით). ო! ეს ხომ ისაა, ვანგელი! დიახ, ისი მე რომ გითხა. ჩი..

**ვანგელი.** რაო? რას ამბობ? (შემოტრიალდება). მაშ, თქვენ ის ქონსტონი ხართ, რომელიც მოდებდაც..

**უცნობი.** თუ გნებავთ, ქონსტონი მიწოდეთ. თუმცა მე სხვა სახელი შევია..

**ვანგელი.** სხვა სახელი?

**უცნობი.** დიახ.

**ვანგელი.** კი მაგრამ, რა საქმე გაქვთ ჩემს ცოლთან? თქვენ იცით, რომ შუქურას ზედაშედეველი ქალიშვილი დიდი ხანია გათხოვდა, დავის გაპყვა, ალბათ, დიდ გეცოდინებათ.

**უცნობი.** დიახ, სამი წელია, ვიცი.

**მლინდა** (დაბაძული). როგორ ვაიგო? **უცნობი.** შინ მოვიდოდი. შენსკენ.

ჭველი გაწვთ ჩამივარდა — აქაური ცნობის ფურცელი. აი, ასე ვაიგო შენი ქორწილის ამბავი.

**მლინდა** (სივრცის გაყურებს). ქორწილის? მაშასადამე, ეს მაშინ იყო?!

**უცნობი.** შე ისე მეუცნაურა. გახსოვს ბებელები, ელიდა? ისევ ერთგვარი ქორწინება იყო.

**მლინდა** (ამოიკენესებს და ხელებს აიფარებს სახეზე). ო!..

**ვანგელი.** რის უფლებას აძლევთ თქვენს თავს?..

**უცნობი.** ნუთუ დაგავიწყდა?

**მლინდა** (გრძნობს, რომ უცნობი უყურებს და თავს ვეღარ იმაგრებს). ასე ნუ მიუყურებთ!

**ვანგელი** (წინ გადაუღვება უცნობს). თქვენ მე უნდა მომმართავდით და არა ჩემს ცოლს. მოკლედ, რაკილა საქმის ვითარება იცოდით, აქ რაღამ მოგიყვანათ? რატომ დაუწყეთ ძებნა ჩემს ცოლს?

**უცნობი.** მე შევიპირდი ელიდას, რომ, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა, დაებრუნდებოდი.

**ვანგელი.** ელიდა.. ისევ ელიდა!

**უცნობი.** ელიდა კი შემპირდა, დაგელოდებოა.

**ვანგელი.** თქვენ ჩემს ცოლს სახელით მიმართავთ. ჩვენში ეს მიღებული არ არის.

**უცნობი.** ვიცი. მაგრამ რაკი ის, უწინარეს ყოვლისა, ჩემია..

**ვანგელი.** თქვენი?.. მაინც არ იშლით?..

**მლინდა** (ვანგელს ეფარება). ო! არასოდეს არ მომეშვება!

**ვანგელი.** მაშ, თქვენია?

**უცნობი.** ნუთუ არ უამბინია თქვენთვის ორი ბებელის ამბავი. ჩემი და მისი?

**ვანგელი.** მიახზო. მერე რა? შემდეგ ხომ ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა თქვენთან?

მისი წერილებიდან ყველაფერს გაიგებდით.

**უცნობი.** მე და ელიდამ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი ბებელების შეერთებით სამუდამოდ ვაერთებდით ჩვენს სიცოცხლესაც. ეს იყო ერთგვარი ქორწინება.

**მლინდა.** მაგრამ მე არ მინდა, გესმით? არ მინდა თვლით აღარ დამენახოთ! აღარასოდეს! ასე ნუ მიუყურებთ! არ მინდა-მეთქი!

**ვანგელი.** ალბათ სრულ ჭკუაზე აღარა ხართ, რომ თქვენს უფლებას ამნაირ სისულელეზე აფუძნებთ.

**უცნობი.** უფლება, იმ აზრით, რომლითაც თქვენ მას გულისხმობთ, მართლაც არა მაქვს.

**ვანგელი.** კი მაგრამ, მაშინ რაღა გინდათ? იქნებ, გგონიათ, რომ ძალით წამართმევთ? მისდა უნებურად?

**უცნობი.** არა, ამას რა აზრი აქვს? თუ ელიდას უნდა, რომ ჩემი იყოს, მაშინ თავისი ნებით უნდა გამომყვებს.

**მლინდა** (გაოგნებული). ჩემი ნებით?..





ვანგელი. რას სთავაზობთ?..  
 ელიდა. ჩემი ნებთქ...  
 ვანგელი. ნამდვილად შეშლილი ხართ. თქვენს გზას ეწიეთ. სალაპარაკო აღარაფერი გაქვს.  
 უცნობი (სათბუხე დაიხედავს). გემზე მაგი-  
 ანდება. (ნაბიჯს გადადგამს). მაშ, ასე, ელიდა, მე მოვიხადე ჩემი ვალი. (უფრო ახლოს). შენ-  
 თვის მოცემული სიტყვა შევასრულე.  
 ელიდა (უკან იხევს; ვედრების კლოთი).  
 არ მომეპარო!  
 უცნობი. ახლა კი მოსაფიქრებლად დროს  
 გამოეცე... ხვალ საღამოსი...  
 ვანგელი. რა უნდა მოიფიქროს? ახლავე  
 აქედან მიბრძანდით!  
 უცნობი (ველაფერს ვეძებურად ელიდას მიმარ-  
 თავს). ახლა გემით ვავალ უურგეში, მაგრამ ხვალ  
 საღამოს დაებრუნდები და შემოგვივლი. შენ აქ-  
 ბლში დამელოდები. მე მიჩვენებია, მხოლოდ  
 შენთან ერთად გადავწყვიტო საქმე! ვასაგებია?  
 ელიდა (ჩუმად, ხმის კანკალით). გესმის,  
 ვანგელ?  
 ვანგელი. ნუ გეშინია. ფეხს არ შემოვადგ-  
 მევინებ.  
 უცნობი. ახლა კი ნახვამდის, ელიდა. მაშა-  
 ხადამე, ხვალ საღამოს...  
 ელიდა (ვედრებით). ო, არა, არა! ხვალ ნუ  
 მოხვალთ! აღარასოდეს აღარ მოხვადით.  
 უცნობი. და თუ ამ დროისთვის ჩემთან ერ-  
 თად წამოსვლას გადაწყვიტ...  
 ელიდა. ოჰ, ასე ნუ მიუყურებთ! ნუ მიუყ-  
 რებთ-მეთქი!  
 უცნობი. მე მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ  
 მაშინ სამგზავროდ გაშვადებული უნდა დამხვ-  
 ედ.  
 ვანგელი. შინ წადი, ელიდა!  
 ელიდა. არ შემიძლია. დამეხმარე! მიშველიე.  
 ვანგელ!  
 უცნობი. ერთი რამ დამეხმარებ: ხვალ თუ  
 არ გამოწყვები, ყველაფერი დამთავრებულად  
 ჩათვალე.  
 ელიდა (მთელი სხეული უცახხახებს). ყვე-  
 ლაფერი?... საშუალოდ?..  
 უცნობი. დიახ, საშუალოდ, ელიდა. აღარა-  
 სოდეს აღარ დაებრუნდები და ვერც ველარასო-  
 დეს მიხილავ. ველარც ჩემს ასავალ-დასავალს  
 გაიგებ. საშუალოდ მკვლარი მიგულე შენთვის.  
 ელიდა (ძლივს იბრუნებს სულს). ო!..  
 უცნობი. მაშ, კარგად დაუჭირდი. ნახვამდის.  
 (მესრუხე გადაალაყებს, ჩერდება და ამბობს)  
 ასე რომ, ხვალ საღამოს მზად იყავი გასამგზავ-  
 რებლად. მე შემოგვივლი. (დინჯად მიუყვება ბი-  
 ლიკს ხელმარჯვნივ).  
 ელიდა (თვალს აყოლებს). მაშ, ჩემი ნე-  
 ბით?... გესმის? მან მითხრა, შენი ნებთი უნდა  
 გამოწყვეო.  
 ვანგელი. დამშვიდდი. ხომ წავიდა. მებრად  
 ველარ ნახავ.  
 ელიდა. ველარ ვნახავ?... ხვალ საღამოს მოვა.

ვანგელი. მოვა და მოვიდეს. უკველ შემობ-  
 ვივაში, შენ ველარ ვნახავს.  
 ელიდა (თვის აქნევს). ო, ვანგელ. ხომ  
 გგონია, რომ ხელს შეუშლი?  
 ვანგელი. ეგ ჩემზე იყო, ჩემო ძვირფასო.  
 ელიდა (ჩაფიქრებით; ქმარს ყურს არ უგ-  
 დებს). მაგრამ თუ ხვალ საღამოს მოვიდა... და  
 შემდეგ გადაიქარგა?  
 ვანგელი. მერედა, რა?  
 ელიდა. მინდა ვიცოდე. აღარასოდეს აღარ  
 დაბრუნდება?  
 ვანგელი. აღარასოდეს. დარდი ნუ გაქვს  
 ჩემო ძვირფასო. ან კი რა დარჩენია აქ? შენ  
 თვითონ არ უთხარი, თვალთ აღარ დამეხანო?  
 მაშასადამე, ყველაფერი დამთავრებულია. —  
 ერთხელ და საშუალოდ.  
 ელიდა (თვისთვის). მაშ, ხვალ, ან, აღარა.  
 სოდეს.  
 ვანგელი. მაგრამ კიდევაც რომ დაბრუნ-  
 დეს...  
 ელიდა (დაძაბულად). მაშინ რა?..  
 ვანგელი. მისი სული ჩვენს ხელთაა.  
 ელიდა. მაგაზე ფიქრიც კი არ გაბედო.  
 ვანგელი. ჩვენს ხელთაა-მეთქი. თუ სხვა  
 გზით ვერ მოვიშორეთ თავიდან, მაშინ კაპიტნის  
 მკვლელობისთვის ვაგებინებ პასუხს.  
 ელიდა (წამოუნთება). არა, არა, არა! არა-  
 სოდეს! მკვლელობაზე ჩვენ არაფერი არ ვი-  
 ცით! სრულიად არაფერი!  
 ვანგელი. არ ვიცით? კი მაგრამ, თვითონ არ  
 გამოგობდა?  
 ელიდა. არა, კრინტიც არ დასძრა ამაზე!  
 თუ გასტყვებ, ყველაფერს უარყოფ. მისი ცი-  
 ხეში ჩასმა არ შეიძლება! ის ზღვის შვილია.  
 მისი სტიქია გაშლილი ზღვაა.  
 ვანგელი (მისჩერებია და ჩუმად ამბობს)  
 ემ, ელიდა... ელიდა!  
 ელიდა (ჩაეკონება). ჩემო ერთგულო, ჩემო  
 ძვირფასო, მიხსენი ამ კაცისაგან.  
 ვანგელი (ფრთხილად თავისაუფლება თუ)  
 წავიდეთ, ერთად წავიდეთ.  
 მარტენიდან შემოდან ლიუნგსტრანს  
 და პილდა.  
 ლიუნგსტრანი (სწრაფად მიემართება ელ-  
 დასკენ). არა, ჩემს თვალს არ ვუჭერი. ფრუ  
 ვანგელ... შეიძლება გაგიფედეს კაცი!  
 ვანგელი. რა მოხდა?  
 ლიუნგსტრანი. წარმოგიდგინათ?... ამერიკე-  
 ლი დავიხანე!  
 ვანგელი. ამერიკელი?  
 ზილდა. დიახ, მეც დავიხანე.  
 ლიუნგსტრანი. ბაღს შემოუარა და ინგლი-  
 სური გემისკენ გასწია.  
 ვანგელი. თქვენ იცნობთ ამ კაცს?  
 ლიუნგსტრანი. დიახ, ერთად ვმუშაობდით  
 გემზე. მაგრამ დაწმუნებული ვიყავი, რომ  
 დაიხრჩო, და, უცებ საღამოსათვის არ ვხედავ?  
 ვანგელი. დაწერილობით ხომ არაფერი იცით  
 მასზე?

**ლიუნსბერანი.** არა, მაგრამ, ალბათ, იმით  
ტომ დაბრუნდა, რომ შური იძიოს თავის მო-  
ლალატე ცოლზე.

**პანპელი.** რაო, რას ამბობთ?

**პილამ.** ლიუნსბერანი აპირებს თავის ქან-  
დაკების სიუჟეტად გამოიყენოს მისი ამბავი.  
**პანპელი.** არაფერი არ მესმის.  
**ელიამ.** მერე აგახსნი.

გზატყვილებზე, ბალის მესერს იქით გამოჩნ-  
დებიან ბოლეტა და არწივოლში.

**ბოლმბა** (შორიდანვე). მოდით, აქ მოდით!  
ინგლისური გემი ყურეში მიემართება.

მოსორებით ინგლისური გემი მიცურავს.

**ლიუნსბერანი** (პილას, მესერთან). ალბათ,  
ამაღამ გამოეცხადება.

**პილამ** (თავს უქნევს). თავის მოლალატე  
ცოლს.

**ლიუნსბერანი.** წარმოვიდგენიათ? — შუა-  
ღამისას.

**პილამ.** რა საშინელებაა!... და თანაც რა  
თავბრუნდამხვევად საინტერესო!..

**ელიამ** (თვალს აყოლებს მიმავალ გემს).  
მაშასადამე, ხვალ...

**პანპელი.** და უნანასკენლად.

**ელიამ** (ჩუმად, ხმის კანკალით). ო. ვან-  
გელ... მიხსენი, ჩემივე თავისაგან მიხსენი!

**პანპელი** (შეშფოთებული მისჩერებია).  
ელადა!.. შე ვგრძნობ... რომ აქ სხვა რაღაცაც  
უნდა იყოს...

**ელიამ.** დიახ, არის... მომწესხვედით, წინა-  
ლუდგომელი, ყოვლის წამლეკი ძალა.

**პანპელი.** ყოვლის წამლეკი?..

**ელიამ.** რაღა ზღვა და რაღა ეს კაცო.  
(ღრმად ჩაფიქრებული ნელი ნაბიჯით მიდის  
ბაღში ხელმარცხნივ).

აღუვებული ვანგელი უკან მიჰყვება და  
გამომცდელად უყურებს.

### მეოთხედი მომადება

ვერანდის მომიჯნავე ოთახი. მარჯვნივ და  
მარცხნივ თითო კარია. უკან კედელს ორი  
ფანჯარა აქვს დატანებული; მათ შორისაა ვე-  
რანდის ღია, მინის კარი, საიდანაც ბალის ერთი  
კუთხე მოჩანს. ოთახში ხელმარცხნივ მაგიდა  
და ღივანი ღდას, ხელმარჯვნივ — ფორტეპიანო,  
უფრო მოშორებით კი — დიდი ქარდნი-  
ერიო ყვავილებითურთ. შუა ოთახში, მრგვალ  
მაგიდას გარშემო სკამები აქვს შემოწყობილი;  
მაგიდაზე ვარდები და ქოთნებში ჩარგული  
ოთახის სხვა ყვავილებია. სადილობა ახლოვ-  
დება.

მაგიდის მახლობლად, ღივანზე ბოლეტა  
ზის და ჩარავს. მაგიდის მეორე მხარეს სკამ-  
ზე ჩამოქადარა ლიუნსბერანი. ბაღში  
ბალეტადი ბატავს; იქვე ღდას პილ-  
და. და მის ნამუშევარს ათვალიერებს.

**ლიუნსბერანი** (ხელგებს მაგიდაზე დააწყობს

და ერთხანს ჩუმად მისჩერებია ბოლეტა-  
მნაირი ნაუშების გამოყვანა, ალბათ, ძალიან  
ძნელია, ფრიოკენ ვანგელ.

**ბოლმბა.** სრულიადაც არა. მხოლოდ ყუ-  
რადლებით უნდა იყო, რომ სათვალავი არ  
აგერიოს...

**ლიუნსბერანი.** სათვალავი?.. მაშ, თვალც  
უნდა?

**ბოლმბა.** დიახ, გვირისტინათვის. აი, უყუ-  
რეთ.

**ლიუნსბერანი.** სწორია! ხედავთ?.. როგორც  
ჩანს, ესეც ერთგვარი ხელოვნებაა! ხატავთ  
კიდეც?

**ბოლმბა.** დიახ, ნამუშებიდან ვინახავ.

**ლიუნსბერანი.** ისე?

**ბოლმბა.** არა, ისე არ შემოძლია.

**ლიუნსბერანი.** მაშინ ეს ნამდვილი ხელოვნება  
არა ყოფილა.

**ბოლმბა.** არა, უფრო გამოყენებითი ხელო-  
ვნებაა.

**ლიუნსბერანი.** მაგრამ, შე ვატყობ, თქვენი  
ნიჭის პატრონს შეგეძლოთ ნამდვილ ხელოვნებასაც  
დაუფლებოდით.

**ბოლმბა.** არა, არავითარი მონაცემი არ გა-  
მანია.

**ლიუნსბერანი.** ეგ არაფერი. ერთავად ნამ-  
დვილი მხატვრის გვერდით რომ გამოყვალთ...

**ბოლმბა.** თქვენ გჯერათ, რამეს ვისწავ-  
ლიდი?

**ლიუნსბერანი.** არა, ასე ჩვეულებრივი გზით,  
ალბათ, არა, მაგრამ, შე გჯერათ, თანდათანო-  
ბით რაღაცა კი გადმოგეცემოდით მისგან...  
ერთგვარი სასწაულის ძალით.

**ბოლმბა.** დიდად უცნაური კი იქნებოდა...

**ლიუნსბერანი** (ცოტა ხნის შემდეგ). ოდეს-  
მე... სერიოზულად და საფუძვლიანად თუ გი-  
ფიქრიათ... ქორწინებაზე?

**ბოლმბა** (ერთს ახედავს). ქორწინებაზე?..  
არა.

**ლიუნსბერანი.** შე კი მიფიქრია.

**ბოლმბა.** ომლი გიფიქრიათ?

**ლიუნსბერანი.** დი-ი-ახ. ამნაირ რამებზე  
ზხირად ვფიქრობ ხოლმე. განსაკუთრებით,  
ქორწინებაზე. რა თქმა უნდა, წიგნებშიაც ბევ-  
რი რამ ამოშკიობავს. ჩემის აზრით, ქორწინება  
ერთგვარი სასწაულია. ცოლი თანდათანო-  
ბით ფერს იცვლის და ქმარს ემსგავსება.

**ბოლმბა.** ესე იგი, ქმრის ინტერესები გა-  
დაეცემა?..

**ლიუნსბერანი.** დიახ, დიახ.

**ბოლმბა.** კი მაგრამ, ქმრის ნიჭი? მისი  
უნარი და შესაძლებლობა?

**ლიუნსბერანი.** ჰე... ალბათ, ყელაფერი...

**ბოლმბა.** მაშ, თქვენის აზრით, ყველაფერი,  
რაც მას წაუკითხავს... ანდა რისთვისაც მიუ-  
კვლივია... ახვევ შეიძლება მის ცოლს გადა-  
ეცეს?

**ლიუნსბერანი.** დიახ, ესეც. თანდათანო-  
ბით. ერთგვარი სასწაულის ძალით. მაგრამ ყო-

ვიღოვინ ეს ბულისხმობს, რაღა თქმა უნდა, ჰერმარიტად ბედნიერ, ურთიერთთანხმობისა და სიყვარულზე დფუძნებულ ცოლ-ქმარულ კავშირს.

ბოლმბტ. ის კი არასოდეს მოგსვლიათ აზრად, რომ ქმარსაც შეიძლება რაღაცა გადამცეს ცოლისაგან... და, ამრიგად, ცოლს დაემგვანოს?..

ლიუნგსტრბანი. ქმარს?... არა, მაგაზე არასოდეს არ მიფიქრია.

ბოლმბტ. კი მაგრამ, რატომ? თუ ეს შესაძლებელია ერთის მხრივ, მაშინ მეორე მხრივაც შესაძლებელი უნდა იყოს.

ლიუნგსტრბანი. არა, კაცს ხომ თავისი მოწოდება აქვს ამ ცხოვრებაში. და სწორედ ეს ანიჭებს სიმტკიცეს და სიმზნევს, ფრიოკენ. დაიხ, მას თავისი სასიცოცხლო მოწოდება აქვს. ბოლმბტ. ყველას?

ლიუნგსტრბანი. არა. მე, უმეტესწილად, ხელოვან ხალხს ვგულისხმობ.

ბოლმბტ. თქვენის აზრით, ხელოვანისთვის მიზანშეწონილია ცოლის შერთვა?

ლიუნგსტრბანი. დაიხ, მიზანშეწონილი უნდა იყოს. თუკი შეზღუდვა ქალს, რომელიც ბულწრფელად შეიყვარებს, მაშინ... ბოლმბტ. მე კი მგონია, ხელოვანი მხოლოდ თავისი ხელოვნებისთვის უნდა ცხოვრობდეს.

ლიუნგსტრბანი. რა თქმა უნდა. მაგრამ ქორწინება რას უშლის ამას?

ბოლმბტ. კი მაგრამ, ცოლს რა როლს აკუთვნებთ?

ლიუნგსტრბანი. ცოლს?... როგორ?..

ბოლმბტ. დაიხ, რისთვის უნდა იცხოვროს? ლიუნგსტრბანი. რისთვის და ქმრის ხელოვნებისთვის... ბედნიერებისათვის, სხვა რაღა უნდა?

ბოლმბტ. მმ... ვერაფერს გეტყვით... ლიუნგსტრბანი. დამერწმუნეთ, ფრიოკენ. და არა მარტო იმიტომ, რომ შეუძლია ქმრის სახელითა და დიდებით იამაყოს... არც ისე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამას. მაგრამ ის, რომ შეიძლება მხარში ამოუდგეს, გოლს სიძნელე გაუადვილოს, იზრუნოს მასზე, მოუაროს, ცხოვრება გაუღამაზოს, — ჩემის აზრით, ჰერმარიტად ღირსეული მიზანია ქალისათვის.

ბოლმბტ. აჰ, თქვენ თვითონაც არ იცით, რა თვითმწყვარე ბრძანდებით.

ლიუნგსტრბანი. თვითმწყვარე?... ღმერთო ჩემო!.. ცოტა უკეთ რომ მიცნობდეთ... (მისკენ გადაიხრება). ფრიოკენ ვანგელ, როცა თქვენთან აღარ ვიქნები... არადა, რა დიდ დრო მანამდე დარჩა...

ბოლმბტ. (თანატრბანობით უცქერს). ნუ, ამ მწუხარე ფიქრს ნუ აჰყვებით.

ლიუნგსტრბანი. ისე, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი მწუხარე ფიქრი ეს არის?

ბოლმბტ. მაინც რა გინდოდათ გეტყვათ?

ლიუნგსტრბანი. მე ხომ ერთ თვეში წავალ...

აქედან, რაღა თქმა უნდა. შემდეგ კი სამხრეთში გაემგზავრები.

ბოლმბტ. ააი კეთილი. ლიუნგსტრბანი. ხანდახან მაინც თუ გამოხსენებთ, ფრიოკენ?

ბოლმბტ. სიამოვნებით. ლიუნგსტრბანი (სიხარულით). სიტყვას მამღვით?

ბოლმბტ. დაიხ. ლიუნგსტრბანი. მტკიცე და ურუვე სიტყვას, ფრიოკენ ბოლმბტა?

ბოლმბტ. დაიხ, მტკიცეს და ურუვეს. (სხეტონით). კი მაგრამ, რა აზრი აქვს? ან კი რას მოკვებთ?

ლიუნგსტრბანი. რას ბრძანებთ! მე ისეთ სიხარულს მომანიჭებს იმის შეგნება, რომ ჩემზე ფიქრობთ.

ბოლმბტ. მერედა, რა? ლიუნგსტრბანი. მერე... მე თვითონაც არ ვიცი კარგად...

ბოლმბტ. არც მე... აქ იმდენი დაბრკოლება და ხელის შემშლელი გიწუნია...

ლიუნგსტრბანი. კი მაგრამ, ვთქვათ და სასწაული მოხდეს? ყველაფერი სასიკეთოდ შეტრიალდეს... ან რაღაც ამგვარი? ღმერთმანი, მე მგონია, ბედი მწყალობს...

ბოლმბტ. (გამოცოცხლდება). ბართლა? ლიუნგსტრბანი. დაიხ, დარწმუნებული ვარ. და, აა... რამდენიმე წლის შემდეგ... როცა სამშობლოში სახელგანთქმულ მოქანდაკედ დავბრუნდები, მდიდარი და საღასამათი...

ბოლმბტ. დაიხ, დაიხ, რა თქმა უნდა, იმედი ვიქონიოთ.

ლიუნგსტრბანი. მაშ, ნუ მოიშლით იმედს რა იქნება, გამუდმებით იფიქროთ ჩემზე, ხანამ სამხრეთში ვიქნები? თუშეცა, ხომ შენპირდით.

ბოლმბტ. შეგპირდით. (თავს გააქნევს), მაგრამ, კვლავ ვიმეორებთ, რა აზრი აქვს ამას?

ლიუნგსტრბანი. აქვს, ფრიოკენ ბოლმბტა, თუნდაც ის აზრი აქვს, რომ გაცილებით უფრო ადვილად ვიმუშაებ და, მაშასადამე, უფრო ადრედ დავასრულებ ჩემს ქანდაკებას.

ბოლმბტ. თქვენ გგონიათ? ლიუნგსტრბანი. დაიხ, და, ეგაც არ იყოს, თქვენთვისაც უფრო სასიამოვნო იქნება იმის შეგნება, რომ ჩემზე ფიქრით თითქმის ერთგვარად მეხსიარებთ და შრომას მიაჯღივლებთ...

ბოლმბტ. (მისჩერება). კი მაგრამ თქვენ, თქვენის მხრივ?.. ლიუნგსტრბანი. მე?..

ბოლმბტ. (ბალში იყურება). სხუი სხვა რამეზე ვიღალბარაკოთ! ინსპექტორი მოდის.

მარტენა მხრიდან ბალში შემოდის არანპოლში, ჩერდება და ჰილდასა და ბალესტედს ეღალბარაკება.

ლიუნგსტრბანი. გიყვართ თქვენი უოფლი მასწავლებელი, ფრიოკენ ვანგელ?

ბოლმბტ. მიყვარს?..

ლიუნსბერგნი. ესე იგი, კეთილად ხარო  
განწყობილი თუ არა მის მიმართ?

ბოლშებ. დიახ, დიახ, საუცხოო ადამიანია.  
ღმერთმა მოგცეთ მრავლად და მეგობრად.  
ყოველთვის მზადაა დაგეხმაროთ, თუკი შეუ-  
ძლია.

ლიუნსბერგნი. განა უცნაური არ არის  
რომ აქამდე უცოლოდ დარჩა?

ბოლშებ. თქვენი აზრით, უცნაურია?

ლიუნსბერგნი. დიახ. ამბობენ, შეძლებულ  
კაციაო.

ბოლშებ. როგორც ჩანს. მაგრამ, ალბათ.  
ვერ შეხვდა ისეთ ქალს, რომელიც ცოლად  
გაბეჭებოდა.

ლიუნსბერგნი. ვითომ რატომო?

ბოლშებ. იმიტომ, რომ თითქმის ყველა ქა-  
ლიშვილი, ვისაც იცნობდა, მისი მოწაფე იყო.  
თვითონვე უთქვამს.

ლიუნსბერგნი. ვერა რა?

ბოლშებ. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, ვინ  
გაყვება თავის მასწავლებელს?

ლიუნსბერგნი. თქვენ გგონიათ, რომ ახალ-  
გაზრდა ქალიშვილს არ შეიძლება თავისი მას-  
წავლებელი შეუყვარდეს?

ბოლშებ. ყოველ შემთხვევაში, არა მაშინ.  
როცა ის უკვე გასათხოვარი ხდება.

ლიუნსბერგნი. ვითომ?..

ბოლშებ (გამაფრთხილებლად). სსუ... სსუ..  
ამასობაში ბაღს დი, ჰიღდას და-  
ხმარებით, თავის ნივთებს აგროვეებს და ბელ-  
მარკვენიც გადის. ვერანდაზე გამოჩნდება არ-  
ბოლშე და ოთახში შედის.

არნოლდნი. გამარჯობათ, ძვირფასო ბოლშე-  
ტა. გამარჯობათ, ბატონო... ბატონო... ჰმ...  
(უპყროფილო იერით ცივად უქრავს თავს  
ლიუნსბერგანს, რომელიც დგება და თავის  
მხრივ უსაღმებია).

ბოლშებ (დგება და არნოლდის შესაგებებ-  
ლად მიეშურება). გამარჯობათ, ბატონო ინს-  
პექტორო.

არნოლდნი. ხომ მშვიდობაა?

ბოლშებ. გმადლობთ, არა გვიშავს რა.

არნოლდნი. თქვენი დედინაცვალი დღესაც  
სახანად წავიდა?

ბოლშებ. არა, ზემოთა, თავის ოთახში,

არნოლდნი. შეუძლოდ ხომ არ არის?

ბოლშებ. აი ვიცო. გარეთ არ გამოდის.

არნოლდნი. ჰმ...

ლიუნსბერგნი. ამ ამერიკელმა გუშინ, რო-  
გორც ჩანს, ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენა  
ურუ ვანგელი.

არნოლდნი. რა იცით?

ლიუნსბერგნი. მე თვითონ ვუთხარი, თქვენს  
ბაღთან ცოცხალი და ხალხლამათი ვნახე-  
მეთქი.

არნოლდნი. აა!

ბოლშებ (არნოლდს). წუხელი თქვენ და  
მამაჩემი, როგორც ჩანს, დიდხანს საუბრობ-  
დით.

არნოლდნი. დიახ, სერიოზული საუბარი  
გვექონდა.

ბოლშებ. ჩემზე თუ უთხარით რამე? არნოლდნი  
გადაწყვიტა  
არნოლდნი. არა, ძვირფასო ბოლშებ, ვერ  
მოვახერხებ. მამათქვენს სულ სხვა საფიქრალი  
ქვონდა.

ბოლშებ (ამოიხურებს). დიახ... ყოველთვის  
ასეა.

არნოლდნი (მრავალმნიშვნელოვნად უყუ-  
რებს), მაგრამ დღეს მე და თქვენ საუფშვლია-  
ნად მოვილაპარაკებთ ამ საქმეზე. სადაა მამა-  
თქვენი? სახლში არ არის?

ბოლშებ. ალბათ, კანტორაში. ახლაც ჩა-  
ვალ.

არნოლდნი. არა, გმადლობთ, არ არის სა-  
ჭირო. უშჯობისა, თვითონ ჩავიდე.

ბოლშებ (რალაცას აყურადებს). მოითმი-  
ნეთ, ბატონო ინსპექტორო. შგონი, კიბზე  
ამოდის... დიახ, ალბათ, ელიდასთან აპირებს  
ასვლას.

მარცხენა კარიდან ოთახში შემოდის ექი-  
მი ვანგელი.

მანბალი (ხელს უწყდის არნოლდს). მაშ,  
თქვენ უკვე აქა ხართ, ძვირფასო მეგობარო?  
დიდი თავზიანობაა თქვენის მხრივ, რომ ასე  
ადრინად გვიხახულით. ძალიან მინდა, ერთ  
რამეზე მოგეთათხიროთ.

ბოლშებ (ლიუნსბერგანს). მილდასთან ხომ  
არ ჩავიდეთ ბაღში?

ლიუნსბერგნი. დიახ, დიახ, დიდი სიამოვნ-  
ებით, ფრიოკენ.

ბოლშებ და ლიუნსბერგანი ვერანდიდან ჩა-  
დიან ბაღში და ხეებს შორის უჩინარდებიან.

არნოლდნი (მზერით აცილებს მათ და ვან-  
გელს მიუბრუნდება). კარგად იცნობთ ამ  
ახალგაზრდას?

მანბალი. სულაც არ ვიცნობ.

არნოლდნი. მაგრამ ის კი დასაშვებად მი-  
განიათ, რომ ერთავად გოგონების გვერდით  
ტრიალებს?

მანბალი. ვითომ? მართალი გითხრათ, არ  
შემიჩნევია.

არნოლდნი. ჩემის აზრით, ურიგო არ იქ-  
ნებოდა, რომ შეგემჩნიათ.

მანბალი. დიახ, დიახ, მართალი ბრძანდე-  
ბით. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა უნდა ვქნა  
მე საცოდავმა? გოგონები უკვე მიჩვივნენ იმას,  
რომ თავიანთი თავის ბატონ-პატრონი იყვნენ.  
ალარც მე შემორჩილებიან და არც ელიდას.

არნოლდნი. არც ელიდას?

მანბალი. დიახ. ეგაც არ იყოს, რა უფლუ-  
ბა მაქვს მოვთხოვო ჩემს ცოლს, რომ ამაში  
ჩაეროოს? რა მისი საქმეა? (ალარც ამთავრებს).  
მაგრამ მე სულ სხვა რამეზე ვაპირებდი  
თქვენთან ლაპარაკს. ერთი ეს მითხარათ... ხომ  
არაფერი მოგიფიქრებიათ? აი, იმის თაობაზე,  
რაც წუხელ ვიამბოვ?



არანოლში. წუხანდელს აქეთ, რაც თქვენ დაგზორდით, მხოლოდ ამაზე ვფიქრობ.

პანბაღლი. მერედა, რას მტყუით, რა უნდა ვქან?

არანოლში. ძვირფასო ექიმო, ჩემის აზრით, თქვენ, როგორც ექიმს, უკეთ მოგვხსენებათ.

პანბაღლი. აჰ, რომ იცოდეთ, რა რიგად უქირს ექიმს მართებულად იმსჯელოს იმ ავადმყოფზე. რომელიც ასე ძვირფასია მისთვის! იმეც არ იყოს, ეს ჩვეულებრივი ავადმყოფობა როდია და ამიტომ ვერც ჩვეულებრივი ექიმი და ვერც ჩვეულებრივი წამალი ვერაფერს გახდება აქ.

არანოლში. დღეს როგორ გჩანს თავს?

პანბაღლი. ახლახან ვუყავი მისთან და სრულიად დამშვიდებული მომჩივნა. მაგრამ რა იცო? გარტყვულად რომ ასეთი ჩანს, სულის ხილრმეში შეიძლება სულ სხვა რამეს მალავდეს. ასეთია მედიკოსის მისი ბუნება... ცვალებადე... არამდგრადი. წინასწარ ვერასოდეს ვერ იტყვი დახეჭიებით, რას იზამს, რას მოიმოქმედებს.

არანოლში. ალბათ, მისი ავადმყოფური სულიერი მდგომარეობის ბრალია.

პანბაღლი. არა მარტო მაგისი. ბოლოს და ბოლოს, ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა. ელიდა ზღვის შვილია. ესაა თავი და თავი.

არანოლში. მაინც რას გულისხმობთ, ძვირფასო ექიმო?

პანბაღლი. თქვენ, ალბათ, შეგიჩინევიათ, რომ გაშლილი ზღვის პირას დაბადებული და გაზრდილი ხალხი სრულიად განსაკუთრებული ხანია. ისინი თითქოს ზღვის ცხოველებთან ცხოვრობენ. მათი აზრებისა და გრძნობებისათვის ასევე ნიშნულია მღელვარება... მიქცევა-მოქცევა... და ისინი ვერასოდეს ვერ ეგუებიან სხვა გარემოს და სხვა ნიადაგს. ემ, ამაზე ადრევე უნდა მივუქარა. ცოდავლი ვარ: რა საჭირო იყო, მშობლიურ ნიადაგს მომეწყვიტა ელიდა და აქ გადმოემსახლებინა?

არანოლში. ამ დასკვნამდე ახლა მიხვდით?

პანბაღლი. სულ უფრო და უფრო ღრმად ვრწმუნდები ამაში. თუმცა ეს იმთავითვე უნდა მსკდნოდა და, კაცმა რომ თქვას, ვიცოდი კიდევ, მაგრამ ყური არ ვათხოვე შინაგან ზმას, რომელიც წინასწარ მაფრთხილებდა. მე იმა ძალიან შემეყვარდა ელიდა, რომ, როგორც ხედავთ, მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი. ვინ მომიტყუებს ამ სიყვარულს ჩემივე თავის მიმართ?

არანოლში. მმ... ამნარი შემთხვევაში ყველა კაცს თავისი თავი უყვარს, თუმცა თქვენთვის არასოდეს შემინიშნავს ეს ნაკლი, ექიმო ვანკელ.

პანბაღლი. რა თქმა უნდა. აქი შემდეგშიაც ასეთი დავრჩი. მე ზომ გაცილებით უფროსი ვარ მანზე. მამად და მჩრეველად უფრო შევფერვი. ყოველნაირად უნდა შეცადა განმევიორებინა და გამენათლებინა მისი სულიერი ცხოვრება. ვაი რომ ვერ შევძელი. სამწუხაროდ,

არც ნებისყოფა მეყო. ენაც არ იქნა, მე ყოველთვის მერჩია იმნარი ელიდა. როგორცაა სინამდვილეში. მაგრამ საქმე უკან და უკან მიდიოდა. თავჯახანდელმა აღარ ვიცოდი, რა მექნა. (ხმს დაუწყებს). ამიტომაც მოგმართეთ სასომისილიდა და ჩამოსვლა გთხოვთ.

არანოლში (განცვივრებული მისჩერებია). რა? მაშ, ამ მიზნით მომიწყვიტეთ?

პანბაღლი. დიახ. მაგრამ ნურაფერს შემეჩინევთ.

არანოლში. კი მაგრამ, ღვთის გულისხათვის, ძვირფასო ექიმო... მაინც რას მოელოდით ძვირფას? რა უნდა მეშველა თქვენთვის? არ მესმის.

პანბაღლი. რა გასაკვირია. მე თვითონ შევცდი. ასე მეგონა, რომ ელიდა ოდესღაც გულგრილი არ იყო თქვენს მიმართ. და რომ სულის ხილრმეში უწინდებურად... მოდა, ვიფიქრე, იქნებ თქვენთან შეხვედრა, მშობლიური კუთხისა და წარსულის გახსენება ეამოს-მეთქი.

არანოლში. მაშ, თქვენს მეუღლეს გულისხმობდით, როდესაც მწერდით, აქ ვიღაცა გულით და... განტრობთ კიდევცო?

პანბაღლი. რა თქმა უნდა.

არანოლში (სწრაფად). მო... დიახ, დიახ... მაგრამ შე სხვაწარად გავიგე.

პანბაღლი. სავსებით ბუნებრივია, აქი გითხარით, მე თვითონ შევცდი-მეთქი.

არანოლში. და ამის შემდეგ კვლავაც თვითმწყვარეობას სწამებთ თქვენ თავს?

პანბაღლი. ო, მე ისეთი ცოდა მაწვეს კინეჩრე: ზომ უნდა გამოვისცილო? მე გმონა, არავითარი საშუალების წინაშე არ დავიხვე უკან, თუკი არსებობს იმის იმედი, რომ ტანჯვას შევუმსუბუქებ ელიდას.

არანოლში. როგორ გგონიათ, რითი აიხსენება ამ უცნობი კაცის ისოდენ უჩვეულო შეგავლენა მანზე?

პანბაღლი. მმ... ძვირფასო მეგობარო... ამ საქმეში, როგორც ჩანს, არის რაღაც ისეთი, რაც ახსნას არ ექვემდებარება.

არანოლში. თქვენ გგონიათ, ესაა რაღაც გონებაიუწვდომელი? სრულიად მიუწვდომელი?

პანბაღლი. ყოველ შემთხვევაში, ჭრჭრებით მაინც.

არანოლში. ნუთუ მართლა გწამთ ეს?

პანბაღლი. ზრც მწამს და არც უარყვოფობრალად, არ ვიცი. ამიტომაც, საკითხს ღიას ვტოვებ.

არანოლში. კეთილი, მაგრამ ერთი ეს მითხარით: მისი უცნაური და... საშინელი მტკიცება, თითქოს ჩვილის ოვადობა...

პანბაღლი (ცხარედ). აი, ამ თვალების ამბავი კი ნამდვილად არა მწამს. და არც მიწდა მწამდეს. ეს მხოლოდ ელიდას წარმოსახვის ნაყოფია და მერტ არაფერი.



ბრწყინვალე. კი მაგრამ, იმ კაცის თვალებს  
თუ მიჰქვიტო ეურაღდებია?

პანბელო. აა თქმა უნდა.

ბრწყინვალე. და ვერავითარი მსგავსება ვერ  
აღმოაჩინეთ?

პანბელო (პირდაპირ მასებს თავს არიდებს).  
ჰმ... ღმერთო ჩემო, აა, რა გითხრა? მე რომ  
დავინახე, უკვე ბინდებუდი იყო... და, თანაც,  
ელიდა იმდენს ღმარაკობდა ამ მსგავსებაზე.  
ნამდვილად არ ვიცი, შემიძლო თუ არა, გულ-  
წრილად და აუშვარველად დაჰვიკრებოდი  
მას.

ბრწყინვალე. დიახ, დიახ, მართალი ხარ.  
მაგრამ იმ შიშსა და ძრწოლაზე რაღას იტყ-  
ვით, რომელმაც წუხებად იმ დროს მოიცვა  
ელიდა, როცა ეს უცნობი კაცი, როგორც  
ჩანს, სახლის გზას ადგა?

პანბელო. იცით რა?.. ესეც მისი ამ სამი  
დღის წინანდელი წარმოსახვის ნაყოფი გახ-  
დავთ. არც ისე ანაზღად მოუცავს შიშს, რო-  
გორც ახლა ამტკიცებს. ღიუნგეტრანისაგან  
გაგოც, რომ ქონსტონი... არა, ფრინაინ... თუ  
რა ვიცი, რა ჰქვია, სამი წლის წინათ სამშობ-  
ლოსკენ მოიქარაოდა... ეს იყო მარტის თვე-  
ში... ზოდა, წარმოიდგინა, რომ სწორედ მაშინ  
მოიცვა შიშმა და ძრწოლა.

ბრწყინვალე. განა ასე არ იყო?

პანბელო. არამც და არამც. სულიერი  
ძრწოლის სიმბტომებმა მის არსებაში გაცილებ-  
ნით უფრო აღერ იჩინეს თავი... ხინამდვილე-  
ში ეს სრულად შემთხვევით მოხდა... ამ სა-  
მი წლის წინათ, მარტში.

ბრწყინვალე. ესე იგი, მაინც ამ დროს?

პანბელო. ღიახ, მაგრამ ეს ძალიან მარტი-  
ვად აიხსნება მისი მაშინდელი ფსიქური  
მდგომარეობით.

ბრწყინვალე. მასასადაამე, ერთი მტკიცება  
მეორეს ახათლებს?

პანბელო (ხელების მტკიცებით). შენმა გინ-  
დოდეს და ვერ უშველო არ იცოდე, რა გზას  
დაადგე! ვერსაით შედავდე საშველს!..

ბრწყინვალე. საცხოვრებელი ადგილი რომ  
გამოვეცვალათ? სხვაგან გადასახლებულთაგან,  
რათა იმნაარ ვარემოში გეცხოვრათ, უფრო  
მეტად რომ მოაგონებდა თავის მშობლიურ  
ქუთხეს?

პანბელო. ემ, ჩემო ძვირფასო, განა არ შეე-  
თავაზე? ვუთხარი, მოლოქენში ვიცხოვროთ-  
მეთქი. შორს დაიპირა.

ბრწყინვალე. შორს დაიპირა?

პანბელო. დიახ. არ ხტერა, რომ ამან შეიძ-  
ლება რაიმე არგოს. ალბათ, არც სცდება.

ბრწყინვალე. ჰმ... და თქვეც მზადა ხარო,  
კვირი დაუკრათ?

პანბელო. დიახ. იგებ არ იყოს, კარგად რომ  
დეფექტდები, არც კი ვიცი, როგორ მოვაბა  
თავი ამ საქმის. ჩემის აზრით, გოგონების გა-  
მო, არ შეიძლება იმ გადაკარგულში გადასახ-  
ლებმა. მათი გულსთვის იქ უნდა ვიცხოვრო.

სადაც პატარა იმედი მინცაა იმისა, რომ შეი-  
ძლება გზაზე დააუწო იმისი.

ბრწყინვალე. გზაზე დააუწო? მართლა ასე  
ძალიან გაწუხებთ ეს?

პანბელო. ო, ღმერთო ჩემო, ესეც ხომ ჩე-  
მი საზრუნავია?.. მეორეს მხრივ კი, ჩემი საბ-  
რალო, ავადმყოფი ელიდა... ემ, ჩემო ძვირ-  
ფასო არწოლმ, წინ წყალი, უკან მეწყერიო,  
რომ იტყვიან, სწორედ ისე ვარ.

ბრწყინვალე. ბოლტას ბედი მინცდამინც  
ნუ შეგაწუხებთ... (აღარ ამთავრებს) ნეტა ვი-  
ცოდე, სად წავიდა?.. უფრო სწორად, სად  
წავიდნენ? (ღია კართან მიდის და ვერანდაზე  
გაინედებს).

პანბელო (ფორტეპიანოსთან მიდის). ო მე  
მზადა ვარ, ყოველგვარი მსხვერპლი გავიღო...  
სამივეს გამოსთვის. ოღონდ ეს ვიცოდე, რა  
უნდა ქვან?

მარცხენა კარიდან შემოდის ელიდა.

ელიდა (სწრაფი ნაბიჯით მიემართება ვან-  
გელისკენ). თუ შეიძლება, დღეს სადილობამდე  
წურსად წახავალ.

პანბელო. არა, არა, რა თქმა უნდა. შენთან  
დავრჩები. (ხელით ანიშნებს არწოლმზე, რო-  
მელიც მათ უახლოვდება). ჩვენს შეგობარს რა-  
ტომ არ ეხალღები?

ელიდა (შემობრუნდება). აა, თქვენ აქა  
ხართ, ბატონო არწოლმ? (ხელს უწვდის). გა-  
მარჯობათ.

ბრწყინვალე. გამარჯობათ, ფრუ ვანგელ. რო-  
გორც ჩანს, დღეს სახანაოდ არ წასულხართ.

ელიდა. არა, არა. ბანაობის თავი მაქვს?  
ხომ არ დაბრძანდებთ, ერთის წუთით?

ბრწყინვალე. არა, გმადლობთ... ახლა არა.  
(ვანგელს უყურებს). გოგონებს ზიტყვა მივე-  
ცი, რომ მათთან ჩავიდოდი ბაღში.

ელიდა. საკითხავია, ბაღში დაგხვდებიან თუ  
არა, მე, მაგალითად, არასოდეს არ ვიცი, სად  
ვემეხო იმისი.

პანბელო. სად წავიდოდნენ, ტახთან იქნე-  
ბიან.

ბრწყინვალე. როგორმე ვიპოვი. (თავს უკ-  
რავს და ვერანდაზე გადის, შემდეგ ბაღში ეშ-  
ვება).

ელიდა. რომელი საათია, ვანგელ?

პანბელო (საათზე დიხედებს). თორმეტი.

ელიდა. თორმეტი? დამის თერთმეტზე თუ  
თორმეტის ნახევარზე კი გვიმ მოვა. აჰ, ნეტ-  
უკვე მოსულეც იყოს და წასულიც!

პანბელო (უახლოვდება). ჩემო ძვირფასო...  
ერთი რამე მინდოდა შეკითხა შენთვის.

ელიდა. მინც?

პანბელო. გუშინწინ სადამოს... ფლატზე..

შენ თქვი, რომ უკანასკნელი სამი წლის მან-  
ძილზე ისე ცხადად ხედავდი იმ კაცს; თითქოს  
ცოცხელი მდგარიყოს შენს წინ..

ელიდა. დიახ, ახე იყო, დამერწმუნე.



პანგალი. მაინც როგორ წარმოგადგობოდ ხოლმე?

მლიმა. როგორ წარმოგადგობდა?

პანგალი. ესე იგი, როგორი იყო ვარტყულად, როცა ასე ნათლად ზედავდი?

მლიმა. ახლა ხომ შენ თვითონაც იცო, როგორია, ჩემო ძვირფასო.

პანგალი. და შენ ყოველთვის ასეთს ზედავდი წარმოსახვით?

მლიმა. რა თქმა უნდა!

პანგალი. სწორედ ასეთს, როგორიც წუხელ შენი საკუთარი თვალითა წახე?

მლიმა. დიახ, დიახ.

პანგალი. კი მაგრამ, რატომ მაშინვე ვერ იცანი?

მლიმა (განცვიფრებით). ვერ ვიცანი?

პანგალი. ვერა. შენ ჰერე მითხარი, რომ თავდაპირველად ვერც კი მიხვდი, ვინ იყო ეს უცნობი კაცი.

მლიმა (გაოგნებული). დიახ, დიახ, მართალი ხარ. რა უცნაურია, ვანგელ! წარმოგადგინა? ერთხელად ვერც კი მიხვდდი, ვინ იყო!

პანგალი. შენ მითხარი, მხოლოდ თვალეებით ვიცანო.

მლიმა. ოჰ, ეს თვალეები თვალეები!

პანგალი. ფლატუნე კი მითხარი, ყოველთვის ისეთი წარმომედგინა, როგორიც განმორების ეპის დამამახსოვრდომ, ათი წლის წინათ.

მლიმა. ასე ვითხარი?

პანგალი. დიახ.

მლიმა. მაშასადამე, ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც ახლაც.

პანგალი. არა. გუშინწინ სულ სხვანაირად ამიწერე, როცა შინ ვბრუნდებოდი. ათი წლის წინათ, შენივე თქმით, წვერი არ ჰქონდა და სულ სხვანაირად იყო ჩაცმული. ავიღოთ, თუნდაც, მარგალიტით შემკული ქინძისთავი.. წუხელის რომ არ გეტო.

მლიმა. არ გეტო.

პანგალი (მცდელი თვალით უყურებს). კარგად დაფიქრდი, ჩემო ძვირფასო. ან, იქნებ, ისეთი აღარ გახსოვს, როგორიც უკანასკნელად ნახე ბრეტამერზე?

მლიმა (დაუფიქრებია და ერთი წუთით თვალბს ხუტავს). არც ისე ცხადად მახსოვს. არა, დღეს საერთოდ აღარ მახსენდება. განა უცნაური არ არის?

პანგალი. კაცმა რომ თქვას, არც ისე უცნაურია. ახლა უკვე თვალწინ გიგდას ახალი, სინამდვილის შესატყვისი ხატი. ის ჩრდილავს ძველს და ამიტომაც ვეღარა ზედავ.

მლიმა. შენ ასე გგონია, ვანგელ?

პანგალი. დიახ. ის ჩრდილავს შენი სრულყოფილი წარმოსახვით შექმნილ ხატებას. თუმცა კარგად იცო, რომ საქმეში სინამდვილე ჩაერთო.

მლიმა. კარგი? შენ ამბობ, კარგი?

პანგალი. დიახ, კარგია, რომ სინამდვილე

ჩაერთო საქმეში. ამან შეიტყუა გადაგარჩინოს.

მლიმა (დივანზე ჩამოჯდება). აჰ მოდებოდათ მომხიქვე, ვანგელ. ვეღარღერის ვიტყვი, რასაც ვუფიქრობ.

პანგალი. დიახ, დიახ, ჩემო ძვირფასო. (სკამზე ქდება, მაგიდის მეორე მხარეს).

მლიმა. მართალი ვითხარა... დიდი უბედურება ორივე ჩვენგანისათვის... რომ ერთმანეთს დაუყვავშირეთ ჩვენი ბედო.

პანგალი (გაოგნებული). რას ამბობ?

მლიმა. დიახ, ასეა, ყველაფერი თავისთავად ცხადი და გასაგები უნდა იყოს. უბედურების შიტი რა მოწყვეტილია ამას? თუ ვავისენებთ, როგორ დაუყვავშირდით ერთმანეთს.

პანგალი. ვითომ ისეთი რა იყო?

მლიმა. ყური მიგდებ, ვანგელ... ახლა მაინც ნუღარ ვატყუებთ ნურც ერთმანეთს და ნურც საკუთარ თავს.

პანგალი. ნუთუ მართლა ასე ვიქცევით? ესე იგი, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ვცრულობთ?

მლიმა. დიახ, ვცრუობთ... ყოველ შემთხვევაში, სიმართლეს ვმალავთ. ვინაიდან სიმართლე, წმინდა და შეუღლამაზებელი სიმართლე ისაა, რომ შენ მოხვედი და მიყვიდე.

პანგალი. გიყვიდე?.. შენ ამბობ, რომ გიყვიდე?

მლიმა. ო, არც მე მოვცდებულვარ უკეთესად: თავი გავყვიდე. დიახ, ავდეტი და მოგეყვიდე. პანგალი (ღრმად დამწუხრებული უცქერის). ელიდა... რა გული გაძლევს, ასე უწოდოს ჩვენს ქორწინებას?

მლიმა. სხვა სახელი ამას არა აქვს. შენ აღარ შეგეძლო სიცარიელის ატანა საკუთარ სახელში. ამიტომაც ახალ ცოლს დაუწყებ ძეხნა.

პანგალი. და ბავშვების ახალ დედას, კლიდა.

მლიმა. ვთქვით და, დედასაც. თუმცა შენ არ იცოდი, შემემლოთ თუ არა, დედაბა გამეწინა მათთვის. შენ მხოლოდ ერთი-ორჯერ დამინახე, ორიოდე სიტყვა მითხარი... მოგეწონე და...

პანგალი. დიახ, რაც გინდა ის დაარქვი.

მლიმა. მე კი, ჩემის მხრივ... სრულიად უმწიო და მარტოხელა ვიყავი... არც მარტოხელი მყავდა და არც გამეყოხავი. ზოდა, რაღა თქმა უნდა, დაგეთანხმე, როცა შემომთავაზე. რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მწრუნველობასა და მოვლა-პატრონობას არ მომეკლებდი.

პანგალი. მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი, ჩემო ძვირფასო. სულით და გულით შემოგთავაზე, ჩემთან და ჩემს ბავშვებთან ერთად გაგეზიარებინა ის მცირეოდენი ავლადილება, რასაც ჩემს საკუთრებად ვთვლიდი.

მლიმა. დიახ, შენ ასეც მოიქციე. მაგრამ მე კი არ უნდა დაგეთანხმებოდი. არახდებდითი არ უნდა გამეფოდა ჩემი თავი. მოახლეთ



ობა მერჩია... სილატაკო... მაგრამ ნებაყოფილო.

ბით, საკუთარი არჩევანით!  
პანპაილი (დგება). მაშ, ჩვენს ერთად ცხოვრებას ამ ხუთი თუ ექვსი წლის მანძილზე არაფრად არ თვლი?

ელიდა. ო, მაგას ნუ იფიქრებ, ვანგელ. მე ისე ბედნიერი ვიყავი შენს გვერდით, როგორც კი შეიძლება ისურვოს ადამიანი. მაგრამ ჩემი ნებით როდი შემოვედი შენს სახლში. სწორედ ესაა უბედურება.

პანპაილი. მაშ, შენდა უნებურად?  
ელიდა. დიახ, ჩემდა უნებურად გამოგვეცი.  
პანპაილი (ყრუდ). აა... გასაგებია... გუშინაც ასე თქვი.

ელიდა. ვთქვი. რაც უველაზე მეტად მიყვარებოდა და რამაც უველაფერს შუქი მოჰფინა. და ახლა უველაფერს ნათლავა ვხედავ.

პანპაილი. მაინც?  
ელიდა. ვხედავ, რომ ჩვენს ერთად ცხოვრებას... ცოლ-ქმრობა არ ეთქმის.

პანპაილი (შწარედ). მართალი ხარ. ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას მართლაც ვერ ვუწოდებთ ცოლ-ქმრობას.

ელიდა. ვერც უწინდელს. არასოდეს ნამდვილი ცოლ-ქმრობა არა გვქონია. (წინ იყურება). აი ის, ის კი შეიძლება ნამდვილი ცოლ-ქმრობა უწოდებო.

პანპაილი. რა? რას გულისხმობ?  
ელიდა. მასთან ცხოვრებას.

პანპაილი (განცვიფრებული მისჩერებია). ნამდვილად არ შეხმის შენი.

ელიდა. ემ, ჩემო ძვირფასო, ნურც ერთმანეთს მოვატყუებთ და ნურც საკუთარ თავს.

პანპაილი. არა, არა. კი მაგრამ, მეტი?  
ელიდა. იცი რა?.. სიტყვა, რომელიც შენი ნებით მიეცი სხვას, ისევე გაჭაღდებულეხს. როგორც ქორწინება.

პანპაილი. კი მაგრამ...  
ელიდა (წამობს). გულმხერვალად. წასვლის ნება მომეცი, ვანგელ!

პანპაილი. ელიდა!.. ელიდა!..  
ელიდა. დიახ, დიახ... თუ შეიძლება და შერჩევნებ... სხვა გამოსავალი მაინც არ ვხედავ. არავითარი სხვა გზა არა გვაქვს, რადილაც ახედავს შენს ნებით.

პანპაილი (ტყვილის დაცემას ცდილობს). აი, სადამდე მივიდა საქმე!

ელიდა. უნდა მისულყო. სხვაწარად არც შეიძლებაო.

პანპაილი (დათრუნული უყურებს). მაშა-სადამე, მთელი ჩვენი ერთობლივი ცხოვრების მანძილზე ვერ იქნება და ვერ დაგისაჯუტო?.. არასოდეს... არასოდეს შე არ შეეუთვნოდი მთელის არსებითი..

ელიდა. ო, ვანგელ, ნეტა შემეძლოს ისე მიყვარდეს, როგორც მე მივლი მთელი სულით და გულით, რისი ღირსიცა ხარ! მაგრამ აშკარად ვგრძნობ, რომ ეს შეუძლებელია.

ელიდა. ო, ვანგელ, ნეტა შემეძლოს ისე მიყვარდეს, როგორც მე მივლი მთელი სულით და გულით, რისი ღირსიცა ხარ! მაგრამ აშკარად ვგრძნობ, რომ ეს შეუძლებელია.

პანპაილი. მაშ, გაყრამ? შენ მოითხოვდი. მაღურ, კანონიერ გაყრას?  
ელიდა. ვერ გამოვიდ, ჩემო ძვირფასო. რადროს უორმადობა. საქმე გარეგნულ რიტუალს როდი ენება. მე მხოლოდ იმის მიღწევას ვცდილობ, რომ ორივემ ნებაყოფილოებით გავათავისუფლოთ ერთმეორე.

პანპაილი (სიმწრით; ნელა უქნევს თავს). გარიგება დავარდელით, არა?  
ელიდა (ცოცხლად). დიახ. გარიგება!

პანპაილი. კი მაგრამ, მეტი, ელიდა?.. თუ დაფიქრებულხარ, რა უნდა ვქნათ ამის შემდეგ, როგორ წარიმართება ჩვენი ცხოვრება?  
ელიდა. ეგ სულერთია. მეტი... რაც მოსახდენია, მოხდება. მე მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვ, ვამუდარებ, ვანგელ... იმას, რაც უველაზე არსებითია. დამიბრუნე თავისუფლებას ნება მომეცი, ჩემი თავის სრული ზატონ-პატრონი ვიყო!

პანპაილი. საშინელ რამეს მოხვ, ელიდა. დრო მაინც მომეცი, რომ გონება მოვიკრიბო. გულდასმით მოველაპარაკოთ ერთმანეთს. შენც დრო გჭირდება, რათა პარგად აწონ-დაწონო უველაფერი, ხანამ ამ ნახაჯს გადადამდე.

ელიდა. მაგრამ დრო აღარა გვაქვს. მე თავისუფლი უნდა ვიყო დღესვე.  
პანპაილი. რატომ მაინცდამაინც დღესვე?  
ელიდა! იმით, რომ ის ამაღამ მოვა.

პანპაილი (შეკრთება). მოვა? ის მოვა? რა შუაშია ეს უცხო კაცი?  
ელიდა. მე მინდა თავისუფალი დავხვედ. პანპაილი. კი მაგრამ... მეტი რაღას აპირებ?  
ელიდა. არ მინდა, ის მოვიმჩვენო, გათხოვილი ვარ-მეტი. არ მინდა, თავი დავიცვა იმით, რომ არჩევანის უფლება არა მაქვს. თორემ საქმე მაინც გადაუწყვეტელი დარჩება.

პანპაილი. შენ ამბობ, არჩევანის უფლებას! ამ საქმეში რა არჩევანზე შეიძლება ლაპარაკი, ელიდა?  
ელიდა. დიახ, მე მინდა არჩევანის უფლება მაქონდეს. უფლება იმისა, რომ ორიდან ერთი აშლივარჩიო: ან მართლაც გავუშვა იგი, ან შეც თან გავყვე.

პანპაილი. შენ თვითონ თუ გეხმის, რას ამბობ? თან გავყვე? შენი ბედ-იღბალი რაუგლო ხელში?  
ელიდა. კი მაგრამ, განა შენ არ მოგანდჩ ჩემი ბედი? და, თანაც, — განუსჯელად?  
პანპაილი. ვთქვათ და, ასეც იყო. მაგრამ ეს უცნობი კაცი? შენ ხომ თითქმის არ იცნობ მას?  
ელიდა. ო, შენ კიდევ უფრო ნაკლებ გიცნობდი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გავიწყვეტი.

პანპაილი. მაშინ ის მაინც იცოდა, თუ რაწარია ცხოვრება გელოდა ჩემს გვერდით. ახლა კი? პარგად დაფიქრდი. რა იცი ახლა? არაფერი. სრულიად არაფერი. იხიცი კი არ იცი, ვინ არის, რა კაცია.





მლირად (სივრცეს გაყუბრება). მართალია. აკი ამიტომაც შეუფუძვლა ესოდენ თავბრუდამხვევად საწარელი განცდა.

პანბჰელი. რა თქმა უნდა...

მლირად. სწორედ ამიტომ მეჩვენება, რომ უცნაური ძალით მიწიდავს ეს კაცი.

პანბჰელი (მისჩერებია). მაგ შენი საწარელი განცდის გამო?

მლირად. დიახ.

პანბჰელი. ყური მივდე, ელიდა... მაინც რას უწოდებ შენ „თავბრუდამხვევად საწარელ“ განცდას?

მლირად (ჩაფიქრდება). ესაა განცდა, როცა თავწარსა გცემს და, მივადროულად, გიწიდავს კიდევ რაღაც!

პანბჰელი. გიწიდავს?

მლირად. ჩემის აზრით, მთავარი მაინც მიწოდულობა გახლავს.

პანბჰელი (წელა). შენ წღვასა მგვებარ.

მლირად. წღვაც თავისებურად საწარელია.

პანბჰელი. შენსავით... აკი შენც თავწარსა სცემ და იწიდავ კიდევ კაცს.

მლირად. მართლა?

პანბჰელი. როგორც ჩანს, არასოდეს ისე არ მესმოდა შენი, როგორც საჭირო იყო. ახლავა შევივინე ეს.

მლირად. მაშ, დამიბრუნე თავისუფლება, გაწყვიტე ყოველგვარი კავშირი ჩვენს შორის. მე ის არა ვარ, ვინც გეუბრე. ახლა თავდადებ ზედვად, ამიტომაც შეგვიძლია ბოლომდე გავუგოთ და... ჩვენივე ნებით დავშორდეთ ერთმანეთს.

პანბჰელი (ნირწამბდარი). როგორც ჩანს, ორივესთვის ასე აქოვებს. მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემოძლია. შენ სწორედ ამ ორმაგ განცდას აღმძირავ, ჩემო ძვირფასო. და, რაც მთავარია, უძლეველი ძალით მიწიდავ.

მლირად. რას ამბობ?

პანბჰელი. მოდი, როგორმე გავუძლიოთ ამ ღღეს. თავშეკავებით აღვიპურვოთ. ღღეს მაინც არ შემოძლია თავისუფლება მოგანიჭო. უფლება არა მაქვს. შენივე გულისთვის გეუბნები ამას, ელიდა. უფლებასაც რომ თავი ვანებოთ, მე ხომ მოვალე ვარ, დაგიცვა.

მლირად. დამიცვა? კი მაგრამ, ვისგან ან რისგან უნდა დამიცვა? არავითარი გარეშე ძალა. აღბა არ მიშუქრება. ამ საწარელ განცდას ფესვი გაცილებით უფრო ღრმავა აქვს გავგმული, ვანგელ. ეს ღტოლვა ჩემივე სულის სიღრმეში იღებს დასახამს, რას გააწყობ ამის წინააღმდეგ?

პანბჰელი. მე შემოძლია მხარში ამოვიდგე, მასთან ბრძოლაში ვაგამხნევო და განგამტკიცო.

მლირად. დიახ, მე რომ მიწოდდეს მასთან ბრძოლა.

პანბჰელი. მაშ, შენ არ გინდა?

მლირად. აჰ, მე თვითონაც არ ვიცი კარგად.

პანბჰელი. ამაღამ ყველაფერი გადაწყდება, ჩემო ძვირფასო.

პანბჰელი. მლირად, შენ მითხრობ, რომ შენც თავს თავბრუდამხვევად განიცდი. მაგრამ შენ რატომ ხარ ასე მტკიცე?

მლირად. რატომ? რადგან შენც თავს თავბრუდამხვევად განიცდი.

პანბჰელი. მაგრამ შენ რატომ ხარ ასე მტკიცე?

მლირად. რადგან შენც თავს თავბრუდამხვევად განიცდი.

პანბჰელი. მლირად, შენ მითხრობ, რომ შენც თავს თავბრუდამხვევად განიცდი. მაგრამ შენ რატომ ხარ ასე მტკიცე?

მლირად. რატომ? რადგან შენც თავს თავბრუდამხვევად განიცდი.

პანბჰელი. მაგრამ შენ რატომ ხარ ასე მტკიცე?

მლირად. რადგან შენც თავს თავბრუდამხვევად განიცდი.

მლირად (აგზნებულად). დიახ, ყველაფერი მოახლოვდა გამაწყვეტი წამი, რომელმაც უნდა შეცვალოს მთელი ჩვენი ცხოვრება.

პანბჰელი. ხვალ კი...

მლირად. დიახ, ხვალ... ხვალ შეიძლება ჩემი ნამდვილი მომავალი დაიღუპოს.

პანბჰელი. შენი ნამდვილი მომავალი?..

მლირად. შეიძლება ზელიდან გამომეცალოს ნამდვილი, სისხლსავსე ცხოვრება! და არა მარტო მე, შეიძლება, მასაც!

პანბჰელი (ხმადაბლა; ხელს ჩაავლებს). ელიდა, შენ გაუვარს ეს უცხო კაცი?

მლირად. მიუვარს?.. აბა, რა ვიცი? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემში ამ ორმაგ განცდასა ხადებს, და რომ...

პანბჰელი. რა?..

მლირად. რა და, მე მეჩვენება, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილნი.

პანბჰელი (თავდახრით). ახლა კი, მგონი, ვხვდები, რაშია საქმე.

მლირად. მერედა, რითი შეგიძლია დამემხარო? რა რჩევას მომცემ?

პანბჰელი (დაბრუნებული უცქერს). ხვალ ის უკვე აღარ იქნება აქ და უბედურებაც ავცდებ. მაშინ კი ავდგები და გავათავისუფლებ. გარიგებას დავარღვევო, ელიდა.

მლირად. ო, ვანგელ!.. ხვალ... ხვალ უკვე გვიან იქნება.

პანბჰელი (ბალში იყუბრება). ხავშვები!.. ხავშვები!.. ისინი მაინც დავინდოთ, ელიდა.

ბალში გამოჩნდებიან არწივო ლში, ბოლეთა, პილდა და ლიუნგსტრანნი. ეს უკანასკნელი ემშვიდობება მათ და ხელმარტხნივ მიდის. დანარჩენები ოთახში შემოდებიან.

პანბჰელი. რომ იცოდეთ, რამდენი ვისებრნი და რამდენი გადამო დავაწყობო...

მლირად. ამ ხალხოს ნავით ვაპირებთ სიბრძნობას და...

ბოლეთა. არა, ნუ იტყვი!

პანბჰელი. ჩვენც აქ ვისხედით და გემგებს ვაწყობდით.

პანბჰელი. მართლა?

პანბჰელი. ელიდა ხვალ მიემგავრება შოლვიკენში და ერთხანს იქ დარჩება.

ბოლეთა. მიემგავრება?

პანბჰელი. ეს კი ჰკვიანურად მოგიფიქრებიათ, ფრუ ვანგელ.

პანბჰელი. თავისი მშობლიური კუთხე მოენატრა, ზღვისკენ გაუწია გულში.

მლირად (ელიდას მივარდება). მიდიხარ, მარხულა მიდიხარ?

მლირად (შეშინებულად). კი მაგრამ, მილდა რა მოგივიდა?

მლირად (გონს მოგება). არა, არაფერი. (ხურბს შევაცეცხვს; ხმადაბლა). მიდიხარ და წადი.

ბოლომბა (შეშფოთებით). მამა... როგორც ვატყობ... შენც მოლოცვებში ახარებ წახვლას. მანამდე. ახრადღო არ მომხვლია. მხოლოდ ხანდახან ჩავაქითხვავ ელიდეს.

ბოლომბა. კი მაგრამ, ჩვენ... მანამდე. თქვენც ჩამოგაქითხვავ... ბოლომბა. ხანდახან, არა?

ბოლომბა. საჭმელ ახვ შოთხობვს, ჩემო კარ... სო. (ბოლოსას სცემს).

ბარნოლმეი (ჩურჩულით). შენმდე მოვილაპარაკებთ, ბოლომბა. (ვანგელთან მიდის და რაღაცს ეუბნება).

ბოლომბა. (ხმადას ზოლუტას). რა მოუვიდა მხლდას? ველარა ვცნობ.

ბოლომბა. შენ არახადვს არ შეგანინნავს, რომ პოლდა მხოლოდ ერთ რამებს ნატროხვბ... ელიდბ. ნატროხვბა?..

ბოლომბა. იმ დღიდანვე, რაც ჩვენს სახლში შემოიღვი ფეხი...

ელიდბ. არა, არა... მაინც რას? ბოლომბა. შენს ალერსიან სიტყვას.

ელიდბ. აა.. მამ, საჭირო ვყოფილვარ აქ! (აივზე შემოიწყობს ხელებს და სივრცეს გაპყურებს; ეტყობა, საშინლად დღლავს).

ვანგელი და ბარნოლმეი ოთახში დაბიჯებენ და ჩურჩულით ელაპარაკებიან ერთმანეთს. ზოლუტა მიდის, მარჯვენა ოთახში შეიხედვს და შემდეგ ფართოდ გამოადებს კარს.

ბოლომბა. მამა... სადილი მაგიდაზეა თუკი შენ...

მანამდე (თავს ძალას ატანს). მართლა, ჩემო კარგო? კეთილი. ვთხოვთ, ინსპექტოროს მოდით, გამოთხოვებისას თითო ჭიქა დაულოთო... „ზღვის ასული“ ვადღებრმელოთ.

ყველანი სასადილო ოთახში გადიან.

### მესამე მონაქმეობა

ბაღის მიყრუებული კუთხე ტბის მახლობლად. ზაფხულის სადამოა.

ბარნოლმეი, ბოლუტა, ლიუნგსტრანი და პილდა ნეშში სხედან, ნიჩბების კვრით შორდებიან მარცხენა ნაპირს და ტბაში მიცურავენ.

ბილდბ. აი, აქ თავისუფლად შეიძლება ნაპირზე გადახტეს კაცო.

ბარნოლმეი. არა, არ გახედოთ! დღუვნგხტარანი. მე რომ ვერ გადახტები, ფრიოკენ?

ბილდბ. ვერც თქვენ, არნოლმეი? ბარნოლმეი. მირჩენია გადახტომის გარეშე გავიდე ფონს.

ბოლომბა. მამ, ხანტომ კიხებიან მიყვლიდით.

მარჯენე მიცურავენ. იმედროულად, ჩვენს მხრიდან, მესერს მიღო, ბილიზე გამოჩნდება ბალეტდო; ხელში ვალტორნის ნოტები უტორავს. ნეშში მსხდომთ ესალმება, შემობრუნდება და საუბარს გაუბამს მათ. მომასუხებთა ბებები სულ უფრო და უფრო ყრუდ მოისმის შორიდან.

ბალესტამეი. რას ამბობთ?.. რა თქმა უნდა, ინგლისური გემის პატივსაცემად. წლეულს უკანასკნელად გვეწვია. მაგრამ თუ მუსიკით დატკობა გუნზავთ, ნუ დაიგვიანებთ (ყვირილით). რაო? (თავს ატენვს). არ შენის, რას მეუბნებით.

მარცხნიდან შემოდის ელიდა; თავზე შილი მოუხურავს; გვერდით ვანგელი მოყვება.

მანამდე. კი მაგრამ, გარწმუნებ, ჭირ კიდევ ბევრი დრო გაქვს, ჩემო ძვირფასო.

ელიდბ. არა, არა, შეიძლება წუთი-წუთზე მოვიდეს.

ბალესტამეი (მესერს იქიდან). გამარჯობათ, ბატონო ექიმი! გამარჯობათ, ფრუ ვანგელ!

მანამდე (დაინახავს). ა, ეს თქვენა ხართ? დღესაც მუსიკით გვიპირებთ გამახანძლებას? ბალესტამეი. დიახ, ჩვენი წრე კონცერტსა მართავს. ზეიმის სახაბი ამ წელიწადს, იცოცხლეთ, ბლომად გაქვს. დღეს ინგლისური გემის საპატივცემლოდ ვუკრავთ.

ელიდბ. ინგლისური გემის პატივსაცემად? უკვე გამოჩნდა?

ბალესტამეი. არა, ჭირ არა, მაგრამ მალე მოვა, შეტრებს მომყვება. აღზათ, რამდენიმე წუთში აქ იქნება.

ელიდბ. მართლა?

მანამდე (ეკლიდას). ეს მისი უკანასკნელი რეისია. ვახსამდე აღარ მოვა.

ბალესტამეი. სამწუხაროა, ბატონო ექიმი. მოდა, ჩვენ გვიანდა ზეიმით გავაცილოთ. რას აზამ? მალე ეს ჩვენი შევნიერი ზაფხულიც გავა. მალე „დაიხურება ყველა ყურე“, როგორც ერთ დრამაშია ნათქვამი.

ელიდბ. „დაიხურება ყველა ყურე“? მართლაც!

ბალესტამეი. რა სამწუხაროა ამაზე ფიქრი. მთელი კვირებისა და თვეების მანძილზე ჩვენ ვტკებდომით ზაფხულით. ძნელია შერუიგდემ იმ აზრს, რომ გვიახლოვდება პირქუში უამი. მაგრამ მე მინდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ ერთხანს გავაქობრდება შეგუება, ვინაიდან ადამიანს ალკო... აქლიმატოზის უნარი შესწევს, ფრუ ვანგელ. დიახ, ასეა. (თავს უკრავს ცოლქმარს და ხელმარჯენე მიდის).

ელიდბ (დაბახულად იყურება ფიორდის მხარეს). ახ, ეს მტანჯველი და დამახული შოლო-



დინი ეს ციხე-ციხილებთან ნახევარი საათი გადამწვეტი წამის დაღვრამდე! პანბელი. თუ შენს არ იწლი? გინდა თუიონვე მოვლასარჩაო?

მელიძე. დიახ, მე თვითონ უნდა ველაპარაკო თავისუფლად, ჩემივე ნებით უნდა მოვახდინო არჩევანი.

პანბელი. შენ არჩევანის უფლება არა გაქვს, ელიძე. ნებას არ მოგცემ. მელიძე. არჩევანს ვერასოდეს ვერ ამიკრძალავ. ვერც შენ და ვერც სხვა ვინმე. შენ შეგიძლია დამიშალო მასთან წახვლა, თუკი ამ გადაწყვეტილებას მივიღებ. შეგიძლია ძალით დამიკავო, წახვლის ნება არ მომიცე. მაგრამ შენაგანი არჩევანის შესაძლებლობას — თუკი მოვისურვებ ავირილო ის და არა შენ, — ვერასოდეს ვერ წამართმევ.

პანბელი. მო, მართალი ხარ. ამას კი ვერ ატყობაღვ.

მელიძე. ეგაც არ იყოს, რას უნდა ჩავეყოლო, ან რას ჩაველაუტო? სახლში არაფერი არ მიზიდავს, არაფერი არ მიხილავს, არ მაკავებს. ფეხი ვერ მოვიკიდებ, ფეხი ვერ გაივლივ, ვანბელ. ბავშვები მე არ შეეუთვნინა; არც არასოდეს მეკუთვნოდნენ... ესე იგი, არ მეკუთვნოდა მათი გული... აქედან წახვლისას — თუკი ამალამ მასთან ერთად წავალ, ანდა ზვალ დილას — შოლვიკენში, — ერთი გასადღების ჩახებაც კი არ მომიწევს... ვერც სამერხისო განკარგულებას დაუტოვებ ვინმეს... აი, რარიგ მოწყვეტილი ვიყავი ყოველგვარ ნიადგს შენს სახლში ყველაფრისაგან განაპირბული იმ დღიდანვე, რაც აქ შემოვიტვი ფეხი!

პანბელი. შენ თვითონვე იწლივ ასე.

მელიძე. არა. აქ ჩემს ნდოზაზე ან არნდომაზე როდია საქმე. მე ზოლოდ ისე დავტოვე ყველაფერი, როგორც ჩემამდე იყო. სხვას კი არა, შენ, დიახ, ზოლოდ შენ გინდოდა, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო.

პანბელი. მე მიწოდოდა ყველაფერი ისე მომეგვარებინა, რომ უკეთ გეგრძნო თავი.

მელიძე. ვიცო, ყველაფერი მშენიერად ვიცო, ვანბელ, მაგრამ, აი, ყოველივე ამის სანაცვლო... წყევლა! სასჭილი!.. ახლა მე უკვე არაფერი აღარ მავადმეზღობს... არც ზელ-ფეხს მიკრავს... არც მხარს მიმაგრებს... მე გულგრილი ვარ ყოველივე იმის მიმართ, რაც ჩვენი საერთო, ზელმეუვალი და წმიდათაწმიდა საკუთრება უნდა ყოფილიყო.

პანბელი. ვხედავ, ელიძე, ვხედავ, ამიტომაც ზელიდანვე თავისუფალი იქნები. შენი საკუთარი ცხოვრებით იცხოვრებ.

მელიძე. ჩემი საკუთარი ცხოვრებით? ო, არა, ჩემი საკუთარი, ნამდვილი ცხოვრების კალაპოტიდან მაშინ ამოვვარდი, როცა ცოლომაზე დაგთანხმდი (მეძრწუნებული იმტრევეს ხელტუბ). და, აი... მაგრამ... ნახევარი საათის შემდეგ... მოვა ის... ვისაც უუღალატე... ვისი ერთგულიც უნდა ყოფილიყავი ზოლოდზე,

როგორც ის დარჩა ჩემი ერთგულმა ის მოვა და შემოთავაზებს... პირველად და უცნობსკენლად — ახალი ცხოვრება დაიწყე... ნამდვილი ცხოვრება... რომელიც მაშინებს და მიწადავს კიდევ... და რომელზედაც უარის თქმა არ შემიძლია! არ შემიძლია ჩემი ნების!

პანბელი. სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ შენმა ქმარმა... და, იმავდროულად, შენმა მკურნალობაც... არჩევანის საშუალება წაგართვას და შენს მაგივრად იმოქმედოს.

მელიძე. დიახ, ყველაფერი მშენიერად მესმის, ვანბელ. დამერწმუნე, ხანდახან მგონია, ჩემი ერთადერთი ზნა ის იქნებოდა, რომ მფარველმა მეთხოვა შენთვის და... მეცადა წინ აღვდგომოდი ყველა საშინელსა და უცნაურად მიმზიდველ ძალს, მაგრამ ვაი რომ არ შემიძლია! ნამდვილად არ შემიძლია.

პანბელი. წავიდეთ, ელიძე, ცოტა ნავიარგამოვიაროთ.

მელიძე. ხიამოვნებით. მაგრამ ვერ ვხედავ მან მიბრძანა, აქ დამელოდო.

პანბელი. წავიდეთ, დრო ჭირ კიდევ ბევრი გეკვიპ.

მელიძე. ვითომ?

პანბელი. დიახ.

მელიძე. მაშინ წავიდეთ, გვიარ-გამოვიაროთ. (მარჯვენა მიდინა).

იმავდროულად ტბის ნაპირას გამორჩეულობა არნპოლში და ზოლეტა.

ბოლმბა (თვალს მოჰკრავს მიმავალთ). შენვედეთ...

არნპოლში (ხმადალა). სსუ... გაუშვით, წავიდნენ.

ბოლმბა. თუ გესმით, რა ემართებათ ამ ზოლო ხან?

არნპოლში. რამე შენიშნით?

ბოლმბა. რა თქმა უნდა.

არნპოლში. რამე განსაკუთრებული?

ბოლმბა. დიახ, ბევრი რამე შენიშნე. თქვენ?

არნპოლში. მართალი გთხრობ, არ ვიცი...

ბოლმბა. ცხადია, შენიშნავდით. ზოლოდ არ გინდათ, რომ გამოტყდით.

არნპოლში. ჩემის აზრით, თქვენს დედინაცვალს პატარა მოგზაურობა არ აწყენდა.

ბოლმბა. ვითომ?

არნპოლში. დიახ. მე მგონია, ყველასთვის დიდი შეღავათი იქნებოდა, დროდადრო რომ მოგზაურობდეს სადმე მცირე ხნით.

ბოლმბა. ზვალ თუ შოლვიკენში წავიდა. ალბათ, აღარასოდეს დაბრუნდება ჩვენთან.

არნპოლში. კი მაგრამ, ეს რამ გაფიქრებინათ, ძვირფასო ბოლმბა?

ბოლმბა. ო, დარწმუნებული ვარ. აი, ნახავთ, — აღარ დაბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, მანამდის სანამ მე და მილდა აქა ვართ. არნპოლში. თქვენ და მილდა?

ბოლმბა. ისე, კაცმა რომ თქვას, მილდას-

თან მაინც შეიძლება სერთო ენის გამოხატვა: ჯერ კიდევ ბევრია და, მე მგონია, აღმერთებს ელიდას. მაგრამ, აი, შე კი სულ სხვა ვარ. თუ დედინაცვალი მხოლოდ ცოტათი უფროსია ვერზე...

ბრწინაში. თქვენ, ძვირფასო ბოლდუბა, დიდ-ბანს აღარ მოგწევთ ხალხში ჯდომა.

ბოლდუბა (ცოცხლად). რას ამბობთ? მამ, მამაჩემს ელაპარაკეთ?

ბრწინაში. დიახ.

ბოლდუბა. კი მაგრამ, მერე?..

ბრწინაში. მამ... მამათქვენს ამ დღეებში სულ სხვა საფორაალი აქვს...

ბოლდუბა. დიახ, დიახ, აქი წინასწარ გითხარათ.

ბრწინაში. მაგრამ ერთი რამ მაინც გავიგე მისგან: მამათქვენის დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ.

ბოლდუბა. არ უნდა მქონდეს?..

ბრწინაში. დაწვრილებით ამიწერა თავისი მდგომარეობა. მითხრა, ეს ჩემს შეხამებულ-ობას აღემატებაო.

ბოლდუბა (ყვედრებით). თქვენ კიდევ შესხარად მიგდებდით?

ბრწინაში. ღმერთმანი, აწრადაც არ მომსგელია თქვენი გამახსრება, ძვირფასო ბოლდუბა. მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული — წახვალთ თუ დარჩებით.

ბოლდუბა. კი მაგრამ, თქვენის აწრით, მაინც რა არის დამოკიდებული ჩემზე?

ბრწინაში. რა და, ის, რაგ ხალხში გამოსვლის შესაძლებლობა მოპოვოთ, ისწავლოთ ყველაფერი, რაც განსაკუთრებით გაინტერესებთ, მოწინააღმდეგეობა მიიღოთ ყოველივე იმასში, რისკენაც ასე ვნებიანად მიილტვით და უფრო ნათელი, ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრათ. ბოლდუბა. რას იტყვით?

ბოლდუბა (ტაშს შემოკრავს). ღმერთო ჩემო!.. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია რაჟიდა მამას არ უნდა, ან არ შეუძლია. მეტი კი არაინა მყავს მთელს ქვეყანაზე, რომ დახმარება ვთხოვო.

ბრწინაში. კი მაგრამ, რა იქნება, რომ მე-გლობრული დახმარება მიიღოთ თქვენი ძველ-ყოფილი მასწავლებლისგან?

ბოლდუბა. თქვენგან, ბატონო ბრწინაში? თქვენ გინდათ?..

ბრწინაში. დიახ, მე მინდა დაგეხმაროთ. სულით და გულით, სიტყვით და საქმით თანახმა ხართ?.. გინდათ თუ არა?

ბოლდუბა. მინდა თუ არა?.. რა? ის, რომ თავი დავადლო აქაურობას?.. ხალხში გამოვიდო... სერიოზულად ვისწავლო რამე?.. მთვად-წომ ყოველივე იმას, რაც მიუწვდომელი იცნებად მერვენიბოდა?

ბრწინაში. დიახ, ყოველივე ეს შეიძლება სინამდვილედ გეძეოთ, თუკი თვითონვე მოიწადინებთ.

ბოლდუბა. და თქვენ გინდათ დაგეხმაროთ

მამაში, რომ ამ წარმოუდგენელ ბედნიერებას ვეღიროსო? არა... მითხარით, შემოიღია თუ არა უცხო კაცისგან ამნარი მსხვერპლის შეღებვა? ბრწინაში. ჩემგან შეგიძლიათ, ბოლდუბა. დიახ, ჩემგან შეგიძლიათ უყოყმანოდ მიიღოთ ყველაფერი, რასაც ისურვებთ.

ბოლდუბა (ხელს ჩაავლებს). დიახ, მეც მგონია, რომ შემოიღია. არ ვციო რატომ, მაგრამ... (აღარ ამითვრებს). ახ, მე ისე ბედნიერი ვარ, რომ მინდა ვიცინო და, იმავდროულად, ვიტროს კადეც... რომ მამ, ნამდვილი ცხოვრებით ვიცხოვრებ? მე კი უკვე შემიწებული ვყოქრობდი, რომ ვეღარასოდეს ვეღირსებოდი ამას.

ბრწინაში. მაგისი შიში არ უნდა გქონდეთ, ძვირფასო ბოლდუბა. თუ შეიძლება, გულახდილად მითხარით... აქ არავისთან გავწორობა არ გეძიბით, არაფერი არ გენანებთ?

ბოლდუბა. მენანება? არა!

ბრწინაში. არავინ და არაფერი?

ბოლდუბა. არა. თუშეცა, რა თქმა უნდა, ერთის მხრივ, მამა... და ზოლდაც, მაგრამ...

ბრწინაში. ოო, მამასთან გავწორობა, ადრე თუ გვიან, სულერთია, მაინც მოგწევთ. მილდაც ოდენზე თავის გზას მონახავს. ასე რომ, მათთან გავწორობა მხოლოდ დროის საქითობა, მეტი არაფერი. მაგრამ მათ გარდა არავისთან გავწორობა არ გეძიბით, ბოლდუბა?

ბოლდუბა. არა. თუ საქმე მხოლოდ ამას ეხება, მე შემოიღია ახლაც ვწავიდე, სადაც გნებავთ.

ბრწინაში. თუ ასეა, მამაში... ჩემთან წამოლდით, ძვირფასო ბოლდუბა.

ბოლდუბა (ტაშს შემოკრავს). ო, ღმერთო ჩემო! რა ბედნიერებაა!

ბრწინაში. იმედი, თქვენი ნდობის ღირსად მთვლით.

ბოლდუბა. რა თქმა უნდა.

ბრწინაში. მამასადაზე, უყოყმანოდ მანდობთ თქვენს მოწავაბს, ბოლდუბა? ხომ სწორი ვარ? არ გეშინიათ?

ბოლდუბა. ცხადია, არა. ეგ რამ გაფიქრებინათ?.. თქვენ ხომ ჩემი ძველი... ჩემი ყოფილი მასწავლებელი ბრძანებებით-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

ბრწინაში. არა მართლ მაგეტომ, ეგ რა შუაშია? მაგრამ... რაკი არავის არ ეკუთვნით, ბოლდუბა... ნება მიბოძეთ, ჯეითხოთ... რა იქნებაოდა, რომ... ხამულამოდ ჩემთვის დაგეტავ-შირებინათ თქვენი ბედი?

ბოლდუბა (შეშინებული უკან იხეცს) აბა, რას ამბობთ?

ბრწინაში. ხამულამოდ, ბოლდუბა არ გინდათ, ჩემი ცოლი გახდეთ?

ბოლდუბა (თითქმის თავის თავს მიმართავს). არა, არა, არა! ეს შეუძლებელია შეუძლებელი!

ბრწინაში. ნუთუ მართლა ასე შეუძლებელია?..

ბოლდუბა. დიახ, შეუძლებელია, რომ ზე-





როსულად მთავაზობდეთ ამას, ბატონო არნ-  
შოლმი (მისჩერებია). თუშეცა... მაშ თქვენ ამას  
გულისხმობდით, როცა ამდენ რამეს შემპირ-  
დით?

ბრანკოლში. მომისმინეთ, ბოლტა. როგორც  
ჩანს, ჩემმა წინადადებაში ძალიან ვანგაყვიფ-  
რე.

ბოლტა. რა თქმა უნდა... ან კი როგორც არ  
უნდა განვიცვიფრებინე?

ბრანკოლში. მართალი ხართ. ალბათ, არ  
იციოთ, რომ აქ მხოლოდ თქვენი გულისთვის  
ჩამოვივდი.

ბოლტა. ჩემი გულისთვის?..

ბრანკოლში. დიახ, ბოლტა. ამ გაწაფხულზე  
მამათქვენი წერილი მივიღე. ამ წერილში იყო  
ერთი ადგილი, რამაც სახაზი მომცა მეფიქრა...  
მე... რომ თქვენ დღემდე გახსოვთ თქვენი ყო-  
ფილი განწავლებელი და, ცოტა არ იყოს, სხვა-  
ნაირი გრძნობით იგონებთ მას, ვიდრე იგონებ-  
დენ მეგობარს.

ბოლტა. ეს რამ მოაწერინა?

ბრანკოლში. მერე გაირკვა, რომ თურმე სულ  
სხვა რამეს გულისხმობდა. მაგრამ მე უკვე შე-  
ვიტყობ იმ აზრს, რომ აქ მიცდის და ჩემზე  
ფიქრობს ერთი უმარტივლი ქალი... მაყადო, ნუ  
მარწყვეტინებთ, ძვირფასო ბოლტა. და, აი, კა-  
ცხე, რომელსაც უკვე აღარ ეთქმის ახალგაზ-  
რად, ამნაირი წარმოდგენა თუ ვარაუდი უჩი-  
ვეთლო ზემოქმედებას ახდენს. ეს წარმოდგენა  
თანდათანობით იზრდება, ფეხს იდგამს ჩემში  
და თქვენს მიმართ გულმზურვალე მადლიერე-  
ბისა და არა მარტო მადლიერების გრძნობად  
იქცევა. შე ვთვლი, რომ ვიდრეუბლი ვარ ჩა-  
მოვიდეთ, გინახულეთ და ვითხრათ, რომ მთე-  
ლის არტებით ვიზიარებ იმ გრძნობას, რასაც  
ჩემი წარმოდგენით, თქვენი ყოფილი მასწავ-  
ლებლის მიმართ განიცდიოთ.

ბოლტა. მაგრამ ახლა, როცა გაიგეთ, რომ  
აე არ არის? რომ ეს მხოლოდ გაუგებრობის  
შედეგი იყო?

ბრანკოლში. სულერთია, ბოლტა. თქვენი  
ხატება, ესოდენ ღრმად აღებუილი ჩემს სულ-  
ში, საშუალოდ შეინარჩუნებს იმ გრძნულ  
ხიზლს, რომელიც მას ჩემმა შეცდომამ მიანი-  
ჭა. თქვენ, ალბათ, ვერ გაშიგებთ. მაგრამ ეს  
სება.

ბოლტა. ვერასოდეს ამის მსგავსს ვერ  
წარმოვიდგენდი რასმე.

ბრანკოლში. მაგრამ რაღი გაირკვა, რომ ეს  
შესაძლებელია?.. ახლა მაინც რას იტყვით, ბო-  
ლტა? იქნებ, გაგებდათ და... ჩემი ცოლი  
გამხედარიყავით?

ბოლტა. ახ, ჩემი აზრით, ეს ყოველად შე-  
უძლებელია, ბატონო არნშოლმი. თქვენ ხომ  
ჩემი მასწავლებელი იყავით. სხვანაირი ურთი-  
ერთობა ვერც კი წარმომადგენია ჩვენს შო-  
რის.

ბრანკოლში. რა გაეწყობა... თუკი ასე წარ-

სოუდგენილი გირჩევნათ... მაშინ უკვლადგო  
ძველებურად დარჩეს. ძვირფასო ბოლტა.

ბოლტა. ესე იგი?

ბრანკოლში. შე, რა თქმა უნდა, ჩემს სტ-  
უვას არ გადავალ. ყოველნაირად ვიზრუნებ იმა-  
ზე, რომ განათლება მიიღოთ; ისწავლოთ ის,  
რაც განსაკუთრებით გაინტერესებთ; მიადწი-  
ოთ დამოუკიდებელ მეგობარობას. თქვენს  
მომავალსაც უზრუნველვეყოფ, ბოლტა. ჩემი  
სახით ყოველთვის ერთგული და ხანდა მეგო-  
ბარი გეყოლებათ, მენდეთ.

ბოლტა. ღმერთო ჩემო... ბატონო არნ-  
შოლმი.. ახლა ეს სრულიად შეუძლებელია!  
ბრანკოლში. ესეც შეუძლებელია?

ბოლტა. ნუთუ არ გესმით? ყოველივე იმის  
შემდეგ, რაც თქვენ მითხარით... და რაც მე  
გიპასუბთ... ამ, თვითონვე უნდა ზვედოგო, რომ  
ახლა მე უკვე აღარ შემიძლია ამნაირი  
დახმარება მივიღო თქვენგან. ვერა, ვეღარა-  
ფერს ვეღარ მივიღებ. ეს შეუძლებელი გახდა!  
ბრანკოლში. მასხასადამე, აქ დარჩენასა და  
ნამდვილ ცხოვრებაზე უარის თქმას ამჯობი-  
ნებთ?

ბოლტა. ო, ამის გაფიქრებაც კი საშინე-  
ლია ტანში მზარავს!

ბრანკოლში. თქვენ გინდათ უარი თქვათ  
ყველაფერზე? იმაზეც, რომ გაიგოთ, რა ხდე-  
ბა ამ ქვეყნად და იმაში მოწინააღმდეგობის მიღე-  
ბაზეც; რისკენაც, თქვენზეც საკუთარი აღიარ-  
ებით, ასე ვნებიალად მიილტვით? წინასწარ  
იყოფით, რამდენი რამ გულის და ვერაფერს  
კი ვერ მიადწიოთ?.. დაფიქრდით, ბოლტა!

ბოლტა. დიახ, მართალი ხტანდებით, ბა-  
ტონო არნშოლმი!

ბრანკოლში. და მერე... როცა მამათქვენი  
აღარ იქნება... სულ მარტო, უმწერად და უპატ-  
როლოდ დარჩეთ? ანდა იმულებული შეიქნეთ  
სხვას გახვევით ცოლად... ვისითაც, ალბათ, დი-  
დად მოზიბლული როდი იქნებით.

ბოლტა. ოო, ახლა კი თვალნათლივ ვხე-  
დავ, რამდენად სწორია ყოველივე ის, რასაც  
თქვენ ამბობთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა...  
თუშეცა, ვინ იცის?..

ბრანკოლში (სწრაფად). რა?

ბოლტა. (გაუბედავად მისჩერებია). ვინ იცის,  
იქნებ, არც ისე შეუძლებელია..

ბრანკოლში. რა, ბოლტა?

ბოლტა. რა და ის... რომ თქვენს წინადა-  
დებაზე დაგთანხმდეთ.

ბრანკოლში. მაშ, თქვენ გგონიათ, რომ მა-  
ინც შეგიძლიათ დათანხმება?.. ყოველ შემთხ-  
ვევაში, ბედნიერი ვიქნებით, თუ იმაზე მაინც  
დამთანხმდებით, რომ, როგორც ერთგულმა და  
ხანდა მეგობარმა, დახმარება გაციწიოთ.

ბოლტა. არა, არა ახლა ეს ყოველად შეუ-  
ძლებელია... არა, ბატონო არნშოლმი.. მირჩე-  
ვია ცოლად გამოგყვით.

ბრანკოლში. ბოლტა... ესე იგი, მაინც გინ-  
დათ?..



ბოლშევიკები. დიახ... მე მგონია... მინდა...  
 ბრძოლაში. ...ჩემი ცალი გახდება?  
 ბოლშევიკები. დიახ, თუკი კვლავაც გინდევართ  
 ცოლად.

ბრძოლაში, გინდევართო?.. (ხელს ჩაიკრძობს).  
 ო. გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ;  
 ბოლშევიკები... ბოლო ის, რაც ადრე მითხარით...  
 თქვენი ყოველმან... მე არ მაზინებს... თუ თქვენი  
 გული ჭერს კიდევ არ მეუფუნის მთლიანად;  
 იმედია, თანდათანობით დავისაყურებ. ო, ბო-  
 ლშევიკები, ხელში აუვანდლ გატარებთ.

ბოლშევიკები. და მე ხალხში გამოვალ, გავიგებ;  
 რა ხდება ამ ქვეყანაზე, მონაწილეობა მივი-  
 ლებ ცხოვრებაში? თქვენ ხომ შეშინდით?  
 ბრძოლაში. დიახ, შეგპირდით და კიდევ  
 შეგისრულებთ.

ბოლშევიკები. და ნებას მომცემთ ვისწავლო უკე-  
 ლადერი, რაც მინდა?

ბრძოლაში. მე თვითონ ვიქნები თქვენი მას-  
 წავლებელი. როგორც უწინ, ბოლშევიკები. გახსოვთ  
 სწავლის უკანასკნელი წელი?

ბოლშევიკები (ჩუმად, ფიქრში წასული). წარ-  
 მოგიდგინათ?.. თავისუფლად დაიგულეთ თა-  
 ვი... იმგზავრო, უცხო ქვეყნები ნახო... იმე-  
 დის თვალთ შეტყუებდნენ მომავალს... აღარ  
 განკავდეს ეს ცხოველური შიში ლუქმა პუ-  
 რის გამო...

ბრძოლაში. არა, აღარასოდეს ამაზე აღარ  
 მოგიწევთ ფიქრი. ეს კი... ხომ სწორია, ჩემო  
 ძვირფასო... რაღაცას ნიშნავს!

ბოლშევიკები. რა თქმა უნდა. მართალი ხართ.

ბრძოლაში (წელზე შემოხვებს ხელს). აი,  
 ნახავთ, რა ბედნიერები ვიქნებით! რა მშვი-  
 დად და სიამბაძილობით ვიცხოვრებთ, ბო-  
 ლშევიკები!

ბოლშევიკები. დიახ... ახლა მეც მესმის, რომ თან-  
 დანობით... ყველაფერი მოგვარდება. (მარჯ-  
 ვნივ გაიხედავს და სწრაფად ითავისუფლებს  
 თავს) თუ შეიძლება, ჭერჭერობით ნურაფერს  
 იტყვი!

ბრძოლაში. რა მოგდით, ჩემო ძვირფასო?  
 ბოლშევიკები. აჰ, აი, ეს ხაცოდავი... (ხელით ანი-  
 შნებს). ხედავთ?

ბრძოლაში. ვინაა? გამათქვენი?

ბოლშევიკები. არა, ახლავარდა სკულპტორი.  
 მიღვასთან ერთად მოდის.

ბრძოლაში. აა, ლიუნგსტრანი? მერე რა?

ბოლშევიკები. აჰ, თქვენ არ იცით, რა ცუდაა.

ბრძოლაში. თუკი ეს მისი წარმოსახვის  
 ნაყოფი არ არის.

ბოლშევიკები. არა, მართლა ავადა. დიდი დღე  
 აღარ უწერია. თუმცა ეს, კაცმა რომ თქვას,  
 უმჯობესია მისთვის.

ბრძოლაში. რას ამბობთ, ჩემო ძვირფასო,  
 რატომაა უმჯობესი?

ბოლშევიკები. იმიტომ, რომ ნამდვილი ხელოვა-  
 ნი არასოდეს გამოვა მისგან. წავიდეთ, სანამ  
 აქ არ მოსულან.

ბრძოლაში. სიამოვნებით, ჩემო ძვირფასო.

ტბის პირას გამოჩნდებიან პილდა და  
 ლიუნგსტრანი.

პილდა. ეგვი, იქნებ კეთილ-ინებოთ  
 ვიცალოთ?

ბრძოლაში. არა, არა, მე და ბოლშევიკები წინ  
 წავალთ. (ბოლშევიკების ერთად ხელმძარცხნივ  
 მივლი).

ლიუნგსტრანი (ქირქილით). ეს რა ხალხობო  
 დროა. ყველანი წყვილ-წყვილად დადიან.

პილდა (თვალს აყოლებს მიმავალთ). დაგი-  
 ნიძღავებთ, თუ სიუფარულს არ უხსნის.

ლიუნგსტრანი. ვითომ? რამე ისეთი შენიშ-  
 ნეთ?

პილდა. რა თქმა უნდა. ბრმა უნდა იყო,  
 რომ ვერ შენიშნო.

ლიუნგსტრანი. მაგრამ ფრიოცენ ბოლშევიკები  
 არ გახყვება. დარწმუნებული ვარ.

პილდა. არ გახყვება. ბოლშევიკები ამბობს, ძა-  
 ლიან დაბერებულა და დაუშნობებულა, შალე,  
 ალბათ, ხელ მთლად გამელოტდებო.

ლიუნგსტრანი. არა მართო მაგითომ. ისე-  
 დაც არ გახყვებოდა.

პილდა. რა იცით?

ლიუნგსტრანი. ვიცი. ვილაცას შეპირდა,  
 დაგელოდებითო.

პილდა. მხოლოდ დაგელოდებითო?

ლიუნგსტრანი. სანამ აქ არ იქნება, —  
 დიახ.

პილდა. რა დიდი მიხვედრა მაგას უნდა?  
 ალბათ, თქვენ შეგპირდით.

ლიუნგსტრანი. ადვილი შეხამდებოდა.

პილდა. მაშ, თქვენ შეგპირდით?

ლიუნგსტრანი. დიახ, შეპირდა. მაგრამ, თუ  
 შეიძლება, ნუ ეტყვი, რომ ჩვენი სიადამილო  
 იცით.

პილდა. ღმერთმა დამიფაროს. კრიტსაც არ  
 დაქვრავ.

ლიუნგსტრანი. ჩემის აზრით, დიდი გულ-  
 მოწყალება გამოიჩინა.

პილდა. კი მაგრამ, როცა დაბრუნდებით...  
 ხელსა სთხოვთ და ცოლად შეირთავთ?

ლიუნგსტრანი. არა, ეგ არ გამოვა. პირ-  
 ველ ხანებში ამაზე ფიქრიც კი შედმბტია. ბო-  
 ლო როცა თანდათანობით გზას გავიკაფავ და  
 წინ წავიწვი, ჩემთვის ალბათ უკვე ხნიერი იქ-  
 ნება.

პილდა. მაგრამ თქვენ მაინც გინდათ, რომ  
 არ დაგვიწყლოთ?

ლიუნგსტრანი. დიახ. იმიტომ, რომ ჩემთვის  
 ეს დიდად ხასარებოდა, როგორც მხატვრის-  
 თვის, გესმით? თვითონ კი რას კარგავს, რა-  
 კილა ცხოვრებაში ნამდვილი მოწყობება არ გა-  
 არნია. მაგრამ მაინც დიდი გულმოწყალებაა  
 მისი მხრვე.

პილდა. თქვენ გგონიათ, რომ უკეთ იმუ-  
 შავებთ, თუკი ბოლშევიკები დაგელოდებთ?

ლიუნგსტრანი. დიახ, აგრე მგონია. როცა  
 იცი, რომ სადღაც შორს გეღის ახალგაზრდა,  
 ლამაზი, გულჩატბრობილი ქალიშვილი, რომე-



ლიც სულის ხილრმეში ოცნებობს შენზე, ეს...  
ეს... არც კი ვიცი, როგორა ვთქვა...

**პილდა.** ნამდვილი შთაგონების წყაროა, —  
აღბათ, ამის თქმა გინდოდათ, არა?

**ლიუნსბერანი.** შთაგონების წყარო? დიახ,  
დიახ, სწორედ ეს, ან რაღაც ამგვარი მინდო-  
და მეთქვა. (ერთხანს უსიტყვოდ მისჩერებია).  
თქვენ ისეთი ჭკვიანი ხართ, ფრიოკენ ზილდა,  
განსაკუთრებლად ჭკვიანი. სამშობლოში რომ  
დავბრუნდებო, თითქმის იმ ხნისა იქნებით, რამ-  
დენისდა ახლა თქვენი და. და, აღბათ, მასვე  
უშვანებით, არა მართო გარტუნულად, არამედ  
ხახითთადაც. ასე რომ, თითქოს თქვენც იქნე-  
ბით და ისიც, ორი არსება — ერთში.

**პილდა.** მერედა, თქვენ გინდათ ეს?

**ლიუნსბერანი.** რა მოგახსენოთ. თუმცა, რო-  
გორც ჩანს, მინდა. მაგრამ ახლა, ამ ზაფხულს,  
უფროსებისა ზუსტად იმაღვე დარჩეთ, რაცა  
ხართ.

**პილდა.** ასეთი უფრო მოგწონვართ?

**ლიუნსბერანი.** დიახ, საშინლად მომწონ-  
ხართ სწორედ ასეთი.

**პილდა.** მმ... ერთი ეს მითხარით, როგორც  
მხატვარმა... როგორ გგონიათ, კარგია ღუ ცუ-  
დი, რომ ზაფხულობით ყოველთვის ღია ფერის  
კაბებს ვიცვამ?

**ლიუნსბერანი.** ჩემის აზრით, — ძალიან  
კარგი.

**პილდა.** მაშ, თქვენ თვლით, რომ ღია ფერი  
მისდება?

**ლიუნსბერანი.** მე თუ მკითხავთ, პირდა-  
პირ გხატავთ.

**პილდა.** მაშ ხარეგ ისიც მითხარით, შავი  
ფერის თუ მომინდება?

**ლიუნსბერანი.** შავი ფერი, ფრიოკენ ზილ-  
და?

**პილდა.** დიახ, შავები რომ ჩავიცვა.

**ლიუნსბერანი.** იცით რა, შავი საზაფხულო  
ფერი არ არის. თუმცა, რამე რომ თქვას, მოხ-  
დენით კი მოგინდებათ.

**პილდა.** თავით ფერებამდე შავებში რომ გა-  
მოვქეწო... შავი მაქმანებით... შავი ხელთათმა-  
ნებით... და გრძელი შავი ვუალო...

**ლიუნსბერანი.** ასე რომ ჩაგეცვათ, ფრიო-  
კენ ზილდა, მაშინ მე ვისურვებდი ფერმწერი  
ფოტოლიუვავი, რათა ახლავარდა, მგლოვიარე  
ღამაში ქვრივის პორტრეტი დამეხატა.

**პილდა.** თუ საცოლისა, რომელიც თავის  
ხაჭმრის დასტირის?

**ლიუნსბერანი.** დიახ, საცოლის რაღმე უკე-  
თესი იქნებოდით. მაგრამ, აღბათ, არ ისურ-  
ვებდით ასე ჩაგეცვათ.

**პილდა.** ლმერთმანი, თვითონაც არ ვიცი...  
თუმცა ძალზე მაცოუნებელი კია.

**ლიუნსბერანი.** მაცოუნებელი?

**პილდა.** დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ. (უკებ  
მარცხნივ გაიშვერს ხელს). ერთი შეხედეთ..

**ლიუნსბერანი.** ინგლისური გემი უკვე ნა-  
პირს მოადავა.

ტბის პირას გამოჩნდებიან ვანგელი  
მლიდა.

**პანბელი.** გარწმუნებ, ხელგებო, ჩემო ვან-  
გასო. (თელს მოკრავს ჰილდას და ლიუნს-  
ბერანს). აა, თქვენ აქა ხართ? ხომ მართლად  
ვამბობ, ბატონო ლიუნსბერან, ჭერ კიდევ არა  
ჩანს!

**ლიუნსბერანი.** ინგლისურ გემზე ბრძანებთ?  
პანბელი, დიახ.

**ლიუნსბერანი.** (ხელით ანიშნებს). აგერ,  
აქა დგას, ბატონო ექიმო.

**პილდა.** აა... ვიცოდი! გული მიგრძნობდა!  
პანბელი. მაშ, უკვე მოვიდა?

**ლიუნსბერანი.** დიახ, თუ შეიძლება ასე ითქ-  
ვას, ქურდებით ჩუხად და უხმოდ მოგვპარა...

**პანბელი.** ნახვადგურში გაპყეით ზილდას.  
ახლავე! აღბათ, მუსიკის მოსმენა სურს.

**ლიუნსბერანი.** ჩვენ სწორედ ახლა ვპირებ-  
დით იქ წახვლას, ბატონო ექიმო.

**პანბელი.** მოგვიანებით, აღბათ, ჩვენც მო-  
ვალთ.

**პილდა.** (ჩურჩულით, ლიუნსბერანს). აი, კი-  
დევ ერთი წყვილი. ესენიც ერთად დადიან.  
(ლიუნსბერანთან ერთად ხელმარცხნივ მიდის  
ბელში).

მთელი შემდგომი სცენის მანძილზე შორი-  
დან, ფორდის მხრიდან, სასულე ორკესტრის  
ხმა მოისმის.

**პილდა.** მოვიდა. უკვე აქაა... დიახ, დიახ,  
აშკარად ვგრძნობ.

**პანბელი.** უმჯობესია, წახვიდე, ელიდა! ნე-  
ხა მომეცე, მე თვითონ მოველაპარაკო.

**ელიდა.** არა, ეს შეუძლებელია! შეუძლებე-  
ლია-მეთქი! (შეკვიცლებს). აა, აი, ისიც, ვან-  
გელი!

მარცხნივ გამოჩნდება უცნობი კაცი  
და მესერს იქით, ბილიტზე ჩერდება.

**უცნობი.** (ესალმება). საღამო მშვიდობისა  
აი, მეც მოვედი. ელდა.

**პილდა.** დიახ, დიახ... უკვე დროა.

**უცნობი.** მზადა ხარ თუ არა გასამგზავრებ-  
ლად?

**პანბელი.** ხომ ხედავ, რომ არა.

**უცნობი.** მე სამგზავრო კაბეხა თუ ხევა  
მისთანებზე როდი გყეითხები. არც ბარჯხ ვკი-  
თხულობ. ყველაფერი, რაც მას სჭირდება, უკვე  
გემზეა. კაიუტაც ავიღე მისთვის. (ელდას). ამ-  
რიგად, მე გტყობები, მზადა ხარ თუ არა გა-  
მოწყევი?... შენივე წებით..

**ელიდა.** (ვედრების კილოთი). ო, ნუ მგეით-  
ხებით ნუ მაცოუნებთ!

შორს, გემზე ზარი რეკავს.

**უცნობი.** აი, პირველი ზარიც. მითხარი,  
მზადა ხარ თუ არა?

**ელიდა.** (ხელების მტკრევით). გადაწყვეტი-  
ლებას მაშ, ახლა უნდა მივიღო საბოლოო გა-  
დაწყვეტილება, და მერე უკვე ვეღარაფერს  
ვიღარ შევცვლი?



უცნობი. ვეღარახოდებს. ნამეზარი საათის შემდეგ უკვე გვიან იქნება.

ელიზა (გაუბეღდავად, მცდელო თვალთ მისჩერებია). რას ჩამცივებხართ? რად არ მეშვებით?

უცნობი. ნუთუ ვერა გრძნობ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვით?

ელიზა. პირობის ძალით? უცნობი. პირობა არავის არაფერს არ ავადღებულებს. არც კაცს და არც ქალს. თუ არ გეშვები, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შემიძლია.

ელიზა (ჩუმად, ხმის კანკალით). რატომ უფრო ადრე არ მოხვედით? ვანგაელი. ელიდა!

ელიზა (აგზნებულად). ო, ეს უძლეველი, მომწუხრელი და მაცუთური ძალია შეუცნობლის და განუცდელი საზღვრის მთელი ძალია თითქოს ერთად შენივთდა მასში!

უცნობი მესურნე გადმოაბიჯებს. (ვანგელს ეფერება). რაო? რა ვინდათ? უცნობი. მე ვხედავ... შენი სხვა მიმდებარებს, ელიდა, რომ... ბოლოს და ბოლოს, მე ამირჩევ.

ვანგაელი (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). ჩემს ცოლს არჩევანი არა აქვს. მე აქ იმიტომ ვარ, რომ მის მადვირად ავიჩიო და დავიცვა კიდევ იგი. დიახ, დავიცვა. თუ ახლავე... სამუდამად არ დასტოვებ ჩვენს ქვეყანას... თვითონაც კარგად იცით, რა ბედი გელით!

ელიზა. არა, არა, ვანგელი მოეშვი! უცნობი. მაინც რა შელის?

ვანგაელი. თქვენ დაგაპატიმრებენ... როგორც დამნაშავეს. დაუყოვნებლივ! სანამ გეშვ ახელას მოასწრებდით! მე ყველაფერი ვცი. ვიცი, ვინ მოაქვს კაპიტანი შოლვიციწო.

ელიზა. ო, ვანგელი! გე რა გათქმევინა? უცნობი, მე ველოდი ამას. და ამიტომ... (გულის ჩიბიდან რევოლვერს იღებს). აი, ეს წამოვიდე.

ელიზა (მასა და ვანგელს შუა ჩადგება). არა, არა არ მოაქვსა უმჯობესია, მე მესროლოთ!

უცნობი. არც შენ და არც მას. ეს მხოლოდ ჩემთვისაა განკუთვნილი. მე მინდა თავისუფალ კაცად ვიცხოვრო და თავისუფალ კაცადვე მოვკვდე.

ელიზა (ურყეულო აგზნებით). ვანგელი ერთი სიტყვა მოთქმევინე... მისი თანდასწრებით... აქვე შენ შეგიძლია არ გამოშვა ძალია ხელთა გაქვს და საშუალება. და შენ ახედავ მოიქცევი. მაგრამ ჩემს სულს... ჩემს ზრახვას... ჩემს ვენების ღტოლვას კი ბოკილს ვერ დასდებ! მივლს ჩემს არსებას კვლავინდებურად მომწუნსხველი ძალით მიიტაცებს იდუმალი და განუცდელი... რისთვისაც მე ვარ შექმნილი... და რისკენაც გზა ვადაიღობე.

ვანგაელი (ჩუმად, მწუხარედ). ვხედავ, ელიდა, ვხედავ, რომ თანდათან ხელიდან მისხლები. უსაზღვროების. უსაბრუნლობისა და მიუ-

წვდომისაკენ ვნებიანი ღტოლვა, ბოლოს და ბოლოს, განუკურთხელი უკუწივითავე წარტაცებს შენს სულს.

ელიზა. ო, დიახ, დიახ... მე ვგრძნობ... ჩემს შემოთ თითქოს უკვე ჩუმად შრიალებენ იდუმალების შავი ფრთები.

ვანგაელი. არ შეიძლება ამ უკიდურესობაზე მიგყვანოს კაცმა. ესაა შენი სხის ერთადერთი საშუალება. ყოველ შემთხვევაში, მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ... და, აი... ახლავე, აქვე... მე ვარდევ ჩემს გარჩევას... დიახ, ახლა შენ შეგიძლია თავისუფლად, სრულიად თავისუფლად მიიღო გაჯანყებულება, შენივე ნებით მოახდინო არჩევანი.

ელიზა (ერთბანს უხმოდ და დაყინებით მისჩერებია, თითქოს ენა ჩუქვარდო). მაშ, ასე?.. შენ ამას გულწრფელად ამბობ?.. მთელი გულისით?..

ვანგაელი. მთელი ჩემი ტანჯული გულით.

ელიზა. და შენ შეგიძლია?.. შეგიძლია დაუშვა ეს?

ვანგაელი. დიახ, შემიძლია. იმიტომ, რომ თავდავიწყებით მიყვარხარ.

ელიზა (ჩუმად, ხმის კანკალით). რამ შეგაყვარა ასე ჩემი თავი?

ვანგაელი. წლებმა და ერთად ცხოვრებამ. ელიზა (ტრუს შემოქარავს). მე კი... თითქმის ვერ ვაჩინვედი ამას!

ვანგაელი. იმიტომ, რომ სხვაზე ფიქრობდი, სხვა ხადარდელი გქონდა, მაგრამ ახლა სრულიად თავისუფალი ხარ, არაფერი აღარ გაკავებს, არავითარი ნაძალია დევი კავშირი აღარ გაყვარებს არც ჩემთან და არც ჩემს ოჯახთან. ახლა შენ შეგიძლია... შენი ნამდვილი ცხოვრებით იცხოვრო... თავისუფლად მიიღო გადწყვეტილება, შენი ნებით მოახდინო არჩევანი... და შენივე პასუხისმგებლობით, ელიდა.

ელიზა (თავზე ხელს იტაცებს და დაყინებით მისჩერებია ვანგელს). თავისუფლად... ჩემივე პასუხისმგებლობით... თანაც, ჩემივე პასუხისმგებლობით?.. ოო, ეს ყოვლის განმარტებელი და გარდამქმნელი ძალია.. (გეზზე ვლავ რეაგენ ზარს).

უცნობი. გესმის, ელიდა? უკანახკენლად დარტყა. წავიდეო, რაღას ვუყურებთ?

ელიზა (მისკენ შერიალდება, ჩიქურ უცქერის და მტკიცე ხმით ამბობს). ამის შემდეგ აღარახოდეს აღარ წამოვალ თქვენთან!

უცნობი. არ წამოვალ?

ელიზა (მაგრად ეყვრის ვანგელს). ო, ამის შემდეგ აღარახოდეს აღარ დატოვებ!

ვანგაელი. ელიდა!

უცნობი. მაშ, ყველაფერი დამთავრდა?

ელიზა. დიახ, სამუდამად!

უცნობი. ვხედავ. აქ არის რაღაც ისეთი, რაც ჩემს ნებაზე უფრო ძლიერია.

ელიზა. თქვენი ნება ამიერიდან უძლეურია ჩემს მიმართ. დღეიდან თქვენ ჩემთვის მკვდა





რი ხართ, ზღვის უსკერიდან ამოსული და უკანვე ჩაბრუნებული. თქვენი აღარ შეშინია. აღარც უწინდებურადად მიზიდავთ.

**უცნობი.** შვიდობით, ქალბატონო. (მეგერზე გადააბიჯებს). ამიერიდან თქვენ ჩემთვის მხოლოდ ლანდი ხართ, ზღვაზე ოდესღაც განცდილი მარცხის მოგონება. (ხელმარცხნივ მიდის).

**პანბელი** (ერთხანს უსიტყვოდ უცქერის ცოლს). შენი სული ზღვანა ჰგავს, ელიდა თავისი მიტყვეპოვებვა აქვს. მაგრამ რამ გამოიწვია ეს გამოკანტვნილი ცვლილება?

**ელიდა.** აჰ, ნუთუ არ გეხმის, რომ ცვლილება გარდაუვალი გახდა, როგორც კი თავისუფალი არჩევანის ნება მომეცა? **პანბელი.** ახე რომ, განუცდელი აღარ გიზიდავს?

**ელიდა.** აღარც მიზიდავს და აღარც მამინებს, მე ხაშუალება მომცეს ჩამებოდა მის ხილქმეში... ნება დამრთხვს, თუკი თვითონ მოვუტრებდი, მთლიანად მიტყვეპოდი მას. მე უფროსად მქონდა ამერჩია იგი, და სწორედ ამიტომ შევქედი მისი უარყოფა.

**პანბელი.** ახლა კი თანდათან ვხვდები. შენ ხატად ქცეული წარმოდგენებით აზროვნებს და ასევე აღიქვამს უკვლავებს... შენი მუდმივი კმუნა ზღვის გამო... შენი ღვთაება მისკენ... ამ უცნობი კაცისაკენ... ეს იყო მხოლოდ თავისუფლების წყურტილის გამოვლენა, წყურტილისა, რომელმაც გაიღვიძა შენს სულში და დღითიდღე სულ უფრო და უფრო მძაფრი ხდებაო.

**ელიდა.** ახა, რა გითხრა? მაგრამ შენმა ექიმომამ გადამარჩინა. შენ მიაგნე და... გაბედვად გამოგეყენებინა ერთადერთი ხაშუალება, რომელსაც ჩემი ხსნა შეეძლო.

**პანბელი.** დიახ... უკიდურეს შემთხვევაში ჩემე, ექიმები, დიდ რისკზე მივდივართ ზოლმე... მაგრამ ახლა შენ კვლავ ჩემი ხარ, ელიდა? **ელიდა.** დიახ, ჩემო ძვირფასო, ჩემო ერთგულ მეგობარო, ახლა მე კვლავ შენი ვარ.. შემძლია შენი ვიყუ... მე შენი ვხვდები თავისუფალი არჩევანის შედეგად... ჩემი ნებით... და ჩემივე პასუხისმგებლობით.

**პანბელი** (სიყვარულით უცქერის). ელიდა! ელიდა!.. დღერთო ჩემო, მამ, ახლა ჩვენ შეგიძლია კვლავ მთელის არსებით მივიცეთ ერთმანეთს?

**ელიდა.** და ჩვენს ხერთო მოგონებებსაც, შენსას და ჩემსას.

**პანბელი.** მართლა, ჩემო ძვირფასო?

**ელიდა.** და ვიცხოვროთ ჩვენი ორი გოგონასათვის.

**პანბელი.** ჩვენი?.. შენ თქვი, ჩვენიო?.. **ელიდა.** ო, ისინი ჭკრ კიდევ არ არიან ჩემი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თანდათანობით მათი ტუფლის მოგებას შევძლებ.

**პანბელი.** ჩვენი.. (მბრუნებულ უკაცნის ხედვას).

ლებს). ო, გამაღობ, გამაღობ მაგ სიტყვისათვის, ათახვის გამაღობ!

**ბაღდა,** მარცხენა მხრიდან გამოჩნდებიან პილდა, ბალეტ ტედიო, ლიუნგსტრანი, ანკო ლომი და ბოლეტა. იმვედროულად, მეგერს იქით, ბილივეტ გადმოუხვევს ქალაქელი ახალგაზრდებისა და ჩამოსული სტუმრების ჯგუფი.

**მილად** (ჩურჩულით, ლიუნგსტრანს). ერთი ამით დამიხედეთ! შეუვარებულებს არა ჰგავან?

**ბალესტადი** (ყურს მოკრავს მის სიტყვებს). ზაფხულია, ზაფხული, ფრაიკენი პარნოლში (ელიდასა და ვანგელის დანახვაზე). აი, ინგლისური გემიც მიდის. **ბილიტა.** (მეგერს უახლოვდება). აქედან უკეთა ჩანს.

**ლიუნგსტრანი.** ეს მისი უკანასკნელი რეისია წლელს.

**ბალესტადი.** მალე დაახებრება ყველა სრუტე, — როგორც ამოხვს პოტი. ხაშუხარო, ფრუ ვანგელ! ერთხანს, ალბათ, თქვენც მიგვატოვებთ როგორც მითხრეს, ხვალ შოლვეკენში მიმგზავრებით.

**პანბელი.** არა, არა, ვინ მოგახხნათ? ეხებაა გადავიფრეთ.

**ბოლმბა** (მათკენ მიიწევს). მართლა, მამა? **მილად** (ელიდას მივარდება). მამ, ჩვენთან რჩები?

**ელიდა.** დიახ, ჩემო კარგო... თუკი შენ გინდა.

**ბილად** (აღარ იცის, იცინოს თუ იტიროს). აჰ!.. დღერთო ჩემო... თუკი შენ გინდაო!

**პარნოლში** (ელიდას). აი, ეს კი ნამდვილი სიუარტარია!

**ელიდა** (ღიმილით, მაგრამ სერიოზული ტონით). აი, ხომ ხედავთ, ბატონო არნოლდ... ჩვენი გუშინდელი საუბარი თუ გახსოვთ? რაკილა აღამიანი ხეილეთს შეეგუა და მიეხადება... უკვე ვეღარახოდვს დაუბრუნდება ზღვას... ვეღარ იცხოვრებს ზღვის ცხოვრებით.

**ბალესტადი.** ჩემი ზღვის ასულისა არ იყოს.

**ელიდა.** დიახ, თითქმის ასეა.

**ბალესტადი.** მხოლოდ იმ განსხვავებულად, რომ ზღვის ასული ამის გამო კვდება, აღამიანებს კი, პირიქით, ალკო... აკლიმატიზაციის უნარი შესწევთ. დიახ, დიახ, დამერწმუნეთ, ფრუ ვანგელ! მათ აკლიმატიზაციის უნარი აქვთ!

**ელიდა.** დიახ, მაგრამ ამინათვის საჭიროა ხრული თავისუფლება, ბატონო ბალესტად.

**პანბელი.** და პირადი პასუხისმგებლობა, ჩემო ძვირფასო.

**ელიდა** (ცოცხლად, ხელს უწევს). გემშარიტაჟ!

მეება დემი ნელა მიუხვევა ფიორდს. მუსიკა თანდათანობით ახლოვდება.